

ჯონი კვიციანი

## კავკასია და კავკასიელები

სოციალურ-კულტურული პრობლემები:  
ისტორია და თანამედროვეობა



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2012

წიგნში განხილულია კავკასიის ხალხთა ისტორიისა და სო-ციალურ-კულტურული ცხოვრების აქტუალური საკითხები, რომლებსაც ავტორი მეთოდოლოგიური პლურალიზმისა და ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე განიხილავს. ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა ახლებურად დავინახოთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში არსებული მრავალი პრობლემა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს კავკასიური ერთიანობის იდეის ისტორიასა და მისი რეალიზების პერსპექტივაზე. ნაშრომში ნარმოდგენილი ანალიზის თანახმად, კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც ეფუძნება კავკასიელ ხალხთა ერთიან ისტორიულ ნარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ლირებულებებს – ეტიკეტს, საკომუნიკაციო კულტურას და ეთნოლინგვისტურ ერთობას, შეიძლება აღიარებულ იქნეს რეგიონის ინტეგრაციის იდეოლოგიურ ბაზად.

პირველი გამოცემა 2010 წელს  
მეორე გამოცემა 2012 წელს

რედაქტორი:

ნინო ჩიქოვანი

რეცენზენტი:

გიორგი გოცირიძე

© ჯ. კვიფიანი, 2012

გამომცემლობა „ანივარსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ჟ: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-940-7

# შინაარსი

<b>შესავალი.....</b>	<b>5</b>
<b>თავი I. კავკასია: ისტორია და მთოლოგიური აღწრალიზმი.....</b>	<b>9</b>
სისტემურ-სინერგეტიკული თეორია .....	9
საზოგადოებრივი პროგრესი: ცივილიზაციური და ფორმაციული თეორიები .....	12
ა) ცივილიზაციური კონცეფცია .....	14
ბ) ფორმაციული კონცეფცია.....	15
გ) მოდერნიზაციული თეორია .....	18
<b>თავი II. კავკასია და კავკასიალები .....</b>	<b>21</b>
კავკასიის შესწავლის ეტაპები.....	21
კავკასიის ბუნება.....	25
კავკასიის მოსახლეობა.....	29
პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობა.....	31
სახელმწიფოებრიობის ტრადიციული კულტურა.....	33
<b>თავი III. კავკასიური იდეა და დროის ჭრილში .....</b>	<b>37</b>
გაერთიანებული კავკასია XI-XII საუკუნეებში:	
ნათესაური თუ ძალდატანებითი კავშირი? .....	38
1817-1864 წლების კავკასიის ომები და კავკასიური იდეა ....	43
კავკასიური იდეა 1917-1921 წლებში .....	52
კავკასიური იდეის პრაქტიკული რეალიზების მცდელობები.....	57
საბჭოთა პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.....	61
კავკასიური ცივილიზაცია – კავკასიური იდეის საფუძველი .....	63
<b>თავი IV. თანამედროვე კავკასია: ზოგადი სახელმიწოდებრივ-კოლიტიკური დახასიათება....</b>	<b>67</b>
კავკასიის ეთნიკური რუკა .....	68
აზერბაიჯანი .....	70
საქართველო .....	72
სომხეთი .....	74
სამხრეთ რუსეთის (ჩრდილოეთ-კავკასიის) სუბიექტები .....	76
სახელმწიფოებრიობის ფორმების განვითარება ჩრდილო კავკასიაში .....	78
დაღესტანი .....	80
ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია, ინგუშეთი და ჩეჩენეთი .....	82
ჩერქეზები .....	85

კაზაკობა.....	86
<b>თავი V. ჩრდილო-კავკასია (სამხრეთ რუსეთი):</b>	
<b>ეთნიკური, კონფესიური მოზაიკა და</b>	
<b>მიგრაციული პროცესები .....</b>	<b>90</b>
ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში .....	92
სომხები ჩრდილოეთ კავკასიაში .....	95
აზერბაიჯანელები ჩრდილოეთ კავკასიაში .....	96
რუსები კავკასიაში .....	98
ეთნიკურ-მიგრაციული პროცესების ტენდენციები	
სამხრეთ რუსეთში.....	101
ჩრდილო კავკასიის ხალხთა რელიგიური აღმსარებლობა.....	104
<b>თავი VI. კავკასია: ეთნოპოლიტიკური და</b>	
<b>გეოპოლიტიკური პროგლობები .....</b>	<b>109</b>
ლოკალური კონფლიქტები ჩრდილო კავკასიაში.....	110
კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში.....	116
კონფლიქტები საქართველოში.....	119
კავკასიის გეოპოლიტიკა.....	125
თურქეთისა და ირანის ფაქტორები .....	127
საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემები .....	129
<b>დასკვნა .....</b>	<b>132</b>
<b>შეინვენები და ცყაროები .....</b>	<b>134</b>

## შესავალი

**“ადამიანი გლობალურ მასშტაბში თავისი მომავლის  
შემოქმედი გახდა” - აურელიო პეჩეი**

ცნობილი მეცნიერისა და რომის კლუბის პრეზიდენტის აურელიო პეჩეის ეს სიტყვები, რომლებიც მან გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე დაწერა წიგნში სახელწოდებით “მყოფადი აწმყოში”, კარგად ასახავს თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ რეალობას. ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ადამიანმა (ძირითადად, დასავლეთში - ამერიკა, ევროპა) დაიწყო ახალი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობა. აქცენტი გადატანილი იყო საზოგადოებაში დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, ადამიანის ცოდნის გაღრმავებაზე, განათლების ამაღლებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მკვეთრად გაუმჯობესებაზე.

ამავე დროს, აღმოსავლეთში, სადაც ლიდერად საბჭოთა კავშირი მოიაზრებოდა, დეკლარირებულ იქნა, რომ ქვეყანაში სოციალიზმი აშენდა. აქვე აღინიშნებოდა, რომ მისი გადაზრდა კომუნიზმი მსოფლიოს მტრული ქვეყნების (იგულისხმება დასავლეთი) გარემოცვის პირობებში ჯერჯერობით შეუძლებელი ხდებოდა და შემდგომ გამაგრებასა და განვითარებას საჭიროებდა. ეს პროცესი, თავის მხრივ, უკავშირდებოდა არა იმდენად ადამიანის ინტელექტის, მისი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ზრდას, არა-მედ ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას და დანარჩენ მსოფლიოში კაპიტალიზმის დამარცხებას.

საბჭოელების ასეთი მიღეომა დასავლეთისთვის ანგარიშგასანევი გახდა. შედეგი ის იყო, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი ჩაება ე.წ.“ცივ ომში” - შეიარაღების უპრეცენდენტო ზრდაში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იანი წლების მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების შედეგად გამოჩნდა ე. წ. “ძალის პარადოქსი”, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალა არის, მაგრამ მისი გამოყენება დაუშვებელია. უკვე 60-70-იან წლებში აშშ-სა და საბჭოთა კავშირის

ატომური შეიარაღების წარმოებამ ყველა ზღვარს გადააბიჯა. იმ დროს ხშირად გაიგონებდით, თუ რამდენჯერ შეუძლიათ მხარეებს ერთმანეთის მოსპობა. რა თქმა უნდა, მაშინ მედა ყველა ჩემს მეგობარს გვიჩნდებოდა კითხვა: განა ერთხელ განადგურება საკმარისი არ იყო?

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. დიახ, საგარეო ფაქტორმა მის დაშლაში გარკვეული როლი შეასრულა, მაგრამ — არა გადამწყვეტი. ბევრისთვის უდავოა, რომ გადამწყვეტი გახლდათ საბჭოთა ადამიანის უფლებების მდგომარეობის ფაქტორი. სსრკ არადემოკრატიულმა, ავტოკრატიულმა მმართველობამ, გასახელმწიფოებულმა სოციალურმა ურთიერთობებმა, ადამიანი მეორე პლანზე გადასწინა. მას, საბჭოთა მოქალაქეს, ფაქტობრივად, არაფერს ეკითხებოდნენ. რა თქმა უნდა, შედეგმაც არ დააყოვნა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, იბადება კითხვა: რა მიიღო ადამიანმა დასავლურ და აღმოსავლურ სივრცეში ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე გატარებული პოლიტიკის შედეგად, როგორია იგი დღეს?

დასავლეთში **XX-XXI** საუკუნეების მიჯნაზე ადამიანის გონების დომინანტური მატრიცა ინტეგრალური აზროვნებაა. შესაბამისად, მას გადაწყვეტილებების მიღებაში გაზრდილი პასუხისმგებლობა აქვს.

აღმოსავლეთში, კერძოდ, კავკასიაში, ბევრად იმის გამო, რომ აქ ვერ შეძლეს ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობების შექმნა და მას მხოლოდ რუსეთის კოლონიალიზმის პირობებში ეზიარნენ (თანაც ადგილობრივი კულტურის, მისი თავისებურებების იგნორირების ხარჯზე - “ცარისტულად” და შემდგომ “საბჭოურად” - ამის შედეგი აშკარაა), ადამიანი მოკლებულია არათუ ინტეგრალურ, არამედ ინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ რაციონალურ აზროვნებასაც კი. ხშირად მის აზროვნებაში მაგიურ, მითიურ ელემენტებთან ერთად, ვხედავთ აგრარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ რელიგიური მატრიცის დომინირებას. ცნობილია, რომ ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია კოლექტიური, პატრიმონიალური სოციალური ურთიერთობები და ადამიანის ტრადიციული აზროვნების ინერცია. ხშირად, დღეს ასეთი ადამიანების აზ-

როვნების შესაბამის სოციალურ პრაქტიკას მივყავართ სოციალური ურთიერთობების გართულებამდე, ეკონომიკურ სტაგნაციამდე, სეპარატიზმამდე, კონფლიქტებამდე და ა.შ.

ამავე დროს, შემთხვევითი არ არის, რომ პოსტსაბჭოური კავკასიის საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვნადაა პოპულარული თავისუფალი, დემოკრატიული განვითარების სამომავლო გზა და, შესაბამისად, რეალური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და განვითარებისათვის მზაობა. ყოველივე ამას შესაბამისი საფუძველი ესაჭიროება - მხედველობაში გვაქვს რეგიონის მოსახლეობის მრავალწლიანი თანაცხოვრების ტრადიციების გათვალისწინება.

კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლა-რეკონსტრუქცია ახალ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე იმას გვიჩვენებს, რომ აქ ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი ღირსებისა და თავისუფლების დაცვის დიდი ტრადიცია არსებობს. დღეს ამ რესურსის გამოყენება ახალი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობაში გადაუდებელ ამოცანად რჩება. ის, რაც კავკასიელებმა ადრე, მე-XVII-XVIII საუკუნეებში ვერ გააკეთეს, ვერ მოახერხეს ინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობისთვის პირობების შექმნა, ახლა პოსტინდუსტრიულისათვის უნდა შეძლონ. ამის კარგ საშუალებას იძლევა მსოფლიოში დღეს შექმნილი ახალი რეალობა, თანამედროვე ინფორმაცია, ტექნოლოგიები, მათი გახსნილობა და ა.შ.

კავკასიონოგია, როგორც ახალგაზრდა მეცნიერება, აღნიშნული ტენდენციების შესაბამისობაშია მოსაყვანი. საჭიროება მოითხოვს, რომ მისი პრობლემების ხელახალი გააზრება ისტორიული კულევის ჩარჩოში მოხდეს - რეგიონული და გლობალური ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ადრე კავკასიის შესწავლა “ცარიზმის”, შემდგომ საბჭოთა სახელმწიფოს პრიორიტეტებს ემსახურებოდა, დღეს უნდა ემსახურებოდეს ადამიანის, როგორც ბუნების ქმნილების უზენაეს ფასეულობას. ეს, ერთი მხრივ, დაგვეხმარება, ჩამოვაყალიბოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანი შეძლებს მთლიანად “დაიხარჯოს”, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხრივ - უპასუხოს დროის იმ გამოწვევებს (გლობალიზაცია, ეკოლოგი-

ური პრობლემები, საერთაშორისო ტერორიზმი და ა.შ.), რომელიც კარზეა მომდგარი.

კავკასიოლოგის ამოცანაა დაგვანახოს, რომ ადამიანის მომავალი რეგიონში და, ზოგადად, მსოფლიოში, ყველასთვის ერთია. მისი მიზანია გვაჩვენოს, რომ გლობალიზაცია უზრუნველყოფს პოსტინდუსტრიული მსოფლიო საზოგადოების მშენებლობის პროცესში ყველა ქვეყნის ჩართვას, მათი თვითმყოფადობის, კულტურის შენარჩუნებით. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ჩვენ ამ პროცესში არ ჩავერთვებით და პოზიტიურ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, დეგრადაცია გველის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, წარმოვაჩინოთ კავკასიაში არსებული სოციალური, ისტორიულ-კულტურული პრობლემები და ვიმსჯელოთ მათი გადაჭრის სავარაუდო გზებზე.

ამ ნაშრომის შექმნის დროს დიდი მხარდაჭერა გაგვინია დონის როსტოკში არსებული ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მიხეილ როზინმა, რუსეთის სამხრეთ ფედერალური უნივერსიტეტის პროფესორმა ვლადიმერ რიაბცევმა, ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ასლან ბოროვმა, ქართული დიპლომატის მკვლევარმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა სიმონ კილაძემ და სხვებმა, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით. ამ მეცნიერებთან გამართულმა თემატურმა დისკუსიებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვინიეს ცალკეული საკითხების გადაჭრის საქმეში.

## თავი I

### კავასია: ისტორია და მთოლემობიური პლანალიზმი

თანამედროვე საზოგადოებაზე არსებული წარმოდგენების ისტორიის შესწავლა და ანალიზი ბევრადაა დაფუძნებული სისტემურ მიდგომაზე. სისტემაში იგულისხმება მისი წარმოქმნების ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან მდგრად კავშირსა და ურთიერთობებში არიან. რუსი ფილოსოფოსი მიხეილ რუტკეიჩი ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს, როგორც ისტორიული განვითარების პროცესში მყოფ რთულ სტრუქტურიზებულ სისტემას, რომლის ქვესისტემებად გვევლინებიან მსხვილი რეგიონები (ცივილიზაციები), ძირითად ელემენტებად კი სოციუმები - ეთნოსები, ერები, სახელმწიფოები (1).

როგორც მეცნიერები თვლიან, ადამიანის მოღვაწეობის პროცესში მუდმივად წარმოქმნებიან თვითორგანიზებადი მდგრადი სტრუქტურები. საყურადღებოა, რომ ბუნებაში მოქმედ თვითორგანიზების პროცესს გერმანელმა მეცნიერმა-ფიზიკოსმა ჰენრიკ ჰაკენმა 1973 წელს “სინერგეტიკა” უწოდა (2). იგი დაფუძნებულია სისტემურ, ან, შეიძლება ითქვას, სამყაროს მთლიანობის იდეებზე.

#### 1. ისტორულ-სიცორგებული თაორია

სინერგეტიკა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განიხილება როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს სურათს კარგად ასახავს. სინერგეტიკული გაგებით, სიტყვა “განვითარება” ხარისხოვნად ისეთი ახალი პროცესის წარმოქმნას ნიშნავს, რომელიც ბიფურკაციის (3) წერტილში მომხდარ მოვლენას უკავშირდება. ამ ახალმა დისციპლინათშორისმა მიდგომამ ისტორიკოსებს პერსპექტივა მისცა, გააანალიზონ ისტორიული განვითარების ალტერნატიული გზები და ის რთული საკითხები, რომლებიც ცივილიზაციის “ჩატეხვის” შედეგად წამოიჭრენ.

ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი მოკლედ აყალიბებს სინერგეტიკული ხედვის არსას, მის “ენას” თვითორგანიზებად სისტემებში: ყველა სისტემა შეიცავს ქვესისტემას, რომლებიც ფლუქტუირების (გადახრის) განუწყვეტლივ პროცესში იმყოფება. ზოგჯერ ცალკეული ფლუქტუაცია თუ ფლუქტუაციური კომბინაცია, დადებითი უკუკავშირის შედეგად, შეიძლება იმდენად ძლიერი გახდეს, რომ ადრე არსებული ორგანიზაცია მას ვეღარ უძლებს და ნაფგურდება. ამ გარდამტეს (ანუ ბიფურკაციის) მომენტში პრინციპულად შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რომელი მიმართულებით მოხდება განვითარება: იქნება სისტემის მდგომარეობა ქაოსური, თუ ის გადავა ახალ, უფრო დიფერენცირებულზე და მოწესრიგებულობის უფრო მაღალ დონეზე, რომელსაც დისიპათიური სტრუქტურა (4) ენოდება (დისიპათია - ნივთიერების გაბნევა ენერგიაში).

ი.პრიგოჟინის მიერ დისიპათიური სტრუქტურების აღმოჩენამ, რომლებიც გარემოსთან მუდმივი გაცვლის პირობებში არსებობენ, მიგვიყვანა ორი ურთიერთსანინააღმდეგო ასპექტის საოცარი ურთიერთკავშირის გაგებამდე - დისიპაციისა, რომელიც განპირობებულია ენტროპიის წარმომქმნელი აქტიურობით და წესრიგისა, რომელსაც, ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, იგივე დისიპაცია არღვევს (5).

ამრიგად, ქაოსისა და წესრიგის სინთეზი, რომელიც დისიპაციური სისტემის მიერაა განხორციელებული, იმაში მდგომარეობს, რომ უკვე მოწესრიგებულ სისტემას მოუწესრიგებლის გარეშე არსებობა არ შეუძლია (ანუ წესრიგს - ქაოსის გარეშე), თანაც მრავალგზისი მონაცვლეობით - “ქაოსი-წესრიგი-ქაოსი-წესრიგი” - განვითარების პროცესში. ასეთი სტრუქტურების არსებობა განპირობებულია უფრო დიდი ენერგიით, ვიდრე ამას ითხოვენ ის მარტივი, უბრალო სტრუქტურები, რომლებიც მათ უნდა შეცვალონ. ცვლის ამგვარი პროცესის შეწყვეტის შემდეგ დისიპათიური სტრუქტურაც ქრება.

ი.პრიგოჟინის კონცეფცია დისიპათიურ სტრუქტურებში ქაოსიდან წესრიგის შემთხვევითი წარმოქმნის შესახებ დღემდე დისკუსიას იწვევს. გეორგ ჰეგელისა და კარლ მარქსის დიალექტიკური კონცეფციისაგან (შემთხვევითობისა

და აუცილებლობის კატეგორიები) განსხვავებით, რომლებიც საერთოდ სერიოზულად არ განიხილავენ ქაოსს, პრიგოჟინისეული კონცეფცია აჩვენებს, რომ ქაოსი და წესრიგი დისიპათიური სტრუქტურის შიგნით ურთიერთდაკავშირებულია. ი.პრიგოჟინის აზრით, ბიფურკაციის წერტილში “შემთხვევითობა ბიძგს აძლევს განვითარების ახალ გზაზე იმას, რაც სისტემისაგან რჩება, ხოლო მას შემდეგ, რაც გზა აირჩევა, კვლავ ძალაში შედის დეტრმინაცია და ასე შემდეგ - ბიფურკაციის მომდევნო წერტილამდე” (6). ამრიგად, დისიპათიურ სისტემებში შემთხვევითობა და აუცილებლობა ერთმანეთთან “დაპირისპირებულები” კი არ არიან, არამედ ერთმანეთთან სინთეზირებენ და ერთმანეთს ავსებენ.

ზემოაღნიშნულ საერთო კანონზომიერებებს დღეს, მეთოდოლოგიური კრიზისის პირობებში, საზოგადოების თვითორგანიზაციის დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი მომენტი: თუ პრიგოჟინის პარადოქსს არ მივმართავთ, სინერგეტიკული მსოფლმხედველობისა და გლობალიზაციის არსის ბოლომდე შეცნობა და მისი გახსნა შეუძლებელია. რუსი მეცნიერები ვლადიმერ ბრანსკი და სვიატოსლავ პოჟარსკი, იმოწმებენ რა ილია პრიგოჟინის ბოლო ინტერვიუს (2000 წ.), აღნიშნავენ: “გლობალიზაციასა და ქსელურ რევოლუციას ადამიანები მიჰყავს არამარტო მაღალი დონის კავშირებისაკენ, არამედ ისტორიულ პროცესში ცალკეული ინდივიდუმების როლის ზრდამდეც”. მათი აზრით, პარადოქსის არსი მდგომარეობს ორი დაპირისპირებული ტენდენციის ერთდროულ დინებაში: თითოეული ინდივიდუმის სოციუმისაგან დამოკიდებულების ზრდაში და, პირიქით, მთლიანი სოციუმის დამოკიდებულების ზრდაში თითოეული ინდივიდუმის თვითნებობაზე. პირველი ტენდენცია არის მიღრეკილება ტოტალური დაპროგრამებულობისაკენ (ანუ წესრიგის კულტისაკენ - ტოტალიტარიზმისაკენ), მეორე კი - ტოტალური თვითნებობისაკენ (ანუ ქაოსის კულტისაკენ - ანარქიზმისაკენ). მეცნიერები კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პრიგოჟინის პარადოქსის გადალახვა, პასუხობენ, რომ ეს შესაძლებელია სუპერატრაქტორში, სადაც არსებობს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის (ქაოსისა და წესრიგის) სრული ჰარმონია (7).

კავკასიის რეგიონის დაბრუნებას მისი განვითარების ბუნებრივ, ტრადიციულ გზაზე (“ბუნება-საზოგადოება-ადა-მიანი”) განაპირობებს თვითორგანიზების შინაგანი, სისტე-მურ-სინერგეტიკული ლოგიკა სოციალურ და ბუნებრივ გა-რემოში. ამიტომ, უკვე ტრანსფორმაციის მეორე ეტაპის (პირველი - 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2000 წლამდე და მეორე - 2000-იდან დღემდე) გამოცდილება, კერძოდ, საქარ-თველოში მომხდარი “ვარდების რევოლუცია”, გვაჩვენებს, რომ საზოგადოება, თვითორგანიზების სოციალური სტრუქ-ტურირების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისას (ვიდრე ეს იყო ტრანსფორმაციის პირველ ეტაპის დასაწყისში), ახალი ინსტიტუციური მაკროსტრუქტურის გენერირებას ახდენს და საკუთარი განვითარების უფრო მაღალ დონეს უზრუნ-ველყოფს. საკითხი ეხება ხელისუფლების საქმიანობის გამ-ჭვირვალეობისა და მისი ეფექტურობის ამაღლებას, ბაზრე-ბის მონოპოლიზების აღმოფხვრას და სხვა (8).

## 2. საზოგადოებრივი პროგრესი: ცივილიზაციური და ფორმაციული თეორიები

დასახელებულ თეორიულ მოძღვრებებს წინ უძლოდა საზოგადოებრივი პროგრესის თეორიის შექმნა.

ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციებში ადამიანები აც-ნობიერებდნენ საზოგადოებრივ ცვლილებებს, განვითარე-ბას და მას საზოგადოების შეგნებაში აფიქსირებდნენ. ამავე დროს, იყო მათი გამომწვევი მიზეზების თეორიული ახსნის, შემდგომი მიმართულებისა და ხასიათის განჭვრეტის მცდე-ლობებიც.

საზოგადოების განვითარების პირველი კონცეფციები ცდილობდნენ განემარტათ ის პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც, მათი აზრით, ციკლურ ხასიათს ატარებდა. სა-ზოგადოების განვითარების პირველი ციკლური თეორიების შექმნა კი ჯერ კიდევ პლატონს (ძვ.წელთაღრიცხვის 428-347 წლები) და არისტოტელეს (ძვ.წელთაღრიცხვის 384-322 წლები) ეკუთვნის. ისინი ცდილობდნენ აეხსნათ ძველ პერ-ძნულ ქალაქებში მმართველობის ცვლის მიზეზები დესპო-ტიზმიდან არისტოკრატიამდე, ოლიგარქიამდე, დემოკრატი-

ამდე, ანარქიამდე და ტირანიამდე. შემდგომში საზოგადო-ეპრივი ცვლილებების ციკლური ხასიათი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზეც გავრცელდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორი ასეული წლის წინათ მსოფლიო ისტორია აღიქმებოდა როგორც დიდი იმპერიების აყვავება, სიდიადე და ნგრევა. მაგალითად, XVIII საუკუნეში ფრანგი განმანათლებლის შარლ მონტესკიეს ტრაქტატი “ფიქრები რომაელთა აყვავებისა და დალუპვის მიზეზებზე” (1734) ზუსტად ამაზე მიუთითებს. ისტორიის მეცნიერების განვითრებაში, მისი სისტემური შესწავლის გააზრებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძლვის იტალიელ ფილოსოფოსს ჯამბატისტა ვიკოს (1668-1744 წ.წ.), რომელიც ისტორიზმის კონცეფციის ერთ-ერთი ავტორიცაა. მისი აზრით, ამ კონცეფციის უმთავრესი არსი ისტორიული პროცესის წინსვლა-დობაა, როდესაც შემთხვევები და მოვლენები მჭიდრო ურთიერთკავშირში და დროში განვითარებადნი არიან. ამასთან ერთად, ჯამბატისტა ვიკოს ეკუთვნის ისტორიული წრებ-რუნვის საყოველთაო თეორია, რომლებიც სამი ისტორიული ეპოქისაგან შედგება, შესაბამისი ციკლებით. ესენია: ღვთა-ებრივი, საგმირო და ადამიანური, რომლებიც საყოველთაო კრიზისებისას ერთმანეთს ცვლიან. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დასავლეთ ევროპაში რენესანსიც კი (XV-XVII სს.) საყოველთაოდ იყო მიჩნეული ანტიკური ეპოქის მიღწევების აღორძინებად.

მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს სამეცნიერო აზრი (ა.თურგო, ე.გიბონი, ი.პერდერი) მივიღა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ეპოქა ანტიკურისაგან თვისობრივად განსხვავდება და რომ ის საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს. ასე შეიქმნა მსოფლიო ისტორიაში საზოგადოებრივი პროგრესის პირველი თეორიები. უნდა ითქვას, რომ სწორედ მათ უარყვეს წარმოდგენები მსოფლიო ისტორიის ციკლური მიმოქცევის შესახებ და კაცობრიობის წინსვლითი განვითარების იდეა დაამკვიდრეს (9).

ამავე დროს, საზოგადოებრივი განვითარების თეორიამ XIX საუკუნეში სხვადასხვა ფორმა მიიღო, რაც დაკავშირებულია საზოგადოებაში მიმდინარე იდეულ დაპირისპირებებთან, კაცობრიობის მომავლის ხედვებთან მიმართებით.

## ა) ცივილიზაციური კონცეფცია

დღეისათვის საქართველოში და მთლიანად კავკასიაში პოპულარობას იძენს ისტორიის პროცესების ცივილიზაციური ხედვა, რომლის თეორეტიკოსები არიან ა. დანილევსკი (1822-1885), ი.შპენგლერი (1880-1936), ა.ტოინბი (1880-1975). კაცობრიობის ისტორია მიიჩნევა ცივილიზაციების (აგრარული, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული) ცვლად. ყოველი მათგანი მოიცავს ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ შემადგენლებს. აღნიშნულ ცივილიზაციებს ახასიათებს აღმოცენების, განვითარებისა და დაკინების სტადიები (10).

ამგვარი მეთოდოლოგიის მიმდევრები თვლიან, რომ არ არსებობს კაცობრიობის კულტურის განვითარების ზოგადი კანონზომიერება, რაც კულტურის განვითარებას მხოლოდ ცალკეულ ცივილიზაციაში ახსიათებს. ერთი მხრივ, აქ ჩანს ფორმაციული მოდელის გამსხვილება, მაგრამ აქვე ვხედავთ ვექტორულ-სტადიურ მოდელსაც, რომელიც კაცობრიობის ერთობის იდეაზე და ამ ერთობის მრავალფეროვნებაზეა დაფუძნებული.

ამრიგად, მსოფლიო ცივილიზაცია - ეს არის მთლიანობა, სისტემა, რომელთანაც რეგიონული, ლოკალური ცივილიზაციური კულტურები სტრუქტურულ-ფუნქციურ კავშირშია. რუსი ფილოსოფოსის ნ.როზოვის აზრით, ლოკალური ცივილიზაცია სოციალური ევოლუციის არამარტო ტიპურ და მასობრივ მოვლენად გვევლინება, არამედ ის „ისტორიის ძირითადი ერთეულის“ სტატუსსაც იძენს (11).

დღეს ცივილიზაციურ თეორიასთან დაკავშირებით ბევრი სამეცნიერო ნაშრომი იქმნება. სამწუხაროდ, ნ.დანილევსკიდან დაწყებული, რომელიც მსოფლიოში 11 ცივილიზაციაზე მიანიშნებდა (ეგვიპტური, ჩინური, ინდური, ირანული, ებრაული, რომაული, ევროპული და სხვა), დამთავრებული ა.ტოინბით (21 ცივილიზაცია), არც ერთი მათგანი კავკასიის ცივილიზაციაზე არ მიუთითებს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მეცნიერებაში ეს ხარვეზი გამოსწორდება. ამის იმედს, ინფორმაციული უნივერსალიზმისაგან განსხვავებით (ამას ქვემოთ განვიხილავთ), დღეს უკვე ცივილიზაციური პლურალიზმი გვაძლევს. საჭიროა ცივილიზაციური მიდგო-

მის შემდგომი გააზრება კავკასიაში, მისი დახვეწა და შემდეგ, მასზე დაყრდნობით, რეგიონის სოციუმზე ექსტრაპოლირება. ამ შემთხვევაში მისი ამომხსნელი კრიტერიუმები საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების კულტურულ-იდეურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სახეს უნდა უკავშირდებოდეს. ცივილიზაციური მიდგომის დროს აუცილებელია ადამიანის ბუნებრივი, ზოგადი და ლოკალური ცხოველქმედების პირობების შესწავლაც.

თუ ადრე ცივილიზაციებს შორის განსხვავებების გამო ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, დღეს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს იტალიელი მეცნიერი ვიტორიო სტრადა, პირიქით, შორს წასული გლობალიზაციის პირობებში, ეს განსხვავებები დიალოგსა და თანამშრომლობაში ახალი ერთობის ძებას უნდა ნიშნავდეს. ამისათვის, დასძენს ვ. სტრადა, ცივილიზაციებს შორის მხოლოდ განსხვავებების შეგნებას შეუძლია ის გააკეთოს, რომ გლობალიზაციის კონსტრუქციულმა შესაძლებლობებმა საწინააღმდეგოზე უპირატესობა მოიპოვონ (12).

## პ) ფორმაციული კონცეპცია

მარქსიზმი დღესაც აქტუალურია იმიტომ, რომ ამ მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია ახალ ფილოსოფიას, რომელიც მატერიალისტურ დიალექტიკაში გამოიხატება. ამ მიდგომით, მარქსიზმი განიხილავს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების პროცესებს, რომლებიც წარმოიქმნებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ფორმაციულ კონცეპციებს, ფართო გაგებით, მიეკუთვნება არა მარტო კარლ მარქსის (1818 - 1883) საზოგადოებრივი ფორმაციების თეორია, არამედ ისტორიული პროცესის ისეთი თეორიებიც, როგორც მაგალითად, ო. კონტის (1798 - 1857) პოზიტივიზმის თეორია, აგრეთვე XX საუკუნეში შექმნილი “ეკონომიკური ზრდის სტადიების”, “ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების”, “პოსტინდუსტრიული საზოგადოების”, “ტექნოტრონული საზოგადოების” თეორიები. მათ შორის ყველაზე კარგად იქნა დამუშავებული მარ-

ქსისტული საზოგადოებრივი პროგრესი, როგორც ფორმა-ციათა თანმიმდევრული მონაცვლეობა. მასში კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი (1820-1895) დიდ ადგილს უთმობენ სენ-სიმონის, გ.ჰეგელის, ლ.მორგანისა და სხვათა იდეებს.

მარქსიზმი, ხელმძღვანელობს რა, გეორგ ჰეგელის “ობიექტური” დიალექტიკური ლოგიკით, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას ხუთ ფორმაციად ყოფს: პირველყოფილ-თემურ, მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ და კომუნისტურ ფორმაციებად (ამ უკანასკნელთან მისი საწყისი ფაზა - სოციალიზმი იყო გაიგივებული). ფორმაციული მიდგომა ისტორიის მატერიალისტურ და, შესაბამისად, ვერტიკალურ ხედვას ასახავს. მისი არსია ისტორიული და კულტურული პროცესების უნიფიცირება და მათი ერთ სქემაში მოქცევა.

აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ ეს მოძღვრება ფორმაცია-თა ცვლას ხედავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელიც არაა დამოკიდებული ადამიანის შეგნებაზე და მის განზრახვაზე. ხაზგასმულია, რომ მისი პერიოდიზაცია ძირი-თადად დაფუძნებული იყო ევროცენტრისტულ ინტერე-ტაციაზე და მინიშნებებზე, რომ ის ცალკეულ შემთხვევაში დანარჩენ მსოფლიოშიც უნდა გავრცელებულიყო. რა თქმა უნდა, ირიბად ეს იყო ამ თეორიის მიკუთვნება ბუნების ობი-ექტურ კანონებთან.

საბჭოთა კავშირის პირობებში ფორმაციულ მოძღვრე-ბას მეცნიერების ყველა სფეროში გაბატონებული მდგომა-რეობა ეკავა. ზემოაღნიშნულ სქემაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ისტორიულ პროცესში ზოგადის გამოვლენას ერ-თეულის, ლოკალურის იგნორირების ხარჯზე, რაც ხშირად შეგნებულად უგულებელყოფდა საზოგადოების პოლივარი-ანტულ განვითარებასა და მის თავისებურებებს. ამით მთე-ლი რიგი ხალხები, ფაქტობრივად, ამოვარდნილი იყო კაცობ-რიობის საერთო “ისტორიის კონტექსტიდან”. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მცხოვრებ ხალხებს, იმის გამო, რომ ამ სქემაში ვერ თავსდებოდნენ, საბჭოთა კავშირის დროს “ჩამორჩენილებს” უნდაებდნენ და აღნიშ-ნავდენ, რომ ისინი კაპიტალიზმის გამოტოვებით სოცია-ლიზმს აშენებენ. ამასთან, მათ ხშირად აყვედრიდნენ კი-დეც - რომ არა მათი “გასაბჭოება”, ისინი ამას ვერ მიაღწევ-

დნენ და ვერ ჩაებმებოდნენ მსოფლიოს ისტორიის საერთო განვითარებაში.

როგორ დგას დღეს საქართველოში კავკასიის ხალხთა ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრის საკითხი? უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ პროცესს, წინათაც და დღესაც, ხელს უშლიდა და უშლის მსოფლიო ისტორიის ფორმაციული ხედვის ინერცია. საბჭოთა კავშირის “ცენტრის” გადმოსახედიდან კავკასიის რეგიონის ხალხები, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტრადიციიდან გამომდინარე, იყოფოდნენ “პირველ”, “მეორე” და “მესამე” ხარისხის ხალხებად, რაც მათი პოლიტიკური მოწყობის სტატუსშიც ისახებოდა (მოკავშირე რესპუბლიკებად, ავტონომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლექტებად დაყოფა).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიის მიმართ დღეს ბევრი პრეტენზია არსებობს, გარჩნდნენ მისი კრიტიკოსებიც. კერძოდ, ეჭვებეშ დგება გ.ჰეგელის დიალექტიკა, ისტორიული ეტაპების ცვლა. ჰეგელის ლოგიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო მარქსიზმი თვლიდა, რომ წინააღმდეგობების მიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე, მათი სრული “მოხსნა” შესაძლებელია რომელიმე მათგანის დაღუპვის (განადგურების) ხარჯზე (13). ეს მაშინ, როდესაც სინერგეტიკა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დამატებულობის (კომპლიმენტარობის) პრინციპიდან გამომდინარე (წილს ბორი, 1927 წ.), წინააღმდეგობათა ბრძოლის დიალექტიკური პრინციპებისა-გან განსხვავებით, ურთიერთობაში არსებულ დაპირისპირებას ტოლერანტობით, შემწყნარებლობით და სხვის აზრთან თანამშრომლობით ცვლის.

რაც შეეხება გეორგ ჰეგელის ისტორიული პროგრესის იდეას, ცნობილი რუსი მეცნიერის ა.გურევიჩის აზრით, ის უსაფუძვლოა. მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ ეს იდეა გაკოტ-რებულია არამარტო იმით, რომ “მას უმთავრესად საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობების განვითარება მიაჩნია და, შესაბამისად, ადამიანის მთელი სულიერი მხარე, მისი პიროვნული არსი თითქმის უმცირესია, არამედ იმიტომაც, რომ ამ იდეას კაცობრიობის ისტორია პროგრესის იდეამდე დაპყავს. რას გვთავაზობს ის? ადრე საზოგადოება უარესი იყო, ის ჯერ კიდევ არ იყო ისეთი, როგორიც შემდეგ

გახდება და ამიტომ ადამიანებმა რაღაც არ იცოდნენ, არ შეძლოთ და, შესაბამისად, რაღაც დონეს ვერ მიაღწიეს” (14).

ამრიგად, ფორმაციული მიდგომისათვის დამახასიათებელია ერთი მხრივ, საზოგადოების ცხოვრებაში ეკონომიკური ურთიერთობების როლის პრიმატის წარმოჩენა და მეორე მხრივ, ამის საფასურად ადამიანის საზოგადოებრივი კულტურის, ტრადიციების როლის დაკნინება.

ამასთან ერთად, არის სხვა მოსაზრებებიც. კერძოდ ის, რომ მარქსიზმი დღესაც რჩება ეფექტურ სოციალურ პარადიგმად, თუმცა, მათი აზრით, ის განახლებას საჭიროებს.

ზემოთქმულის შეჯამება საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ რამდენიმე ტენდენცია პოსტსაბჭოურ მეთოდოლოგიაში: 1)ფორმაციული მიდგომის განახლება; 2)ცივილიზაციური მიდგომის დამუშავება; 3)ფორმაციულის და ცივილიზაციური მიდგომების შეთავსება.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, ორივე მიდგომა - ფორმაციულიც და ცივილიზაციურიც - საზოგადოების პროგრესის იდეაზეა დაფუძნებული. პირველი (ფორმაციული) საზოგადოებაში უპირატესობას ეკონომიკას ანიჭებს, მეორე (ცივილიზაციური) - კულტურას. ალბათ, მათი კატეგორიული დაპირისპირება არასწორი იქნებოდა. უფრო უპრიანი იქნება, ვითიქროთ, რომ ისინი ერთმანეთს მეტ-ნაკლებად აბალანსებენ.

## გ) მოდერნიზაციული თეორია

მეცნიერები, როგორც წესი, მოდერნიზაციას უკავშირებენ სოციალურ ცვლილებებს, რომლებიც საზოგადოების ინდუსტრიულ განვითარებასთან არიან დაკავშირებულნი. დასავლეთ ევროპაში ეს პროცესი იწყება XV-XVI საუკუნეებიდან, როცა მანუფაქტურული წარმოების განვითარება დაიწყო და აქცენტი სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაზე გადავიდა. მოგვიანებით, მანქანური მრეწველობის გამარჯვების შემდგომ, ადამიანის სოციალური ცხოვრების განვითარებაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ყალიბდება ინდუსტრიული საზოგადოება თავისი პროფესიული სპეციალიზებით, ურბანიზმის პრიორიტეტით, განათლების დონის

ამაღლებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატებით და სწრაფი ეკონომიკური ზრდით.

XIX-XX საუკენებში ამ პროცესის მეცნიერულად შესახვალა, როგორც იტყვიან, „დრომ მოიტანა“. წარმოიშვა ორი საპირისპირო: მოდერნიზაციის მარქსისტული ხედვა მიიჩნევდა, რომ კერძო საკუთრების გაუქმება საფუძველს დაუდებს ექსპლოატაციის, უთანასწორობისა და კონფლიქტების დასასრულს, ხოლო კაპიტალისტური ხედვის თანახმად, ეკონომიკური განვითარება საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება-სა და დემოკრატიას უზრუნველყოფდა.

მოდერნიზაციის ეს ორი ხედვა მეტოქეობას „ცივი ომის“ დროსაც განაგრძობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1970-იანი წლების „განვითარებულმა სოციალიზმმა“ თავისი შესაძლებლობები ამონურა და კომუნიზმამდე ვერ მიაღწია. შესაბამისად, დადგა „უძრაობის პერიოდი“. რაც შეეხება ბევრ ლარიბ ქვეყანას, იქ არც ეკონომიკური განვითარება და არც დემოკრატია არ შეინიშნებოდა. როგორც გერმანელი მეცნიერი ქრისტიან ვერცელი და ამერიკელი რონალდ ინგელჰარტი აღნიშნავენ, „ისე გეგმონებოდათ, თითქოს არცერთი თვალთახედვა არ დასტურდებოდა, ამიტომ კრიტიკოსებმა მოდერნიზაციის გარდაცვალება გამოაცხადეს“ (15).

ამავე მეცნიერთა აზრით, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მოდერნიზაცია კვლავ აქტუალურია და დღეს ის, ასე ვთქვათ, „მეორე სიცოცხლეს“ იძენს. აქვე შევნიშნავთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში და კაპიტალისტურ სამყაროში მოდერნიზაციას ადრე განვითარების განსხვავებული გზები ჰქონდათ.

აგრარული (ტრადიციული) საზოგადოებიდან ინდუსტრიულში გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული) გარდაქმნას მოიცავს. ამასთან, თუ ეს პროცესი კომპლექსურად არ მიმდინარეობს, მათ შორის თავს იჩენს შეუსაბამობა და მოდერნიზაცია შეზღუდული სახითაა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში მოდერნიზაცია „ზემოდან“, სახელმწიფოს, ანუ შეიძლება ითქვას, „ჩინოვნიკთა“ პატრონაჟით ინიცირებულ ხასიათს ატარებდა (და ეს დღესაც ასევა), მაშინ როდესაც დასავლეთში ის ხორციელდებოდა „ქვემოდან“, მის წარმმართველ ძალად კი მესაკუთრე, მენარმე გვევლინებოდა. შედეგიც შესაბამისია.

ქ.ვერცხლისა და რ.ინგელჰარტის აზრით, დღეისათვის დასავლეთში შემნილ მოდერნიზაციის ახალ ვერსიაში (“პოსტინდუსტრიული საზოგადოება”) ნათლადაა წარმოდგენილი, თუ სადამდე უნდა მიგვიყვანოს გლობალურმა ეკონომიკურმა განვითარებამ. მისი ამოცანებია გენდერული თანასწორობის, დემოკრატიისა და ადამიანის ოვითგამოხატვის ფასეულობათა დამკვიდრება ცხოვრებაში (16).

დასავლეთისაგან განსხვავებით, ჩვენში ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ადამიანის, როგორც ეკონომიკურ, ასევე ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. კავკასიაში დემოკრატიზაციის გზაზე შემდგომი წინსვლა საჭიროებს ბიუროკრატიულობისა და იერარქიულობის გადალახვას, ავტოკრატიული რეჟიმებისაგან თავის დაღწევას და ტრადიციულ ფასეულობებზე დაყრდნობით საერო, რაციონალური ფასეულობებისაკენ სვლას.

თუ ჩვენ ამ საკითხებს კარგად შევისწავლით, აღმოჩნდება, რომ კავკასიელი ხალხების ტრადიციებში არსებული ადამიანის დაფასების საბაზისო ფასეულობები შესაძლოა კარგად “ჩაეწეროს” პოსტინდუსტრიულ რეალობაში.

ინდუსტრიულ “ლიბერალურ ცივილიზაციაში”, როგორც სისტემაში, ოთხ ძირითად ფასეულობას გამოყოფენ. ესენია: 1) ინდივიდუალიზმი, 2) უნივერსალიზმი (ადამიანის უფლებები), 3) ეგალიტარიზმი (ადამიანებს შორის ყოველგვარი მორალური და პოლიტიკური იერარქიულობის უარყოფა), 4) მელიორიზმი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების სრულყოფა).

კავკასიური კულტურული (ცივილიზაციური) ტრადიციის კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მსოფლიო მოდერნიზაციის პროცესში ჩამოყალიბებულ თანამედროვე ლიბერალურ და პლურალისტურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის არსებულ განსხვავებას. პრინციპული განსხვავება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ პირველ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოებაში ძირითადი უფლებების მატარებლად ინდივიდები გვევლინებიან, ხოლო პლურალისტურში - ჯგუფები და გაერთიანებები.

საინტერესოა, ჩვენ, ქართველები და ყველა დანარჩენი კავკასიელი, კულტურული თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოების რომელ ფორმასთან ვართ ახლოს?

## თავი II

### კავკასია და კავკასიელები

რამდენიმე წლის წინ დმანისში არქეოლოგიურმა აღმოჩენამ (ნაპოვნია ქალისა და მამაკაცის 1,8 მლნ. წლის წინანდელი თავის ქალა) ცხადყო, რომ კავკასია ადამიანის გაჩენის რეგიონი თუ არა, მისი საპირისტაციის ანუ თანამედროვე ადამიანად ჩამოყალიბების ადგილი მაინც არის. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამტკიცებს მეცნიერების აღრინდელ აღიარებას, რომ კავკასია მსოფლიო ცივილიზაციის უძველესი კერაა. დღეს ის არის უნიკალური ისტორიულ-კულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური რეგიონი, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა უკავია. კავკასიას, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს, ყოველთვის ეკისრებოდა წინა აზიის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის დამაკავშირებელი ფუნქცია.

კავკასია ოდითგანვე იპყრობდა გარე სამყაროს ყურადღებას. დამპყრობლებს აქ არსებული სიმდიდრე იზიდავდა. ბევრი მოგზაური და მეცნიერი კავკასიის მონახულებისა და გაცნობის შემდეგ აქ თავისი შემოქმედების წყაროს პოულობდა.

### კავკასიის შესძალის ეტაპები

სახელწოდება „კავკასია“ პირველად ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეშია მოხსენიებული - ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. მოგვიანებით, ძვ. წ. აღ. V საუკუნეში „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე წერდა იდუმალებით მოცულ „მთათა ქვეყანაზე“ და კონკრეტულად მიანიშნებდა, რომ „კავკასიაში ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს“. ხუთასი წლის შემდეგ, ანტიკური ხანის ცნობილ გეოგრაფი სტრაბონს „გეოგრაფიაში“ საკმაოდ ვრცლად აქვს აღნერილი კავკასია. ისიც გაკვირვებულია ამ მთიან ქვეყანაში დასახლებულ ეთნოსთა სიმრავლით. მისი სიტყვებით, მარტო ქალაქ დიოსკურიაში (სოხუმი) სავაჭროდ დასავლეთ კავკასიიდან 70 ტომთა წარმომადგენლობის ვაჭარი ჩამოდიოდა. თითქმის ათასი წლის შემდეგ არა-

ბი ენციკლოპედიისტი აღ მასუდი აღნიშნავდა: “მთა კაბკ (კავკასია) - დიდი მთაა, რომელსაც უდიდესი ტერიტორია უკავია. ის ბევრ სამეფოსა და ხალხებს მოიცავს” (1).

კავკასიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ადგილობრივ ავტორთა ნაწარმოებებს, როგორებიც არიან აგათანგელოსი, ეგიშე, მოვსეს ხორენაცი (სომხეთი); ლეონტი მროველი (“ქართლის ცხოვრება”), «История страны Агван» და სხვ.

ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორთა ეს და სხვა ნაწარმოებები, პირობითად, კავკასიის შესწავლის **პირველ ეტაპად** შეიძლება იქნას მიჩნეული.

**მეორე ეტაპი** უკავშირდება რეგიონის მეცნიერულად შესწავლას, რომელიც დაიწყო XVIII-XIX საუკუნეებში და 1917 წლის რევოლუციებამდე გაგრძელდა. ამ დროს კავკასიის საკითხი, აღმოსავლურთან ერთად, საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ხდება. კავკასიის რეგიონი დიდი ქვეყნების - ინგლისისა და საფრანგეთის, სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების უმნვავესი ურთიერდაპირისპირების ადგილად გადაიქცა. მოვლენების დრამატულმა განვითარებამ ხანგრძლივი კავკასიური ომები განაპირობა. XIX საუკუნის 30-50-იანი წლებში რუსეთის მიერ წარმოებული ომების ფინალი იყო კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობის დაკარგვა და მათი კოლონიზაცია რუსეთის იმპერიაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენებმა უდიდესი დაინტერესება გამოიწვია არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ საზღვარგარეთაც - აღნიშნულ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე პროცესებს ევროპის თითქმის ყველა ცნობილი გაზიერება აშენებდა. აქედან გამომდინარე, საზოგადოების აქტიურმა ინტერესმა რეგიონული მოვლენების მიმართ კავკასიისმცოდნეობის განვითარებას დამატებითი სტიმული მისცა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ დროში კავკასიისმცოდნეობას საფუძველი ჩაეყარა ვახუშტი ბაგრატიონის, ს. გ. გმელინის, ი. ა. გიულდენშტედტის, პ.ს. პალასის ნაწარმოებებში.

XIX საუკუნეში კავკასიისმცოდნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის მეცნიერებაში ენიჭება. ამ დროს მოღვაწეობდნენ რუსეთის ცნობილი კავკასიონლო-

გები ნ.დუბროვინი, პ.ბუტკოვი, მ.კოვალევსკი, ს. ბელოკუროვი; აზერბაიჯანელები - ა.ბაკიხანოვი და მ.კაზემბეკი; ქართველები - დ.ბაქრაძე, ე.თაყაიშვილი, ს. ესაძე; სომხები - ვ. ზასთომიანი და ს. ეგიაზაროვი; ადილელები - ხან გირეი და შორა ნოგმოვი; ოსები - კ. ხეთაგუროვი და ა. გასიევი; ჩეჩენი უ. ლაუდაევი და ბევრი სხვა ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფილოლოგი და გეოგრაფი.

კავკასიასთან არის დაკავშირებული მსოფლიოში აღიარებული ავტორების - ა.დიუმას, ა.პუჭინის, მ.ლერმონტოვის, ლ.ტოლსტოის და ბევრი სხვა ცნობილი მწერლის, პოეტისა და მხატვრის შემოქმედება. კავკასიაზე შეყვარებული მიხეილ ლერმონტოვი თავის ცნობილ ნაწარმოებში “ისმაილ ბეი” წერდა:

И диких тех ущелий племена,  
Их бог - свобода, и закон - война,  
Там за добро - добро, и кровь - за кровь,  
И ненависть безмерна, как любовь.

1917 წლის რევოლუციებამდე დაიწყეს მოღვაწეობა ცნობილმა კავკასიოლოგებმა ნ. მარმა, ვ. ვ. სტრუვემ, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ი. მინანდიანმა და სხვებმა, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძლვით საბჭოთა კავკასიოლოგიის განვითარებაშიც. მათი თაოსნობით იწყება საბჭოთა კავკასიოლოგიის სკოლის ჩამოყალიბება, რომელიც ამ მეცნიერების განვითარების შემდგომ, მესამე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. რუსეთის იმპერიის დროინდელი კავკასიოლოგიის სკოლისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე კავკასიოლოგიამ ცენტრიდან ადგილებზე - კავკასიაში შექმნილ შესაბამის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებში გადაინაცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელები საბჭოთა კავშირში ყოფნისას თავისუფლებადაკარგულნი ვიყავით და არ “გავბედნიერებულვართ”, ფაქტია, რომ მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) საკმაოდ მძლავრი მეცნიერებათა აკადემიები შეიქმნა, რომელთა შემადგენლობაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის აქტუალურ საკითხებს სწავლობდნენ. ამასთან ერთად, მსგავსი ჰუმანიტარული ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩამოყალიბდა რსფსრ-ს ჩრდი-

ლოკავკასიურ ავტონომიურ რესპუბლიკებშიც (დაღესტანი, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩენეთ-ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ა.შ.).

საბჭოთა პერიოდში კავკასიის საკითხების კვლევები თანდათან ვრცელდება ზემოჩამოთვლილი რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებშიც. მაგალითად, 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით გაიხსნა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელიც მაღალ, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, კავკასიაში ცნობილ იბერიულ-კავკასიური ენების შემსწავლელ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა. მაღლიერმა ჩრდილოკავკასიელებმა, რომლებიც ამ სკოლაში მშობლიურ ენებს შეცნიერულად შეისწავლიდნენ, არნოლდ ჩიქობავას “კავკასიის დიდი შვილი” უწოდეს.

ამრიგად, საბჭოთა კავკასიონლოგიაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამეცნიერო სკოლები, სადაც მოღვაწეობდა კავკასიის ხალხთა თითქმის ყველა წარმომადგენელი: ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი, ა.რობაქიძე, ს.ერემიანი, ე.მარქარიანი, ვ.აბაევი, მ.ბლიუვი, ზ.ბუნიათოვი, გ.ძიძარია, ზ.ანჩხაძე, ტ.კუმიკოვი, ა.გადაგათლი, ა.შახსაიდოვი და სხვები.

მნიშვნელოვანი შრომებია შექმნილი რუსი საბჭოთა მკვლევრების მიერაც. ესენია: ბ.ბ.პიოტროვსკი, ე.ი.კრუპნოვი, ლ.ი.ლავროვი, ა.ბ.ლადიშენსკი, ნ.ი.პოკროვსკი, მ.ო.კოსვენი, ა.პ.ნოვოსელცევი და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოჩამოთვლილ ავტორთა უმეტესი ნაწილი კავკასიონლოგიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სკოლას მიეკუთვნებოდა. კავკასიონლოგია, სსრკ პირობებში, ერთადერთი სამეცნიერო დარგი იყო, რომელიც რეგიონის ხალხთა ეთნოკულტურული თავისებურებების შესწავლას ახერხებდა. სამწუხაროდ, მათი “პროდუქცია” ფართო საზოგადოებას ნაკლებად მიეწოდებოდა (ის არ პასუხობდა სსრკ გენერალურ გეგმას - “საბჭოთა ხალხის” ჩამოყალიბების იდეას, რომლის თანახმად, ცალკეული ერები მნიშვნელობას კარგავდნენ). მას, როგორც წესი, ეცნობოდა სტუდენტი-ისტორიკოსთა აუდიტორია, რომელსაც ეთნოგრაფიის ლექციას სულ ერთი სემესტრის განმავლობაში უკითხავდნენ.

კავკასიოლოგიური სკოლის მუშაობის **მეოთხე ეტაპად** შეიძლება პოსტსაბჭოური კავკასიოლოგია ჩავთვალოთ, რომელსაც, სამწუხაროდ, 1990-იანი წლებიდან ერთგვარი “უძრაობის ხანა” დაეწყო. კავკასიაში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებაშიც, ნეგატიურად აისახა. ამ დეზინტეგრაციული პროცესების ლოგიკური შედეგია ის, რომ დღეს კავკასიაში უამრავი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემა შექმნილი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აქაური ლოკალური კონფლიქტები (მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, ე.ნ.სამხრეთ ოსეთი, ჩეჩენეთი) რეგიონულში - საქართველო-რუსეთის ომშიც კი გადაიზარდა (2008 წლის აგვისტოში).

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო წლებში ამ დარგში გარკვეული გამოცოცხლება იგრძნობა - კავკასიოლოგიური ცენტრები იქმნება და აქტიურდება თბილისში, ბაქოში, როსტოვში, ნალჩიკში, მახაჩკალაში, მაიკოპში და ა. შ. რეგულარულად გამოდის უურნალები, ენყობა სამეცნიერო კონფერენციები და, რაც ყველაზე მთავარია, მზადდება კავკასიოლოგთა ახალი კადრები.

ამასთან, აშკარაა, რომ ახალი კადრების სრულფასოვანი მომზადება, საერთო რეგიონული საკითხების კვლევა და კავკასიის სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარება ხალხებს შორის თანამშრომლობას მოითხოვს. ყოველივე ამისათვის, როგორც უკვე დასაწყისშივე აღვნიშნეთ, საჭიროა კავკასიის პრობლემების ახლებურად გააზრება თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად.

## კავკასიის გუნება

კავკასია მთიანი გეოგრაფიული რეგიონია, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს. ქართველი მეცნიერის ლევან მარუაშვილის ნაშრომის “კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის” თანახმად, ეს რეგიონი მოიცავს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არსებულ მთისწინეთსა და ვაკეს ქ.ტამანიდან ქ.მახაჩკალამდე, ანუ ჩრდილოეთ კავკასიას (იმიერკავკასიას - სიგრძე 900 კმ. და მაქსიმალური სიგანე

300 კმ.), კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს, სამხრეთ კავკასიას (ამიერკავკასიას), რომელიც მოიცავს მთათაშორის ბარს (საქართველოსა და აზერბაიჯანში), მცირე კავკასიონს (სომხეთში) და თალიშის მთებს (აზერბაიჯანსა და ირანში) (2). კავკასიას გეოგრაფიულად მიეკუთვნება თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც.

კავკასიონის მთავარი ქედით კავკასიის დაყოფა ორ ნაწილად - ჩრდილოეთად და სამხრეთად - პირობითია არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ გეოგრაფიული მოსაზრებითაც. მაგალითად, აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიად ითვლება, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს, რუსეთის კრასნოდარის მხრის ქ.სოჭი კი, რომელიც მიკუთვნებულია ჩრდილო კავკასიას, მთავარი ქედის სამხრეთით მდებარეობს (3). ასევე პირობითია კავკასიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად გაყოფაც (ჩრდილოეთ კავკასიაში გამყოფი ხაზი სტავროპოლის მაღლობია, სამხრეთში კი - სურამის ანუ ლიხის ქედი).

კავკასიონზეა განლაგებული ევროპასა და წინა აზიაში ყველაზე მაღალი ხუთი მთა, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 5 ათას მეტრს აღემატება. ესენია: იალბუზი (5635 მ.), შხარა (5201 მ.), დიხ-თაუ (5198 მ.), კოშთან-თაუ (5144 მ.), მყინვარწვერი ანუ ყაზბეგი (5047 მ.). კავკასიის მთავარ ქედზე გადის ცნობილი ულელტეხილები: მარუხის, ქლუხორის, მამისონის, ჯვრის და სხვა. ამათ გარდა, იყო და არის ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის ულელტეხილი და გზა-ბილიკი. სხვათა შორის, კავკასიელებს შორის ურთიერთობებში გზა დამაბრკოლებელი ფაქტორი არ ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ფუნქციას ისტორიაში მაინც ორი გასასვლელი ასრულებდა: ერთს - დარიალის ხეობის გავლით, რომელსაც მოგვიანებით რუსებმა “ალანსკე ვოროტა” (“ალანის კარი”) უწოდეს, მეორეს კი, დარუბანდის გავლით - “შელეზნიე ვოროტა”-ს (“რკინის კარი”).

კავკასია შედის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სისტემაში, სადაც კონცენტრირებულია ჯერ კიდევ ინდოევროპამდელი “შუაგული სამყაროს” კულტურის ყველაზე უძველესი კომპონენტები (სხვაგვარად ამ რეგიონს “იოკუმენას”,

ანუ ადამიანებით დასახლებულ ადგილს უწოდებენ). საინტერესოა, რომ ბევრი ამ ელემენტთაგან შეიძლება კავკასიის ხალხთა ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში დავინახოთ. კასპიის ზღვის სანაპიროზე და ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიის უდელტეხილებზე გადიოდა მარშრუტები, რომლებიც ანტიკურ და შუა საუკუნეების პერიოდში დიდი აბრეშუმის გზის განშტოებებს მიეკუთვნებოდა (4).

კავკასიის ბუნება მრავალფეროვანია, აქ ორიგინალურადაა შეხამებული მშრალი და ნესტიანი სუბტროპიკების პეიზაჟები. თბილი ზღვებისა და ყინულოვანი მთების ასეთ სიახლოვეს დედამინაზე იშვიათად თუ ნახავთ.

კავკასია ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის სარტყელების საზღვარზე მდებარეობს. კავკასიონის მთავარი ზყალგამყოფი ქედი კი მნიშვნელოვანი კლიმატგამყოფიცაა - იგი აპრელებს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების გავრცელებას სამხრეთისაკენ, ხოლო სამხრეთის თბილი ჰაერისას - ჩრდილოეთისაკენ. სწორედ ამიტომაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიას შორის მკვეთრ კლიმატურ განსხვავებას ვხედავთ. როგორც წესი, ჩრდილო კავკასიას მიაკუთვნებენ ზომიერ სარტყელს, სამხრეთს კი - სუბტროპიკულს. საშუალო წლიური ტემპერატურული განსხვავება  $6^{\circ}$  აღწევს (სამხრეთით  $+16^{\circ}$ , ჩრდილოეთით კი -  $+10^{\circ}$ ).

კლიმატური განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიას შორის განსაკუთრებით შესამჩნევია ზაფხულში. დასავლეთ კავკასიაში ხმელთაშუა ზღვის კლიმატის გავლენა იყრძნობა, ზაფხული აქ შედარებით ნაკლებად მშრალი და ცხელია, ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც აშკარა აზის უდაბნოებიდან შემოჭრილი ცხელი ჰაერის გავლენა. ივლისის საშუალო ტემპერატურული განსხვავება დასავლეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში  $5-6^{\circ}$  აღწევს (შესაბამისად,  $+23-24^{\circ}$  და  $+25-29^{\circ}$ ) (5).

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ კლიმატი და ლანდშაფტი კავკასიის მთავარი ვერტიკალური ზონალობის კანონს ემორჩილება (ეს იდეა ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს, რომელმაც სამეურნეო-ზონური თავისებურებების ახსნას საფუძვლად ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა დაუდო). რელიეფის სიმაღლის ზრდასთან ერთად კლი-

მატიც იცვლება - ის ჯერ სუბტროპიკულიდან ზომიერად თბილში გადადის, შემდეგ კი სხვადასხვა ტიპის ცივ სარტყელში. შესაბამისად იცვლება ლანდშაფტიც: მაღალ ზონებში (თოვლის ხაზის დაბლა) ალპური და სუბალპური მდელოებია, რომლებიც საზაფხულო საძოვრებად გამოიყენება; მათ ქვემოთ ტყით დაფარული ზონა მდებარეობს, კიდევ უფრო ქვემოთ მდებარე ზონებში კარგად იზრდება ხილი, თხილი, ვაზი, ხორბალი, ბამბა და სხვა სითბოსმოყვარული კულტურები. დაბოლოს, კოლხეთისა (საქართველო) და ლენქორანის (აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთი) დაბლობში, ასევე ზოგიერთ სხვა რაიონებში არსებული ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს სუბტროპიკული კულტურების განვითარებას.

კავკასია ძალზე მდიდარია ჰიდრორესურსებით. მთავარი მდინარეები, რომლებიც კასპიის ზღვაში ჩაედინება, არის მტკვარი (არაქსით), კუმა, თერგი, სულაკი. მდინარე ყუბანი ერთვის აზოვის ზღვას. ენგური, რიონი, ჭოროხი - შავ ზღვას. სიგრძის მიხედვით კავკასიის ყველაზე დიდი მდინარეებია მტკვარი (1515 კმ.), ყუბანი (941 კმ.), არაქსი (914 კმ.) და თერგი (600 კმ.).

კავკასიაში ორი ათასზე მეტი ტბაა. ისინი მცირე ზომისანი არიან, სევანის (გოგჩის) ტბის გამოკლებით. სევანის ტბა მდებარეობს სომხეთში, 1914 მ. სიმაღლეზე, მისი ფართობია 1416 კვ.კმ., სიღრმე კი 99 მეტრი. ამ ტბიდან გამოედინება მდინარე რაზდანი და არაქსის უერთდება.

მდიდარია კავკასიის ფლორა - მცენარეთა სამყარო აქ 6 ათასი სახეობითა წარმოდგენილი. როგორც საბჭოთა სპეციალისტები თვლიდნენ, ეს რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა სსრკ მთელ ევროპულ ტერიტორიაზე არსებულ მცენარეთა სახეობას. ასევე მრავალფეროვანია კავკასიის ცხოველთა სამყარო (ფაუნა), წიაღისეული (რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, მანგანუმი, ვერცხლი, ნავთობი, კირი, მინერალური წყლები, თიხა და სხვა). რეგიონი გამოირჩევა საშენი მასალის მნიშვნელოვანი მარაგით (ხე-ტყე, ქვა, ტუფი). კავკასიელები ოდითგანვე ითვლებოდნენ ქვისა და ხის დამუშავების კარგ ისტატებად. გარდა ამისა, ხარისხიანი თიხის არსებობამ სამეთუნეო წარმოების ფართო განვითარებაც განაპირობა.

## კავკასიის მოსახლეობა

კავკასია, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მრავალფეროვანი მოსახლეობით და ტრადიციული კულტურის მდგრადიბით გამოირჩევა. აქ სულ რაღაც 450 ათას კვ.კმ -ზე 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. მიჩნეულია, რომ იბერიულ-კავკასიური (აბორიგენული) ენები თავისი სტრუქტურით, მდიდარი ლექსიკით და სისტემა — სტრუქტურით უძველეს ენათა ოჯახს მიეკუთვნება (6).

გამოკვლეულია აგრეთვე, რომ ძირძველ კავკასიელებს მიწათმოქმედების კულტურის შექმნასა და განვითარებაში უდიდესი როლი მიუძლვით. სამხრეთ კავკასია მიჩნეულია ხორბლეულის ზოგიერთი ენდემური ჯიშისა და მეფუტკრეობის სამშობლოდ.

აღიარებულია, რომ კავკასია დედამიწის იმ რაიონთა რიცხვში შედიოდა, სადაც გარეული ცხოველების მოშინაურება ხდებოდა. აქ იქნა გამოყვანილი მრავალი ადგილობრივი ჯიშის საქონელი: ყაბარდოული ცხენი, ბალყარული ხარი, ხევსურული ძროხა, ოსური თხა, ცხვრის რამდენიმე სახეობა (თუშური, ყარაჩაული, ლეზგური) და სხვ.

კავკასია განთქმულია მებალეობითა და მევენახეობით. ქართველი ეთნოლოგი მედეა ქანთარია მიანიშნებს, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა ტრადიციული სამეურნეო კულტურა ჩამოყალიბებული იყო ეკოლოგიური მიდგომის პრინციპით. ეს გამოიხატებოდა ეთნოდასახულებაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბუნების მიმოქცევის პროცესში ადამიანის ჩარევა მინიმალური ყოფილიყო (7). მაგალითად, კავკასიის მთიელებში გავრცელებული წესი იყო, რომ თუ მონადირე, თემში დადგენილი წესის დარღვევით, ნადირის ზედმეტ რაოდენობას მოკლავდა, შემდეგ მას ნადირობისთვის თავი უნდა დაენებებინა და თოფი დაემარხა.

კავკასიაში ცხოვრობდნენ ცნობილი მეტალურგი ტომები. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავებამ.

კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი კულტურის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს თევზი-ვიშაპების ძეგლები, რომლებთაც ქვის სკულპტურების სახით სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა წარმოდგენილი და არ მეორდება მსოფლიოს არც ერთ სხვა რეგიონში.

კავკასიის ხალხთა კულტურა ასახულია როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი ხალხების მითებსა და რელიგიურ წარმოდგენებში. მაგალითად, ადგილობრივი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მიეკუთვნება: საერთოკავკასიურ საგმირო ეპოსში - თქმულება ნართებზე; თქმულება ამირან-აბრასეკო-მხერზე და ა.შ. ირანულ ეპოსში (“ავესტა”-ში) კავკასიის ყველაზე მაღალი მთა იალბუზი (ყაბარდო-ბალყარეთი) წარმოდგენილია სამყაროს ცენტრად, ბედნიერების მთად (8).

შუმერული ეპოსი გილგამეშზე, რომელშიც მსოფლიო წარლვნის შემდგომ დედამიწის მცხოვრებთა ხელმეორედ განსახლების შესახებაა მოთხოვნილი, კავკასიას უკავშირდება - მასში ფიგურირებს მთა არარატი, რომელზეც ბიბლიური ნოეს კიდობანი არსებობს. ეპოსის მიხდვით, სწორედ აქ დაიწყო ნოემ მიწათმოქმედება და დარღოვაზი, გააშენა ვენახი (9).

რომანტიკულია უძველესი ბერძნული მითი პრომეთეს შესახებ: როგორც ცნობილი ქართველი ეთნოლოგი ვახტანგ შამილაძე წერს, კავკასიის მაღალ მთაზე იტანჯებოდა მკაცრი და შეუბრალებელი ზევსის მიერ მიჯაჭვული პრომეთე - კულტურული გმირი, რომელმაც ადამიანებს ცეცხლი მისცა. სწორედ აქ ჩაიდინა ჰერაკლემ თავისი კეთილშობილური გმირობა, გაათავისუფლა რა ხალხის ეს მფარველი საშინელი სასჯელისა და ტანჯვისაგან (10). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი რუსი მეცნიერის იური უდანოვის მინიშნებაც: “ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პრომეთე კავკასიაში დაიბადა და რომ ამის შესახებ ჰეგელი თავის “ესთეტიკაშიც” მიუთითებს” (11).

დრამატიზმითაა აღსავსე ძველი ბერძნული თქმულება არგონავტებზე, რომლებიც რაინდული თავგადასავლებით განთქმული გმირები იყვნენ: შორეულ წარსულში კოლხეთში მდებარე ქალაქ ფაზისში (ფოთში), იასონის მეთაურობით, ხომალდი “არგო” შემოვიდა. არგონავტები მოვიდნენ იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდოთ ჯადოსნური ძალისა და სიმდიდრის სიმბოლო - “ოქროს საწმისი”.

ამრიგად, კავკასიელების მიერ აგრარულ ცივილიზაციაში მაღალკულტურულმა განვითარებამ და მასში შეტანილ-მა წვლილმა გარესამყაროსათვის ის რომანტიკული ელფერი განაპირობა, რომელიც დიდხანს თან სდევდა კავკასიას.

## პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობა

არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და სხვა სამეცნიერო დისციპლინათა მონაცემებით დასტურდება, რომ წინა აზიისა და კავკასიის კულტურებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. წიშანდობლივია ისიც, რომ არქეოლოგების მტკიცებით, **მატერიალური კულტურა კავკასიაში თანმიმდევრულად ვითარდებოდა.** ეს იმას მონმობს, რომ აქ ადამიანი მუდმივად ცხოვრობდა. აკადემიკოს არქეოლოგ ოთარ ჯაფარიძის აზრით, ქვის ხანაში კულტურის მემკვიდრეობითი განვითარება კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ ერთგვაროვნებაზე მიანიშნებს (12).

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კავკასიაში ხშირი იყო ძველი ადამიანების მიგრაციები წინა აზიიდან, რაც ძირითადად ორი მარშრუტით სრულდებოდა: აღმოსავლური - კასპიის ზღვით და დასავლური - ანატოლიის გავლით. შავი ზღვისკენ მიმავალი ორივე გზა კავკასიაზე გადიოდა. “კავკასიაში, - მიიჩნევს რუსი მეცნიერი ი. ფიოდოროვი, - მოსული და აბორიგენული მოსახლეობის ურთიერთშესამება სხვადასხვა ეტაპებზე ამ ხალხთა ეთნიკური ისტორიის შინაარსს შეადგენს” (13).

ანთროპოლოგები თვლიან, რომ თანამედროვე კავკასიის აბორიგენული მოსახლეობა განეკუთვნება დიდი ევროპეიდული რასის სამხრეთ შტოს, ანუ ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. იგი, თავის მხრივ, სამ დიდ რასობრივ შტოდ იყოფა: ინდო-პამირულ, ხმელთაშუა-ბალკანურ და წინააზიურ რასებად. მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ სამი დიდი განშტოების წარმომადგენლები იქცნენ კავკასიის თანამედროვე ადგილობრივ მცხოვრებლებად: კასპიური ტიპად (აღმოსავლეთ აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ დაღესტანი); პონტოურ ტიპად (კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში - ადილელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზელები); კავკასიურ ტიპად (კავკასიონის მთიანეთი, საქართველო, დასავლეთ აზებაიჯანი).

ცნობილი ქართველი ანთროპოლოგი მ. აბდუშელიშვილი თვლიდა, რომ “სამივე ამ განშტოების კავკასიური ნაირსახეობები ერთმანეთთან მსგავსების გარკვეული კომპლექ-

სითაა დაკავშირებული და ამიტომ თამამად შეიძლება მსჯელობა მათ კავკასიურ ერთობაზე”. მისივე აზრით, ამგვარ “კავკასიურ ერთობას” ფესვები საუკუნეების სიღრმეში ადგილობრივ აქვს გადგმული, ვინაიდან რაც უფრო ძველია ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოანთროპოლოგიური მასალა, მით უფრო მეტია მათ შორის მორფოლოგიური მსგავსება” (14).

ამრიგად, არქეოლოგიურ კულტურათა საერთოკავკასიური ერთობა და ანთროპოლოგიური ნათესაობა საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ქვის ხანაში კავკასიური სუბსტრატი არსებობდა. ეს უკანასკნელი საფუძვლად დაედო იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩამოყალიბებას. კავკასიური ენობრივი ერთობა, მეცნიერთა აზრით, ზედა პალეოლითის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. ჰიპოთეზა კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილმა რუსმა ენათმეცნიერმა და კავკასოლოგმა პეტრე უსლარმა გამოთქვა. კავკასიურ ენებს ლექსიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური და ფონეტიკური ერთობა აკავშირებთ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე XI საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის შესახებ, რომლის თანახმად, კავკასიელები ბიბლიური ნოეს შვილთაშვილის - თარგამოსის შთამომავლები არიან. არქეოლოგი გივი ლამბაშიძე ამ კონცეფციის შეფასებისას სამართლიანად ხაზს უსვამს, რომ “კავკასიელთა საერთო წარმომავლობის მროველისეული კონცეფცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის, სავარაუდოდ, უძველეს ტრადიციასაც ასახავდა და, ამავე დროს, თავისი ეპოქის მსოფლმხედველობა-სულისკვეთებასაც გამოხატავდა” (15).

პალეოკავკასიური ეთნოკულტურული და ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისად მეცნიერები პალეოლითიდან ნეოლითში გარდამავალ პერიოდს მიიჩნევენ, რასაც ხელი კავკასიის რთულმა გეოგრაფიულმა რელიეფმა შეუწყო. ძველი წ. აღ.-ის V-IV ათასწლეულში პალეოკავკასიური ერთობა სამ ეთნიკურ ერთობად - დასავლურ (აფხაზურ-ადილურ),

აღმოსავლურ (ნახურ-დაღესტნურ) და სამხრულ (ქართველურ) ერთობებად დაიშალა.

პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის “კვალი” ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხთა კულტურების ურთიერთქმედებაში კარგად ჩანს შემდგომ ათასწლეულებ-შიც: არქეოლოგები ხაზს უსვამენ ძვ. წ. აღ.-ის III-I ათასწლეულებში გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურათა პარალელებს (ჩრდილო კავკასიაში - მაიკობი, ყობანი და სამხრეთ კავკასიაში - მტკვარ-არაქსი, კოლხეთი). მოპოვებული მასალები გვამცნობენ, რომ აქ მცხოვრებ ხალხებს საკმაოდ განვითარებული სამინათმოქმედო-სასაქონლე მეურნეობა ჰქონდათ. ცნობილია, რომ ამ კულტურების არეალში ჩნდება ტერასული მინათმოქმედება და გადარეკვითი მესაქონლეობა. მოგვიანებით, ყობანისა (ჩრდილო ოსეთი - ალანია) და კოლხეთის არქეოლოგიურ კულტურათა შედარებითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ მათ შორის რკინის ინვენტარისა და საპროდოლო იარაღების დამზადება-გამოყენებაში ერთგვარი პარიტეტი არსებობდა.

ამ კულტურათა მასალების შესწავლა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ II ათასწლეულის მეორე ნახევრის კავკასიაში იწყება პირველყოფილი საზოგადოების დაშლა და საფუძველი ეყრება ახალი კლასობრივი დიფერენცირებული საზოგადოების წარმოქმნას. სახელმწიფოებრივი კულტურის განვითარება კი ხელს უწყობს ეთნოგენეტიკური პროცესების შემდგომ განვითარებას.

## სახელმწიფოებრივი ტრადიციული კულტურა

ძვ. წ. აღ.-ის II ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ტომთა კავშირების ჩამოყალიბება იწყება. ხეთების სახელმწიფოს წარმოქმნამ და ურარტუს აღზევების ხანამ კავკასიის ტომთა ურთიერთკავშირები კიდევ უფრო გააძლიერა. დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. აღ.-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე წარმოქმნება დიაოხის სამეფო, შემდგომ საუკუნეებში - კოლხა, ეგრისი (კოლხეთი). ანტიკური ხანის IV საუკუნეში შეიქმნა პირ-

ველი აღმოსავლეთ - ქართული იბერიის სამეფო, რომელსაც ფარნავაზი ედგა სათავეში.

სომხების პირველ სამეფოებად, ცნობილი რუსი არმენოლოგის ი.მ.დიაკონოვის თვალსაზრისით, მიჩნეულია მელიდი და ტაბალი, რომლებიც ძვ. წ. აღ.-ის VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ანტიკური ხანის სომხების სახელმწიფოებრივი აღზევების ხანად ითვლება ძვ. წ. აღ.-ის II-I საუკუნეების „დიდი სომხეთი”, რომელიც კასპიის ზღვიდან ეგვიპტემდე იყო გადაჭიმული. სომხეთმა ყველაზე დიდ წარმატებას დიდი ტიგრანის მეფობის დროს (ძვ. წ. აღ.-ის 95-55 წწ.) მიაღწია. სხვათამორის, ბევრი მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ ამ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომხი ხალხის გენეტიკური იდენტობის შენარჩუნების საქმეში: “სომხებმა მასზე გაცილებით მეტი იციან, ვიდრე მოგვიანებით არსებულ სხვა სომხურ სახელმწიფოებზე” (16).

რაც შეეხება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოშობილ პირველ სახელმწიფოს, ის მანას სამეფოს სახით არსებობდა (ძვ.წ. აღ.-ის IX-VI საუკუნეები) სამხრეთ აზერბაიჯანში (დღევანდელი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში). მანელთა სამეფოს დაცემის შემდეგ მისი ტერიტორია ჯერ მიდის, შემდგომ აქემენიდური ირანის შემადგენლობაში შედის. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში (ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ძვ.წ. აღ.-ის II საუკუნეში კავკასიის ალბანეთის სახელმწიფო წარმოიქმნა. ქართველ და აზერბაიჯანელ მეცნიერთა აზრით, „არის ყველა საფუძველი იმისა, რომ ალბანური ენა კავკასიურ ენათა ჩრდილო-აღმოსავლურ ოჯახს მივაკუთვნოთ“ (17). სტრაბონის ცნობით, კავკასიის ალბანეთი 26 ტომით იყო დასახლებული. მათ შორის იყვნენ გელები და ლეგები (ქართულად - ლეკები). დაღესტნელ მეცნიერთა აზრით, „ლეკებში მთლიანად დაღესტნის ხალხებია ნაგულისხმევი“ (18). დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამხრეთ დაღესტანი კავკასიის ალბანეთის ნაწილი იყო.

კავკასიაში საზოგადოების სახელმწიფოებრივი მართვის ქალაქური კულტურის ტრადიციის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი ანტიკურ ხანას (ჩვ.წ.აღრიცხვამდე VI-V საუკუნეები) მიუძღვის, როცა შავიზღვისპირეთში (ჩრდილო და სამხრეთ კავკასია) ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები -

პოლისები არსებობდა. სხვადასხვა დროს კავკასიაში 30-ზე მეტი ასეთი ქალაქი წარმოიქმნა, მათ შორის ფაზისი, დიონ-კურია, პანტიკაპეონი და ფანაგორია. ჩრდილო კავკასიაში ჩამოყალიბდა ბოსფორის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მეოთები და სინდები - დღევანდელ ადილელ ხალხთა წინაპრები. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბოსფორის სამეფოს ახლოს სინდების სახელმწიფოც არსებობდა. მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: “ბოსფორის სახელმწიფოსთან მიერთებამდე, სინდებს, ძვ. წ. აღ.-ის V საუკუნეში თავიანთი სახელმწიფო ჰქონდათ, რომელიც საკუთარ მონეტას (ფულს) ჭრიდა “სინდონ”-ის წარწერით. სინდთა სამეფოს დედაქალაქი იყო ქ. სინდიკი, რომელსაც ძვ.წ. აღ.-ის IV საუკუნეში გიორგიპია ეწოდა” (19).

ჩრდილო კავკასიაში არსებული ანტიკური ხანის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლები მდგრადობითა და თვითმმართველურ სასოფლო თემებთან ორთაბრძოლებით გამოირჩეოდნენ.

სომხეთს, საქართველოსა და კავკასიის ალბანეთს უკავშირდება ქრისტიანული სარწმუნოების მიღება და შემდგომ მთელ რეგიონში მისი გავრცელება. “ირანელების მიერ კავკასიაში ზოროასტრიზმის იძულებით გავრცელების წინააღმდეგ ვარდან მამიკონიანის მეთაურობით 451 წელს მომხდარმა ბრძოლამ”, - წერს დაღესტნელი მეცნიერი ა. შიხსაიდოვი, - “საერთო კავკასიური ხასიათი მიიღო” (20). ამჟამად ჩრდილო ოსეთში, დიგორცელების გარდა, ქრისტიანული მართლმადიდებლობა ყველა ოსის რელიგიაა. ამ რელიგიის მიმდევრებად რჩება ქ. მოზდოკში მცხოვრები ყაბარდოცელების ნაწილიც.

ამასთან ერთად, ჯერ დაღესტანში (VII საუკუნეში), შემდეგ კი (XII-XIX სს.) მთელ ჩრდილო კავკასიაში ისლამმაც დაიწყო გავრცელება.

სამხრეთ კავკასიას უკავშირდება ქართული, სომხური და ალბანური, დამწერლობის შექმნა. საინტერესოა, რომ ქართული დამწერლობა, არაბულთან ერთად, ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ჩრდილო კავკასიის ხალხებში, რაც დღემდე შემონახულია ამ პერიოდის მატერიალუ-

რი კულტურის ძეგლებში. ქართული წარწერებია ტყობა-ერდის (ინგუშეთი), შოანთას (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), დათუნას (დაღესტანი) და სხვა ეკლესიებზე.

თანამედროვე კავკასიის ერთიან კულტურულ სივრცეს, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ღრმა ისტორიული მესამერება ახასიათებს, რასაც ხაზს უსვამენ მეცნიერები და ლენგვი, გ.გაჩევი, ვ.დმიტრიევი და სხვები. მაგალითად, როგორც ვ.დმიტრიევი წერს, ისტორიული მესამერების “ხანგრძლივობა აიხსნება მტკიცე ნათესაური კავშირებით, რომელშიც იგულისხმება VII-XII თაობებიც კი და მათი წინაპრების ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები. აქ დღესაც საკმაო ხშირ მოვლენას წარმოადგენს წარსულ გმირთა გახსენება” (21).

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში ხალხის მესამერება დღესაც, გარდამავალ პერიოდში, რეგიონის ხალხის კულტურული იდენტობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

დასასრულს, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ კავკასიის აგრარულ ცივილიზაციაში საუკუნეების მანძილზე ტრადიციული კულტურა ჩამოყალიბდა, რომლის დამახასიათებელი თვისებებია: ა)ადამიანის ცხოვრების რაინდული წესი; ბ)სტუმართმოყვარეობა; გ)უფროსი ასაკის ადამიანისადმი პატივისცემა; დ)საოჯახო კულტურული კომპლექსი (ხელოვნური დანათესავების ფორმების ჩათვლით).

კავკასიაში ადგილობრივი მცხოვრების (კავკასიელის) აზროვნების ძირითად დომინანტურ მატრიცას დღესაც ტრადიციული კულტურის ეს ფასეულობები წარმოადგენენ. ერთი შეხედვით, თითქოსდა ეთნიკურ (ტრადიციულ) და მოდერნულ (თანამედროვე) კულტურებს შორის ბალანსია დარღვეული, მაგრამ მათ შორის დაპირისპირება არ არის. პირიქით - არის ურთიერთშესამების, თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესაძლებლობა.

### თავი III კავკასიური იდეა დროის ჭრილში

დასმული პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას ჩვენს დროში იძენს. პოსტსაბჭოური კავკასია დეზინტეგრირებულია, მოცულია კონფლიქტებით, შესუსტებულია შიდა-კავკასიური თანამშრომლობა და ა.შ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქართველოს ცხინვალის რეგიონში არსებული ლოკალური კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომშიც კი გადაიზარდა. ამ ომის შეწყვეტას, როგორც ცნობილია, ხელი შეუწყო საგარეო ფაქტორმა (აშშ-ის, საფრანგეთის ჩარევამ და სხვა). სამწუხაროდ, ომის დღეებში ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ „დავშორდით“ კავკასიის ხალხები ერთმანეთს ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე. ჩვენი შიდაკავკასიური პრობლემების მოგვარებას ჩვენ თვითონ ვერ უზრუნველვყოფთ, რაც კიდევ უფრო სხვაზე დამოკიდებულს გვხდის. ასეთი ვითარება საზიანოა ჩვენი უსაფრთხოებისათვის, ხელს უშლის მოდერნიზაციას და კავკასიაში დემოკრატიული საზოგადოებების ფორმირების პროცესს.

სსრკ და „ცარიზმის“ პირობებში კავკასიოლოგიაში კავკასიური იდეა, ანუ კავკასიის დამოუკიდებელ ხალხთა ერთობის, რეგიონის მთლიანობის ხედვა შეუძლებული იყო. ფორმაციული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, კავკასიის ხალხთა ისტორიაზე ევროპული მასშტაბის კონცეპტუალური სქემების ექსტრაპოლირება (მისადაგება) ხდებოდა. როგორც წესი, აქ „აღმოჩენილ“ საზოგადოებათა პოლიტიკური თვითორგანიზაციის მრავალი და საკმარის განვითარებული ფორმები ფეოდალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთებად ინათლებოდა, ხოლო რომელ ხალხსაც სახელმწიფოებრიობა გააჩნდა, ევროპისაგან განსხვავებებს მასშიც „პოულობდნენ“.

კავკასიელებს შორის არსებული ეთნოკულტურული განსხვავებები მათი „კულტურულებად“ და „არაკულტურულებად“ დაყოფის საფუძველი ხდებოდა, სადაც, რა თქმა უნდა, კავკასიურ იდეას ადგილი ძნელად თუ მოეძებნებოდა.

## გაერთიანებული კავკასია XI-XII საუკუნეებში: ნათესაზრი თუ ძალატანითი კავშირი?

კავკასიაში, XI-XII საუკუნეებში, ევროპის მსგავსად, აგრძარული ცივილიზაციის სოციოკულტურულმა განვითარებამ იმ დონეს მიაღწია, რომელშიც შესაძლებელი გახდა ეს საკითხი კონცეპტუალურ დონეზე (ლეონტი მროველი) დასმულიყო და გადაწყვეტილიყო კიდეც. ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ს. ერემიანი ხაზს უსვამს, რომ ლ. მროველის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო ეთნოგენეტიკურ წარმომავლობაზე იმაზე მოწმობს, რომ იმ დროს კავკასიელებს შეგნებული ჰქონდათ ოდითგანვე არსებული ურთიერთკავშირები, ერთ ბედქვეშ ყოფნა და იზოლირებულად არსებობის შეუძლებლობა.

ჩვენ პირველ თავში უკვე განვიხილეთ პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის საკითხი. ძველი დროიდან გამოყოლილი სულიერი და კულტურული სიახლოვე კავკასიელთა ისტორიის შემდგომ პერიოდებსაც თან სდევს. ამის კარგი დასტურია არქეოლოგიური კულტურები, ფოლკლორული მასალები და ა.შ.

რა სოციალურ-კულტურულმა და ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა განაპირობა საერთოკავკასიური ერთობის მიღწევა?

პირველ რიგში, აღსანიშნავია კავკასიელის ისტორიული მეხსიერება. აქ, კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეში, ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ადგილობრივ ხალხებს შორის თანამშრომლობას შეეძლო, რამაც ერთიანი, კავკასიური ტრადიციის ჩამოყალიბება განაპირობა.

ანტიკური ხანის დასასრულს (ძვ. წ. აღ-ის VIII - ახ. წ. აღ-ის IV საუკუნე) სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება თითქმის ერთდროულად ხდება. ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად ამბიციური გარემოცვისა (რომის იმპერია, ირანი), ქართველებმა, სომხებმა და კავკასიის ალბანელებმა (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) დამოუკიდებლად მიიღეს. პარალელურად, ქრისტიანობა საქართველოდან ჩრდილო კავკასიაშიც ვრცელდება. შემონახულია ცნობები,

რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაღესტანში “ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეტროპოლიეპი” არსებობდა. ასე მაგალითად, სინას მთის სიხოდიკაში მოხსენიებულია “ხუნდახის კათალიკოსი ოქროპირი”, აქვე იყო რამდენიმე ეპარქია - “ანწუხის, წახურისა და ხუნდახისა”. ცხადია, რომ ამ დროს დაღესტნის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში იყო სკოლები, სადაც სწავლა ქართულად მიმდინარეობდა (1). ჩრდილოეთ კავკასიაში დღემდე შემონახულია ქრისტიანული რელიგიის ძეგლები - ტყობა-ერდისა (ინგუშეთი) და დათუნას (დაღესტანი) ეკლესიები, ყარაჩაი-ჩერქეზეთშია X საუკუნის სამი სამონასტრო ტაძარი - ზელენჩუკი, შოანთა, სენტინი (2).

კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციას, დამოუკიდებელ სასოფლო თემთა კავშირების (ანუ “თავისუფალი საზოგადოებების” — მთიან დაღესტანში, ჩეჩენეთში, ინგუშეთში, დასავლეთ ჩერქეზეთში) ჩამოყალიბებას და სახელმწიფოებრივ განვითარებას. რაც შეეხება სასოფლო თემებს, კავკასიოლოგ ლ.ლავროვის აზრით, მათი ბუნება დღემდე ნათელი არ არის. როგორც ის აღნიშნავს, “იმის მიუხედავად, რომ კავკასიის ზოგიერთ ხალხს სახელმწიფოებრივი მოწყობა არ გააჩნია, ისინი პირველყოფილები არ ყოფილან, რადგან ისინი გარე სამყაროდან იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ: მათი ეკონომიკა, კულტურა და ყოფა ისეთ მეზობელ ხალხებთან ურთიერთობების პირობებში ყალიბდებოდა, რომლებსაც განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდათ”. “ამ კონტაქტების შედეგად”, - აგრძელებს ლ.ლავროვი, “კავკასიის ხალხებს, მიუხედავად მათი სოციალური მოწყობისა, სოფლის მეურნეობაში, სახლის მშენებლობაში, მეთუნეობაში მსგავსი ტექნიკური უნარ-ჩვევები ჰქონდათ, ატარებდნენ მსგავს ტანსაცმელსა და იარაღს, ხშირად იყენებდნენ საერთო ორნამენტებს, ფოლკლორულ სიუჟეტებსა და დამწერლობას (უპირატესად არაბულსა და ქართულს), მისდევდნენ თითქმის ერთნაირ საოჯახო ტრადიციებს და ჩვეულებებს, საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს და მეტნილად ერთსა და იმავე რელიგიურ სარწმუნოებას — ქრისტიანობას ან ისლამს იცავდნენ (3). ფაქტობრივად, სახეზეა აგრარული ცივილიზაციის მქონე კავკასიის ტრადიციუ-

ლი კულტურის საერთოკავკასიური ელემენტები, რომლებ-ზეც მეორე თავში უკვე გვქონდა მინიშნება.

ამრიგად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში კავკასიელი ხალხები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, კავკასიის გეოგრაფიულ ცენტრში დავით აღმაშენებლის მიერ გაერთიანებული საქართველოს ირგვლივ დაირაზმნენ. სამხრეთ კავკასიაში განათლებისა და კულტურის დიდი მოღვაწეების - მესროპ მაშტოცის, ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის ქვეყნებმა იმ დროს მსოფლიოს აუწყეს, თუ როგორ შეიძლება ხალხთა ერთობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება ძალდაუტანებლად, დიპლომატიური გზებით. აკადემიკოსი როინ მეტრეველი ხაზს უსვამს, რომ “დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს პირველი რიგის ამოცანა კავკასიის ქვეყნებში პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების შიდაკავკასიური მშვიდობის დამყარება იყო” (4).

საერთოკავკასიურ პოლიტიკურ ერთობასთან დაკავშირებით დღემდე ძირითადად ორი მოსაზრება არსებობს: პირველის თანახმად, ქართულ სახელმწიფოში გაერთიანებული ხალხები საქართველოსთან “ვასალურ დამოკიდებულებაში” იყვნენ და მეორე - საქართველოს ამ ხალხებთან მშვიდობიანი სამხედრო-პოლიტიკური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობების შედები გააჩნდა.

რა თქმა უნდა, ორივე მოსაზრება ცალკე ანალიზს ითხოვს, თუმცა ეს ჩვენი კვლევის საგანი ამჟამად არ გახლავთ. რაც შეეხება კავკასიური იდეის პრაქტიკაში განხორციელების ჩვენეულ შეფასებას, მიგვაჩნია, რომ ეს იყო კავკასიის ხალხთა აგრარული ცივილიზაციის წარმატებული განვითარების შედეგი.

კავკასიაში თათარ-მონღლოლთა შემოსევებამდე საქართველოს მეფის ტიტულატურაში ასახულია საერთოკავკასიური ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპები: “ლმერთის ნებასურვილით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შანშე და შარვანშა, ნიკოპსიიდან დარუბანდამდე”.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ერთიანი დიდი სახელმწიფოს წარმოქმნაში “აქტიურად მონაწილეობდნენ, ჩერქეზები, ოსები, ხუნძები და სხვა ჩრდილოელი მეზობლები” (5). სპარ-

სებისა და თურქ-სელჩუკების გავლენისაგან გათავისუფ-  
ლდნენ და გაერთიანებულ კავკასიაში თავიანთი სახელმწი-  
ფოებრიობა შირვანმა და ჩრდილოეთ სომხეთმა საუკუნეზე  
მეტხანს შეინარჩუნეს. ს.ერემიანი ხაზს უსვამს, რომ პერი-  
ოდმა, როდესაც სომხური მიწები საქართველოს ფეოდალუ-  
რი მონარქიის შემადგენლობაში შედიოდნენ, შემდეგი თაო-  
ბების (XVIII ს.) გონიერებაზეც ზემოქმედება მოახდინეს. მისი  
აზრით, სომხურ პოლიტიკურ წრეებში სომხური სახელმწი-  
ფოს ალდგენა მარტო ქართულ-სომხური გაერთიანებული  
სახელმწიფოს - საქართველოს ფარგლებში მოიაზრებოდა  
(6).

ფეოდალური საერთოკავკასიური სახელმწიფოს შეფა-  
სებისას ბევრი მეცნიერი ხშირად აპელირებს “ვასალიტეტის”  
ცნებაზე - არგუმენტად მოაქვთ ის, რომ ვითომცდა ამ სა-  
ხელმწიფოში ქართველების “ვასალებად” და “ყმადნაფიცე-  
ბად” ყველა დანარჩენი ხალხი იყო და ამით მათ უთანასწორო  
მდგომარეობაზე მიანიშნებენ.

საინტერესოა გ.თოვოშვილის ალტერნატიული მოსაზ-  
რება, რომელიც “ქართლის ცხოვრების” მონაცემს ეფუძნე-  
ბა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ “დავით  
აღმაშენებლის ჩრდილისა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომი და  
ენანი, მეფენი და ხელმწიფენი, ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი,  
სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი”.  
როგორც გ.თოვოშვილი აღნიშნავს, ამ მონაცემთაგან გამომ-  
დინარე, რიგი ავტორები მცდარ დასკვნას აკეთებენ, რომ  
თითქოსდა ოსები და ყივჩალები საქართველოს ვასალები იყ-  
ვნენ. არადა, მისი თქმით, სავსებით ბუნებრივი კითხვა იძა-  
დება: “ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი დავითისგან  
ისეთივე “დამოკიდებული” იყვნენ, როგორებიც იყვნენ მის-  
გან “ფრანგეთისა” და სპარსეთის მეფეები და ხელმწიფეე-  
ბი?” (7). კავკასიის ხალხთა ისტორიის ამ და სხვა საკითხებზე  
პასუხი ჯერ-ჯერობით გასაცემია.

იყო თუ არა კავკასიური ცივილიზაცია “დავით-თამა-  
რისეული” გაერთიანებული კავკასიის იდეოლოგიური ბაზა?  
ხომ არ იყო კავკასიური იდეა საფუძველი საერთოკავკასიუ-  
რი ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციური სტრუქტუ-  
რის მექმნისა, რომლის დროსაც, შესაძლოა, რევიონის დეფე-  
ოდალიზაცია დაწყებულიყო? მართლაცდა, კავკასიისათვის

ამ პროცესის დაწყება მნიშვნელოვანი იქნებოდა: საზოგადოება უნდა განმენდილიყო იმ დაბრკოლებისაგან, რომელიც საუფლისხულო-მემამულურ სისტემაში გამოიხატებოდა და რომელიც პერსპექტივაში განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი იქნებოდა. დეფერაციალიზაცია ხელს შეუწყობდა საპაზრო-კერძომესაკუთრეობრივი ურთიერთობების განვითარებას, სამოქალაქო სამართალსა და თავისუფლების ხარისხის ზრდას (გავიხსენოთ ყუთლუ-არსლანის გამოსვლები, პიროვნული თავისუფლებისკენ მიმართული პუმანური იდეების საყოველთაო გავრცელება., თავისუფალ მოქალაქეთა ინსტიტუტები, კერძო საკუთრება, სათემო თვითმმართველური საზოგადოებების, სავაჭრო, ხელოსნობის, საქალაქო კულტურის განვითარებული ტრადიცია, კავკასიური საკომუნიკაციო კულტურის და ა. შ. ტრადიციები). ყოველივე ეს ის არგუმენტებია, რომლებიც, შესაძლოა, ახალი სოციალურ-კულტურული რეალობის ჩამოყალიბების საფუძველი გამხდარიყო არამარტო საკუთრივ საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში.

XIII საუკუნის დასაწყისის, ანუ როგორც ზოგჯერ უნიდებებ ხოლმე ამ პერიოდს - "ოქროს ხანის" დროინდელ საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარებამ უკვე იმ დონეს მიაღწია, რომ შეიქმნა წანამძღვრები ნიდერლანდის ბურჟუაზიული რევოლუციის (XVI ს.) მსგავსი მოვლენა მომხდარიყო. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შემდგომი განვითარების პროცესი გარკვეულ პრობლემებს წააწყდა, შემდეგ კი ამას დაემატა მონღოლ-თათართა შემოსევა.

ყოველ შემთხვევაში, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ: XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში განხორციელებული კავკასიური იდეა დაფუძნებული იყო კავკასიის ხალხთა კულტურულ-ცივილიზაციურ ერთობაზე, რომელსაც, თავის ძერივ, საფუძველი პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის დროს ჩაეყარა. გაერთიანებული კავკასიის ცენტრალური ხელისუფლება ძალას იკრებდა, რათა ფეოდალური თვითნებობა აღეკვეთა და დიდგვაროვანთა სამემკვიდრეო სისტემა მეორე პლანზე გადაეწია.

## 1817-1864 წლების კავკასიის ომები და კავკასიური იდეა

XIX ს.-მდე საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში, ტრადიციული კულტურა - აგრარული ცივილიზაცია თავის პოზიციებს ინარჩუნებდა, თუმცა მსოფლიოში, კერძოდ, ევ-როპაში მიმდინარე მოდერნიზაცია კავკასიის სამყაროზეც თავის გავლენას ახდენდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად ამგვარი პროცესი კავკასიაში მეტ-ნაკლებად უკვე XVIII ს.-ში იყო დაწყებული. საქართველოში ის გამოიხატებოდა იოანე ბატონიშვილის “სჯულდება”-ის ანუ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ახლებური მოწყობის პროექტში, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში - “დემოკრატიული ხალხების” ანუ ადილური ტომების - შაფსულდების, ბუედულების, უბიების, ნატუხაელების თავისუფალ თემთა კავშირებში. ამის მიუხედავად, ტრადიციული კულტურის კავკასიის ინსტიტუტები მანიც მოითხოვდნენ ახალ დროსთან შესაბამის ტრანსფორმაციას. თუმცადა, არსებობდა საკმაოდ ძლიერი ხელისშემსლელი ფაქტორები - ადგილობრივი ფეოდალები და რეგიონში შემოსული ცარისტული რუსეთი, რომლებიც ადილური საზოგადოების დემოკრატიზაციის წინააღმდეგ გამოიდიოდნენ. როგორც ადილელი ისტორიკოსი აღი ბიუევი მიიჩნევს, რუსეთსა და ადილე გლეხებს შორის 1796 წელს ბზიუკოვოსთან მომხდარი ბრძოლა სწორედ ამის გამოვლენაა - ეს იყო “დემოკრატიული გადატრიალების მწვერვალი”, რომელიც, თავისი არსით, ანტიფეოდალურიც იყო. მკვლევრის აზრით, შაფსულებმა და სხვა ადილე გლეხებმა რუსეთის არმიის სახით მათ მიერ ბრძოლებით მოპოვებული თავისუფლების, მიწის საკუთრებაზე უფლების, თვითმმართველობაზე და ა.შ. დაკარგვის საფრთხე დაინახეს (8). ასე რომ, გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ახალი სოციალურ-კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესი არამარტო საქართველოში, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიელებშიც შეიმჩნეოდა.

იმავდროულად, მსოფლიოში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ აღმოსავლური კრიზისის მორიგი ფაზა წარმოქმნა. კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს რუსეთი, ოსმალეთი (თურქეთი), სპარსეთი (ირანი) და

ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი) ექიმებოდნენ. მათ შორის XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში დაწყებული ბრძოლა XIX საუკუნეშიც გაგრძელდა და საბოლოოდ რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა.

პირობითად, ეს პროცესი შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ:

**პირველი** - კუჩუკ-კაინარჯის(1774) ზავიდან თურქმანჩაის (1828) და ანდრიანოპოლის (1829) ხელშეკრულებამდე. ამ დროს რუსეთმა ოსმალეთზე და სპარსეთზე გამარჯვებების შედეგად, ფაქტობრივად დაასრულა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური დაპყრობა.

**მეორე** - ჩრდილო კავკასიაში პირველი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბების დაწყება (1828 წ.), რომლის პირველი იმამები ყაზი-მოლა და ჰამზათ-ბეკი იყვნენ. მოგვიანებით, 1834-1859 წლებში, კავკასიური თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც დაღესტნისა და ჩეჩენეთის ტერიტორიების უმეტეს ნაწილს აერთიანებდა და ჩრდილო-დასავლეთ ადილელებთანაც დაკავშირებული იყო, შამილის იმამატის სახელით გახდება ცნობილი.

რუსეთ-კავკასიის ომში ეს სახელმწიფო, ერთი მხრივ, რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ანტიფეიდალური საზოგადოების მოდერნიზაციისათვის მებრძოლი მთავარი ძალა ხდება, რომლის ლიდერებიც კავკასიური იდეით იყვნენ შეპყრობილნი. ალბათ, შამილს კარგად ესმოდა, რომ საერთოკავკასიური მოდერნიზაციული, კაპიტალისტური ტრანსფორმაციის გარეშე ცალკე აღებულ დაღესტან-ჩეჩენეთში მოდერნიზაცია შეუძლებელი იყო. კავკასიის ხალხთა ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც ფართოდ გავრცელდა დანარჩენ კავკასიაში (9), ინტეგრაციას ითხოვდა.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ შამილის იმამატს. რუსულ და საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში იმამატი ნაგულისხმევია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რეგრესად, უკანგადადგმულ ნაბიჯად, რომელიც ისლამის დროშის ქვეშ ხორციელდებოდა. რასაკვირველია, ისლამის ტრადიციებზე აგებულ სახელმწიფოს არამარტო რუსული, არამედ ევროპული საზოგადოებაც ეჭვის თვალით უყურებდა. მაგრამ მო-

დით, გავაანალიზოთ: შამილმა, მართალია, ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, შექმნა თეოკრატიული მმართველობა, მაგრამ იმამატი არ იყო დოგმატურ მუსლიმურ ბაზისზე შექმნილი ზედნაშენი - ის ისლამის შედარებით უფრო კეთილშობილ, ე.წ.აღმოსავლური დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში იმამატი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თვითონ განსაჯეთ: შამილმა გააუქმა ძეველი ტრადიციული, მაგრამ უკვე დრომოჭმული რელიგიური ჩვეულებები, შემოილო კანონთა ერთიანი კრებული ("ნიზამ"), განახორციელა სასამართლო და ადმინისტრაციული რეფორმა, გააფართოვა თვითმმართველობა (სანაიბოებში), ჩამოაყალიბა სახელმწიფო საბჭო (დივან-ხანა) და ა.შ.

შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიური მიურიდიზმი (10), - ხაზს უსვამს მარკ ბლიევი, - კავკასიური ომის შემადგენელი ნაწილია. ის, პირველ რიგში, მთიელთა საზოგადოებრივი შინაგანი მოწყობიდან და ტრადიციული სოციალური წყობის რევოლუციური გარდაქმნის საჭიროებიდან გამომდინარეობს. როგორც მ.ბლიევი აღნიშნავს, ზუსტად ამას უკავშირდება ადათების მიმართ ტოტალური ბრძოლის გამოცხადება, რომელიც, ფაქტობრივად, მთიელთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთადერთი სამართლებრივი რეგულატორი იყო; ჩვეულებრივი სამართლის აკრძალვა და მის მაგივრად შარიათის შემოღება კავკასიური მიურიდიზმის მთვარი მიზანდასახულებაა, რასაც კავკასიელები ტრადიციული საზოგადოებიდან ახალი სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე უნდა მიეყვანა (11).

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამპურობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმდინარე ომებმა და ადგილობრივი ხალხების თავგანწირვამ მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა მოწინავე ქართულ საზოგადოებაში: სწორედ იმ ხანებში, 1860 წელს ილია ჭავჭავაძემ, რუსეთში გზად მიმავალმა, პორტ-პეტროვსკში (დაღესტანი, დღევანდელი მაჰაჩიულა) ყოფნის დროს შექმნა ცნობილი “ქართვლის დედა”, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:

“ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,

კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქ-  
რობს, - და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება”.

ყურადღება მივაქციოთ: ილია ოპტიმისტურადაა გან-  
წყობილი ერთიანი კავკასიის იდეის მიმართ. შესაბამისად,  
დადებითად მიიჩნევს შამილის ლიდერობით წარმოებულ  
ბრძოლას. და ეს; მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ნამდვი-  
ლად იცოდა შამილის საქართველოში შემოჭრის ფაქტი (12)  
და ისიც, რომ რუსეთის არმიამი ჩრდილოკავკასიელების წი-  
ნააღმდეგ ბევრი გავლენიანი და ცნობილი ქართველი, მათ  
შორის გრიგოლ ორბელიანიც იბრძოდა. თუმცა აქვე შევნიშ-  
ნავთ, რომ სწორედ ესეც იყო მიზეზი ილია ჭავჭავაძისა და  
გრიგოლ ორბელიანის დაპირისპირებისა, რომელიც “მამათა  
და შვილთა ბრძოლის” სახელითაა ცნობილი.

ალსანიშნავია, რომ შამილის ანტიფეოდალური ბრძო-  
ლები რუსეთ-კავკასიის ომის პარალელურად მიმდინარეობ-  
და. ფაქტობრივად, ამ ორი ძირითადი ამოცანის მისამართ-  
ვის იგი არაერთხელ (XIX საუკუნის 30-40-იან წლებში) შეეცა-  
და მიემხრო ყაბარდოელები, ჩერქეზები, ოსები, ყუბანის  
მიღმა მცხოვრები ხალხები და სხვა. კავკასიის გაერთიანების  
საქმეში შამილს თურქების დახმარების იმედი ჰქონდა. პირ-  
ველ ხანებში იგი აქტიურად თანამშრომლობს ოსმალეთთან,  
მაგრამ შემდგომ, როგორც ამას ცნობილი კავკასიონლოგი  
ნ.პოკროვსკი აღნიშნავს, „შამილი თანდათან სულ უფრო  
რნწმუნდება, რომ მთიელთა დამოუკიდებლობა შეუძლებელია  
და რომ პროტექტორატის იმედზეც კი არ შეიძლება ყოფი-  
ლიყო - რუსეთის გუბერნიის მაგიერ თურქეთის ვილაიეთი  
იქნება შემოღებული” (13).

ამავე დროს, კავკასიის საზოგადოება დადებითად აფა-  
სებდა კავკასიასთან ახლო თუ შორს მდებარე ქვეყნების  
კულტურულ-ცივილიზაციურ, ინდუსტრიულ დონეს. რო-  
გორც ნ.პოკროვსკი წერს, XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩერ-  
ქეზები სიამოვნებით უღებდნენ კარს და მეგობრულად იწ-  
ვევდნენ „ინგლიზებს”, რათა მოსულიყვნენ მათ ქვეყანაში  
(14). ცნობილია ინგლისის მისიების მუშაობა კავკასიის  
ჩრდილო-დასავლეთში - ჩერქეზთა მხარეში (დ.ურკვარტის  
და ლონგუორის მისიები). სწორედ მაშინ იქნა ინგლისელების  
მიერ თურქეთის ჩარევით მიცემული დაპირება, რომ ჩერქე-

ზებს საერთოჩერქეზული სახელმწიფოს შექმნაში დახმარებოდნენ. საინტერესოა, რომ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე “დიდი ჩერქეზეთის” შექმნის იდეა ჩრდილო-კავკასიელ ნაციონალისტებში დღესაც აღტაცებას იწვევს, მაშინ კი ეს დაპირება განუხორციელებელი დარჩა.

აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთსაც ჰქონდა იდეა ჩრდილო კავკასიაში მთიელთა საზოგადოების სახელმწიფობრივი გაერთიანება “ფედერაციის” სახით შექმნილიყო. ეს იდეა რუსეთის იმპერატორ პავლეს ეკუთვნოდა. მთელი რიგი ძალისხმევის მიუხედავად (ადილთა სახალხო კრება, მთიელთა ყრილობა გიორგიევსკში 1822 წელს და ა.შ.), ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. არადა, ამ დროისათვის რუსეთი რეგიონში თავის კონკურენტებთან შედარებით გაცილებით უფრო “ფეხმოკიდებულია”. აქვე შევნიშნავთ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში კავკასიელები რუსეთთან ლოიალობის საკითხში ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: მომხრეებად და მოწინააღმდეგებად.

რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში XVI-XIX სს.-ში ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ:

**პირველი** - მშვიდობიანი, სამხედრო-სამოკავშირეო ხასიათის მქონე კურსი, რომელიც XVI საუკუნიდან XVIII ს.-ის ოთხმოციან წლებამდე (1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავამდე) გაგრძელდა; **მეორე** - ძალდატახებითი პოლიტიკის ეტაპი, რომელიც 1785-91 წლებში შეის მანსურის სახალხო მოძრაობასთან (ჩეჩენეთში და ინგუშეთში) რუსეთის ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა და შემდგომ, 1817-64 წლებში, რუსეთ-კავკასიის ომში გამოიხატა.

XIX ს.-ში რუსეთის გავლენის უპირატესობა უცხოელ კონკურენტებთან კავკასიაში ორმა მომენტმა განაპირობა. ერთი ისაა, რომ ჩრდილო კავკასიაში თავისი ურთიერთობების პირველ ეტაპზე, მშვიდობიანი “პარტნიორული” პოლიტიკის შედეგად, რუსეთმა შეძლო სოციალური ექსპანსია მოეხდინა. XVI საუკუნიდან მოყოლებული, აქ პერმანენტულად მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია რუსეთის სხვა რეგიონებიდან: გლეხები ბატონყმობას გაურბოდნენ, გამიზნულად ხდებოდა კაზაკების ჩასახლება თერგის, ყუბანის, დონის აუზებში. გარდა ამისა, საეკლესიო განხეთქილების შედეგად ბევრმა “დუხობორმა” XVIII ს.-ის მეორე ნახევარში

რუსეთიდან კავკასიას მოაშურა. მეორე მომენტი ისაა, რომ ცარიზმი თავის ძალდატანებით პოლიტიკას კავკასიაში ახორციელებდა, ერთი მხრივ, ფეოდალურ სოციალურ ფენაზე დაყრდნობით, თვითონვე ანიჭებდა მათ უამრავ პრივილეგიას, მეორე მხრივ - მეფისნაცვლის (15) თანამდებობის შემოღებით და ამით აბსოლუტური მონარქის ნების გატარებას უზრუნველყოფდა. ამგვარი პოლიტიკით რუსეთმა კავკასიაში გაბატონების სოციალური ბაზა და დასაყრდენი გაიჩინა.

XIX ს.-ის დასასრულს, 1897 წელს ჩატარებულმა რუსეთის იმპერიის მოსახლეობის აღნერამ აჩვენა, რომ ამ დროის-თვის კავკასიის 11 გუბერნიაში 9 მლნ. 300 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. აქედან რუსები შეადგენდნენ მთლიანი მოსახლეობის 34%-ს, ქართველები - 14%, სომხები - 12%, თურქულენოვანი მოსახლეობა - 19%, ოსები - 1,8% და ა.შ. მკვდევარი ბ. იშხანიანი აღნიშნავს, რომ ქართველებს წამყვანი მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში ეკავათ და რომ აქ ეროვნული ცხოვრების ნორმებს გლეხები და მსხვილი თავად-აზნაურები განსაზღვრავდნენ. მისივე აზრით, სომხები კავკასიაში გამოირჩეოდნენ სამოქალაქო თვითშეგნებით, მეტი აქტივობით მრეწველობასა და ვაჭრობაში, რითაც მათ სომხური ბურჟუაზიის ჩამოყალიბება შეძლეს (16). აღსანიშნავია, რომ იმ დროს არსებულ ამ კულტურულ-ცივილიზაციურ თავისებურებას — სწრაფად მიმდინარე ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ფაქტორს — რუსეთის იმპერია ხშირად, როცა დასჭირდებოდა, ხალხთა დასაპირისპირებლად იყენებდა. შესაბამისად, ცარიზმი საფუძველშივე ძირს უთხრიდა კავკასიურ იდეას, რომელიც რეგიონში მის ბატონობას საფრთხეს უქმნიდა.

ამრიგად, რუსები კავკასიაში XIX ს.-ის ბოლოს ყველაზე მრავალრიცხვან ეთნოსს წარმოადგენენ. არადა, XIX ს.-ის 20-30-იანი ნლების მიჯნაზე მისი ტრადიციული მეტოქების - თურქეთ-ირანის დამარცხების შემდეგ, კავკასიაში ინგლისისა და საფრანგეთის გამოჩენამ რუსეთი შეაშინა. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთი თურქეთისა და ირანის აგრარულ ცივილიზაციაში “ჩარჩენილ” ქვეყნებთან შედარებით, კავკასიელებს “ცივილიზატორულ” როლში ევლინებოდა (ხშირად ამბობდნენ ხოლმე მაშინდელ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რომ “ევროპას რუსეთზე გავლით ვეზიარეთო”). ევ-

როპაში კი ამ დროისათვის ცივილიზაციური ცვლა დასრულებულია (17), საზოგადოება აქ კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ევოლუციის გზით აგრძარულიდან ინდუსტრიულ, სამოქალაქო საზოგადოებაში გადაიზარდა. არსებოთია, რომ ევროპაში ეს პროცესები (ცივილიზაციური ცვლა) “ქვემოდან ზემოთ” იმართებოდა. ამავე დროს, რუსეთში, პირიქით, საზოგადოების მოდერნიზაცია “ზემოდან ქვემოთ” ხდებოდა, რის შედეგადაც შენარჩუნებულ იქნა აბსოლუტური მონარქია, ეკონომიკური ჩამორჩენა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ფსევდომოდერნიზაციამდე დაყვანა. შესაბამისად, ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს წინ გაუსწრეს და გაძლიერდნენ. ამ დროისათვის ნახევრადფეოდალურ რუსეთს, ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით, კავკასიაში კონკურენტუნარიანი პოლიტიკის გატარება უძნელდებოდა. აი, ამის ეშინოდა ცარიზმს — უფრო ცივილიზებული ევროპელები კავკასიელებისათვის ხომ შედარებით მეტად მიმზიდველი იქნებოდნენ.

რუსეთის კავკასიაში გაბატონების მოწინააღმდევებს შექმნილი მდგომარეობა ხელს აძლევდათ, ევროპულ ორიენტაციაზე და ევროპასთან დაახლოების სხვა გზებზე ეფიქ-რათ. შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული ომი არამარტო კავკასიელების თავისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ რეგიონში მისი ევროპელი კონკურენტების “გაფრთხილებაც” გახლდათ.

კავკასიის ომი დასასრულს უახლოვდებოდა — რუსეთი იმარჯვებდა, როცა დიდმა ილიამ თავის პოემაში “აჩრდილი” სინანულით გამოხატა თავის ქვეყანაში და, მთლიანად, კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა და მისი მომავალი მაინც ერთიანი კავკასიის იდეას დაუკავშირა:

“როდისძა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა,  
თვისთა დიდების ნაშთისა ზედა კვლავცა აღმდგარსა,  
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა  
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?  
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?  
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძღავრ კავკასისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდებიან?” (18).

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (1864 წ.) რუსეთის იმპერიაში მოდერნიზაციულ პროცესებზე “მოთხოვნილება” სწრაფად გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ ცარიზმი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, კაპიტალიზაციას გზას ბოლომდე არ უხსნიდა, XX ს.-ის დასაწყისისათვის კავკასიაში მაინც ბევრი რამ “გაკეთდა”. ამ დროისთვის რეგიონის კულტურულ-ცივილიზაციური სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ კავკასიის ომის დროს განსხვავებული სოციალურ-კულტურული სისტემების ერთ სახელმწიფო ორგანიზმში შეთავსების პრობლემა იდგა, მისი დამთავრების შემდეგ ძირითად მოტივად ერთობლივი განვითარების პრობლემა იქცა, ანუ კავკასიის აქტიური ჩართვა რუსეთის მოდერნიზაციის პროცესებში.

სამწუხაროდ, ხაზს უსვამენ ჩრდილოკავკასიელი მეცნიერები, მოდერნიზაციის (60-70-იანი წლების იმპერიულ-ლიბერალური რეფორმების) მასშტაბური და სილრმისეული გავლენა ადგილობრივი საზოგადოების შინაგან წყობაზე, სამეურნეო და რელიგიურ ცხოვრებაზე უმნიშვნელო იყო. მათი აზრით, უფრო მეტად მოხდა ტრადიციული კულტურის ძირის გამოხვარა, ვიდრე მისი გარდაქმნა. მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ ადგილობრივ საზოგადოებათა პრივილეგირებულმა ფენებმა ვერ მიიღეს ისეთივე უფლებები, რომლებიც რუსეთის მემამულებს გააჩნდათ. გარდა ამისა, მოსახლეობას მთლიანობაში “ინოროდცების” (“სხვაგვარების”) სტატუსი ჰქონდა (19). ამასთან ერთად, აღნიშნული რეფორმების შედეგად, რეგიონში გაიყვანეს რკინიგზა, აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, განვითარება-გამსხვილება დაიწყეს ქალაქებმა, ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან ჩაერთო საბაზრო ურთიერთობებში.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მიმართული იყო იმპერიული სახელმწიფოს გამაგრებისკენ და კავკასიელების ზოგადიმპერიულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირებისაკენ. კავკასიოლოგი ი. ბაბიჩი სამართლიანად უსვამს ხაზს, რომ XIX ს.-ის მეორე ნახევარში რუსეთის სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეოლოგებმა კავკასიაში შემოიღეს ცნება ხალხთა “ინტეგრაცია”, რომლის მიზანი “ერთიანი” სახელმწიფოს ჩამოყალიბების ფუნდამენტის, ერთიანი ხალხის - “როსიანინ”-ის შექმნა იყო. სწორედ ამიტომ, თვლის ი. ბაბიჩი,

XIX ს.-ის მეორე ნახევარში რუსეთის პოლიტიკური ყურადღება იმპერიის კულტურული უნიფიკაციისკენ იქნა აქცენტირებული (20).

ცხადია, ისეთ მრავალეთნიკურ იმპერიაში, როგორიც რუსეთი იყო, “სახელმწიფოებრივი ერთობის” პრაქტიკაში განხორციელებას არ შეეძლო, კავკასიაში წინააღმდეგობა არ გამოეწვია. მაგალითად, ქართველებმა 1905 წელს მოითხოვეს არამარტო წიდებრივი პრივილეგიების გაუქმება, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა (ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით). ამავე პერიოდში, როგორც ა.ბენდიანიშვილი წერს, ქართველების მიერ ყველა მაზრაში რუსული ხელისუფლების დამხობის შემდეგ რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები შეიქმნა. ცარიზმა, - განაგრძობს ავტორი, - სისხლში ჩაახშო საერთო-დემოკრატიული რევოლუცია, ხოლო ქართველი ხალხის მტრებმა 1907 წ. 30 აგვისტოს მოკლეს ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის იბრძოდა (21).

ამრიგად, რუსეთი იმპერიულ-მოდერნიზაციული პოლიტიკას ძეველებური ნახევრადფერდალური მეთოდებით ანხორციელებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცარიზმა კავკასიაში ცივილიზაციური ექსპანსია და საზოგადოების მოდერნიზება ტრადიციული კულტურისაგან მოწყვეტითა და რუსული მმართველობის ჩანაცვლებით განახორციელა, დაარღვია ერთიანი ეთნოკულტურული კავკასიური სივრცე, რომელიც ერთმანეთთან ათასი ძაფით იყო დაკავშირებული. კავკასიის ხალხების “მოდერნიზაცია-ასიმილირების” პოლიტიკამ, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის რეფორმებში (ადმინისტრაციული, აგრარული, სასამართლო, საგანმანათლებლო და ა.შ.) გამოიხატა, ბევრად განაპირობა კავკასიელების ერთმანეთისგან დაშორება და იმპერიულ ცენტრზე მათი “მიბმა”. ყოველივე ამის შედეგად, XX საუკუნის დასაწყისში ეროვნული საკითხი იმპერიაში იმდენად გამწვავდა, რომ რუსეთს ხშირად “ხალხთა საპყრობილეს” (“ტიურმა ნაროდოვ”) უწოდებდნენ.

## კავკასიური იდეა 1917-1921 წლებში

ეროვნული საკითხის სიმწვავე კიდევ უფრო გააღრმავა 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამაც, რომელშიც რუსეთის იმპერია ანტანტის მხარეზე გამოიდოდა “სამთა კავშირის” - გრძმანის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ. ომმა უდიდესი მატერიალური და ცოცხალი ძალის რესურსების მობილიზება მოითხოვა, რომელსაც რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემამ ვერ გაუძლო. 1914-1916 წლებში ქვეყნის მეურნეობა უკიდურესად გაჩანაგდა, კატასტროფულად იმატა სოციალურმა დაძაბულობამ.

ამგვარმა წანამდლვრებმა 1917 წლის თებერვალში საყოველთაო სახალხო რევოლუცია გამოიწვია, რასაც იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დამხობა მოჰყვა. ხელისუფლების სათავეში ბურუუაზიულ-დემოკრატიული დროებითი მთავრობა მოვიდა, რომლის ძალაუფლება იმპერიის ადრინდელ პერიფერიაზე მხოლოდ ფორმალურად ვრცელდებოდა. ნელნელა რუსეთის სახელმწიფოს დაშლა დაიწყო. ცხადია, მსგავსი პროცესები კავკასიასაც შეეხო.

რუსეთის საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა რამდენიმე სამხედრო ბანაკად გაიყო, მოგვიანებით კი მათ შორის არსებული დაპირისპირება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამოქალაქო ომში (1918-1920 წლები) გადაიზარდა.

ომის მთავარი გამომწვევი ფაქტორი იყო 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი ე.ნ.სოციალისტური რევოლუცია, რის შედეგადაც ბოლშევიკი კომუნისტები ვლადიმერ ულიანოვის (ლენინის) ლიდერობით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, მართვა-გამგებლობა დაიწყეს და უარი თქვეს პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობაზე. მათ, სხვა პარტიებთან ერთად, 1917 წლის დეკემბერში მონაწილეობა მიიღეს “დამფუძნებელი კრების” არჩევნებშიც, რომელშიც დამარცხდნენ (22).

როცა 1918 წლის 5 იანვარს მოწვეულმა “დამფუძნებელმა კრებამ” (პარლამენტმა) ბოლშევიკების პირველი დეკრეტები ბათილად სცნო და სხდომაზე მათ მიერ გამოტანილი რეზოლუცია უარყო, მეორე დღეს ბოლშევიკებმა მათივე ნებით მოწვეული საკანონმდებლო ორგანო თვითნებურად გა-

რეკეს. ეს ქმედება, როგორც მოვლენებმა აჩვენა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის დასაწყისი გახდა. ცნობილი ფრანგი სოვეტოლოგი ნ.ვერტი ზუსტად აღნიშნავს შექმნილ ვითარებას: “ხელისუფლება საზოგადოებიდან სახელმწიფოს ხელში გადავიდა, რომელმაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მონოპოლიზება მოახდინა” (23).

ცენტრში მომხდარი მოვლენების ფონზე, კავკასიაში სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ავტონომიურად, განსხვავებული სახით, სპეციფიკურად განვითარდა. როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ინტეგრაციას აქ არსებული კულტურულ-ცივილიზაციური კუთვნილების ფაქტორები და კავკასიელების პოლიტიკური აქტივობის ტრადიცია განაპირობებდა. რადგან აქ ბოლშევიკებს მტკიცე დასაყრდენი არ გააჩნდათ, საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ძალები — ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის “მენშევიკურ” ფრთას წარმოადგენდნენ, აზერბაიჯანელი მუსავატელები და სომეხი დაშნაკები (დაშნაკციუტუნები).

1917 წლის შემოდგომა სამხრეთ კავკასიაში მძაფრი მოვლენებით აღინიშნა: კავკასიის ფრონტის რღვევამ და ოსმალეთ-ირანიდან ბოლშევიკურად განწყობილი რუსული სამხედრო ნაწილების ევაკუაციამ ისედაც არასტაბილური ვითარება კიდევ უფრო გააღრმავა. შესაბამისად, რეგიონში ვითარება მკვეთრად დაიძაბა. აუცილებელი გახდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ერთობლივი მოქმედება, რათა რაიმე მეტ-ნაკლებად მტკიცე სახელისუფლო ორგანო შექმნილიყო და აღკვეთილიყო ანარქია. ამ მიზნით, 1917 წლის ნოემბერში აქ ჩამოყალიბდა ადგილობრივი მთავრობა - **ამიერკავკასიის კომისარიატი** ქართველი სოციალ-დემოკრატების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატელების შემადგენლობით. მოგვიანებით კი, 1918 წლის თებერვალში, იმავე პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ თბილისში მოწვეულ იქნა **ამიერკავკასიის სეიმი** - რეგიონის საკანონმდებლო ორგანო. ეს მოწმობს, რომ ამიერკავკასიაში ერთიანი რეგიონული ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჯერჯერობით შენარჩუნებულ იქნა.

მოკლედ შევეხოთ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობას.

როგორც ჩრდილო კავკასიელი მეცნიერები აღნიშნავენ, 1917 წლიდან რეალური პოლიტიკური შინაარსით დაიტვირთა ისეთი ცნებები, როგორიცაა ყაბარდო, ბალყარეთი, ოსეთი, ჩეჩენეთი, ინგუშეთი და სხვ. ისინი გადაიქცნენ დამოუკიდებელ ეთნოპოლიტიკურ ერთეულებად, გახდნენ სოციალურ-პოლიტიკური პროცესების რეალური სუბიექტები (24).

ჩრდილო კავკასიაში ავტონომიური ეროვნულ-ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულის სახით მოქმედებდა “კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირი”, რომელიც 1917 წლის პირველ მაისს ქალაქ ვლადიკავკაზში ჩატარებულ ყრილობაზე შეიქმნა (25). თავდაპირველად “მთიელთა კავშირი” მხარს უჭერდა რუსეთის დროებით მთავრობას, მაგრამ პეტროგრადში მომხდარი ბოლშევკიკური გადატრიალების შემდეგ, იმავე წლის 21 დეკემბერს, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა კავშირის მთავრობამ რუსეთისგან ამ კავშირში შემავალ ხალხთა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაში ინტეგრაციის იდეის გატარებას, რაც აუცილებელი იყო მოპოვებული თავისუფლების შესანარჩუნებლად, ხელი ვერ შეუშალა რელიგიურმა ფაქტორმაც კი. როგორც კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის ყრილობაზე რაშიდხან კაპლანოვი აღნიშნავდა, კავშირის ორგანიზაციის წევრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არამარტო მუსლიმები, არამედ ქრისტიანებიც (ოსი მართლმადიდებლები). “ასეთმა მიღვომამ, - აღნიშნავს იმ პერიოდის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ა.ტახო-გოდი, - ყრილობის დელეგატთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა” (26). თუმცა მოგვიანებით მოვლენები რთულად განვითარდა. რუსეთის სამხრეთში დაწყებულმა დესტაბილიზაციამ თავის მორევში ჩრდილოეთ კავკასიაც ჩაითრია. 1918 წლისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში ერთომეორის მიყოლებით იქმნებოდნენ სხვადასხვა ჯურის “წითელი” და თეთრი” მთავრობები, რომლებთაც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. ფაქტობრივად, მთიელთა ლიდერები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიას მთლიანობაში ვეღარ აკონტროლებდნენ.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში მყოფმა “ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებულმა მთიელთა კავშირის” ხელმძღვანელობაში იმ იმედით, რომ წესრიგის აღდგენაში ოსმალეთი და-ებემარებოდა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შესაბამისი დეკლარაციაც გამოაქვეყნა. 13 მაისს რუსეთის მთავრობას გაეგზავნა ნოტა მისგან გამოყოფის შესახებ, რაზეც რუსეთ-მა უარით უპასუხა (27). იმავე ხანებში ჩამოყალიბდა მთავრობაც პრემიერ-მინისტრ ა.ჩერმოვის ხელმძღვანელობით.

1918 წლის შემოდგომაზე მთიელთა მთავრობა დალესტანში, თავის ახალ დედაქალაქ თემირ-ხან-შურაში გადავიდა, რომელსაც იმხანად უკვე ოსმალეთის არმია აკონტროლებდა. აქვე მოხდა მთავრობის ცვლილებაც, რომლის ახალი პრემიერი ფ.კოცევი გახდა.

როგორც ისტორიკოსები მ.ბახტაძე და გ.მამულია თვლიან, “ჩრდილო კავკასიელების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი რუსულ-კაზაკური მოსახლეობის მკვეთრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რაც მყისვე სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა, დაიწყო სამოქალაქო, ფაქტობრივად კი მორიგი რუსულ-კავკასიური ომი, რომელშიც, როგორც “წითელ”, ისე “თეთრ” რუსეთს მიზნად კავკასიის ხალხთა ახალი დაპყრობა პქონდა დასახული” (28).

“სამხრეთ რუსეთის მთავრობაში” და მოხალისეთა (“თეთრმა”) არმიამ გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით რუსეთის კვლავ გაერთიანება და მონარქიის აღდგენა განიზრახა. შესაბამისად, მან კაზაკების დახმარებით 1919 წლის გაზაფხულზე ჯერ დონსა და ყუპანში, შემდეგ კი თერგის ოლქსა და დაღესტანში სამხედრო შეტევა განავითარა. მთიელთა რესპუბლიკა დაეცა, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ბაქოს გავლით საქართველოში, თბილისში იქნენ ევაკუირებული, ემიგრანტული მთავრობის სტატუსით.

რატომ საქართველოში? იმიტომ, რომ მთიელთა რესპუბლიკას თავისი არსებობის დროს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, კერძოდ კი საქართველოსთან საკმაოდ მტკიცე ინტეგრაციული კავშირები გააჩნდა, რასაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ახლა კვლავ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დავუბრუნდეთ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1917 წლის ბოლოსათვის კავკასიის ფრონტი, ფაქტობრივად, დაირღვა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ოსმალეთმა - დაიბრუნა რუსეთის არმიის მიერ დაკავებული ქალაქები არზოუმი, ერზინჯანი, ტრაპიზონი, ვანი, ბითლისი, უფრო მეტიც, ოსმალებმა დაიპყრეს ბათუმი, ახალქალაქი და ყარსი ამიერკავკასიელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომლებმაც ბრესტის სამშვიდობო მოლაპარაკებაში (29) რუს ბოლშევიკებთან ერთად მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ამჯერად იძულებულნი გახდნენ ოსმალეთთან მოლაპარაკება დაეწყოთ. მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც მათ ჰქონდათ დაგეგმილი — რადგან ოსმალეთი ამიერკავკასიას კვლავ რუსეთის შემადგენლობაში განიხილავდა, მოლაპარაკება რომ დაწყებულიყო, კონსტანტინოპოლმა ამ რეგიონის რუსეთისაგან გამოყოფის წინაპირობის შესრულება მოითხოვა.

ქართველი სოციალ-დემოკრატი სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატელები ამ წინადადებას დათანხმდნენ. 1918 წლის 22 აპრილს თბილისში გამოცხადდა დამოუკიდებელი სახელმწიფო — ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა, შეიქმნა კოალიციური მთავრობა ქართველი სოციალ-დემოკრატის აკაკი ჩხენიკელის მეთაურობით. მაისის დასაწყისში უკვე თურქების მიერ იკუპირებულ ბათუმში გერმანიის წარმომადგენლების მონაწილეობით თურქეთ-ამიერკავკასიის რესპუბლიკის მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ საკმაოდ მძიმედ — ამიერკავკასიის დელეგაციაში თავი იჩინა განხეთქილებამ: სომხები და ქართველები თურქეთისადმი სიძულვილით იყვნენ გამსჭვალული, აზერბაიჯანელები კი — სიმპათიით.

საინტერესოა, რომ ბათუმის საზაონ კონფერენციაზე კავკასიის ინტეგრაციის საკითხმაც გაისდერა. როგორც მ.ბახტაძე და გ.მამულია მიიჩნევენ, “მოცემულ პერიოდში გერმანიის ხელისუფლებას, მოლაპარაკებაში ჩართული სამხედროების სახით, დასაშვებად მიაჩნდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება (30). თუმცა, სამწუხაროდ, ეს იდეა, ისევე როგორც მოგვიანებით, 1920 წლის ივნისში დალესტნელი ხუნძების თხოვნა საქართველოსთან შეერთების შესახებ არ განხორციელებულა (31).

უკვე მაისის შუახანებში აშკარა გახდა, რომ პათუმის საზაფო კონფერენცია, ფაქტობრივად, ჩაიშალა. სხვა გზა აღარ იყო: ქართველებმა მოქმედება სეპარატიულად დაიწყეს და დახმარებისათვის გერმანიას მიმართეს — აუცილებელი იყო თურქების შეჩერება, რომლებმაც ამ დროისათვის ოზურგეთი დაიკავეს და ბორჯომს მოუახლოვდნენ. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მსოფლიოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ამცნო. დიდ დროს არ გაუვლია და ქართულ ტერიტორიებზე მადააღძრულმა თურქეთმაც, გერმანიის ზენოლის შედეგად, აგრესია შეაჩერა. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ 1918 წლის 4 ივნისს დადებული საქართველო—თურქეთის ხელშეკრულების პირობები შეტად მძიმე იყო (32).

### პავასიური იდეის პრაქტიკული რეალიზაცის მცდელობები

ახლა კი, როცა კავკასიაში შექმნილ საერთო სიტუაციაში გავერკვიეთ და ადგილობრივი ხალხების პოლიტიკური ურთიერთობის ზოგადი სურათიც ვნახეთ, მოდით, უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ ერთიანი კავკასიური იდეის პრაქტიკული განხორციელების კონკრეტული ფორმები და ეტაპები 1918-20 წლებში.

ნინასნარვე უნდა ვთქვათ, რომ ერთი სახელმწიფოს კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები ხალხების ჭეშმარიტი ინტეგრირება მხოლოდ მეტროპოლისაგან მათი განთავისუფლების შემდეგ შეიძლება განხორციელდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავკასიური იდეის რეალიზება შესაძლებელი ხდება მხოლოდ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის პირობებში და სამოქალაქო—დემოკრატიული საზოგადოების არსებობის დროს, როცა ადამიანებს თავისუფლად და რაციონალურად აზროვნების პირობები ექმნებათ. ეს პრინციპი აქსიომად მიგვაჩნია.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ რუსეთის იმპერიის დროს, 1917 წლისათვის კავკასია ერთ დიდ, უპრეცედენტო ადმინისტრაციულ ერთეულში — სამეფისნაცვლოში იყო გაერთიანებული. მართალია, სამეფისნაცვლო გარკვეული ავტონო-

მიური უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ მისი მართვა მა-ინც რუსული კანონებით ხდებოდა და, შესაბამისად, ადგი-ლობრივი ეროვნული ინიციატივების განხორციელება იმპე-რიულ ბარიერებს აწყდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენტრის მიერ კავკასიის ერთ მუჭში მოქცევის მიზანი ქარ-თველი, სომები და აზერბაიჯანელი ხალხების ინტეგრაციი-სათვის კი არ ხდებოდა, არამედ ცენტრალიზებული მონარ-ქიული სახელმწიფოს განმტკიცებას ემსახურებოდა.

1917 წლის შემოდგომიდან ამიერკავკასია რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებიდან ფაქტობრივად დამოუკი-დებელია, იქმნება ადგილობრივი კომისარიატი, სეიმი, დამო-უკიდებელი ერთიანი კავკასიური სახელმწიფო, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზანი ჯერ რეალიზებული არ არის. ეს მხოლოდ 1918 წლის მაისის ბო-ლოს განხორციელდა, როცა კავკასიის სამივე სატიტულო ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

რა მემკვიდრეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა?

ა) უკიდურესად არასტაბილური პოლიტიკური სიტუა-ცია, ეთნიკური კონფლიქტები და მათი გაღრმავების საშიშ-როება;

ბ) დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები;

გ) რეალური საგარეო საფრთხეები;

დ) მოშლილი ეროვნული ეკონომიკა და მეურნეობა;

ე) შიდარეგიონული კომუნიკაციების სრული კოლაფსი.

ასეთი იყო პრობლემების „თაიგული“, რომელთა გა-დაჭრა ტიტანურ ძალისხმევას საჭიროებდა. ყოფნა თუ არ-ყოფნა? რით უნდა დაეწყოთ თანამშრომლობა კავკასიის სა-ხელმწიფოებს?

და აი, ამ დროს ინიციატივა ისევ თბილისმა აიღო — 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ საერთო-კავკასიური კონფერენციის მოწვევის წინადადება წამოაყენა, რომლის მიზნები ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გა-დაწყვეტა და ან უკვე დამოუკიდებელი, თავისუფალი ერების ურთიერთთანამშრომლობის გზების გამოძებნა იქნებოდა. მართალია, პირველ კონფერენციას, რომელიც იმავე წლის ნოემბერში საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის დელეგაციათა მონაწილეობით ჩატარდა, რაი-

მე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია — სომხეთმა, საქართველოსთან საზღვრების საკითხში დაძაბული ურთიერთობის გამო, თბილისში ჩამოსვლაზე უარი განაცხადა. მხარები მხოლოდ კონსულტაციებით შემოიფარგლნენ. ერევნის უარს მალე ომის დაწყებაც მოჰყავა. სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შედეგად მიყენებულმა დიდმა მატერიალურმა ზარალმა და, რაც მთავარია, კავკასიის მონათესავე ერებს შორის დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო აშკარა გახადა, რომ ყველა სადაცვო პრობლემა მოლაპარაკებით, მშვიდობიანი მეთოდებით უნდა გადაჭრილიყო (33).

თბილისში, ისევ საქართველოს წინადადებით, 1919 წლის ზაფხულში კვლავ გაიმართა მორიგი, მეორე კონფერენცია, რომელზეც განიხილეს როგორც სადაცვო საზღვრების, ასევე ეკონომიკური ინტეგრირების საკითხები. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ დროისათვის კავკასიაში ერთიანი სატრანსპორტო კომუნიკაციები არსებობდა - ტრანსკავკასიური რკინიგზა (ერევნის განშტოებით) და ბაქო-ბათუმის საექსპორტო ნავთობსადენი, რომელთა ნორმალური მოვლა-პატრონობით ამიერკავკასიის ყველა სუბიექტი იყო დაინტერესებული. რაც შეეხება ჩრდილოკავკასიელ მთიელებს, ისინი სამხრეთელ მეზობლებთან უფრო მეტად პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრირებით (ურთიერთთანამშრომლობით) იყვნენ დაინტერესებულნი. სამწუხაროდ, მთიელთა რესპუბლიკაშ ვერ გაუძლო ჯერ “თეთრი”, შემდეგ კი “წითელი” არმიის თავდასხმას, საბოლოო ჯამში კი ჩრდილოეთ კავკასია საბჭოთა რესეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

მეორე კონფერენციის დადებითი შედეგები გამოიხატა:

ა) შერეული (ერთობლივი) ეკონომიკური კომისიების შექმნაში;

ბ) დოროებითი რესპუბლიკათაშორისი არბიტრაჟის ჩამოყალიბებაში;

გ) მრავალმხრივი ეკონომიკური ხელშეკრულებების დადებაში და, რაც მთავარია —

დ) კოლექტიური უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების პაქტის შემუშავებასა და ხელმოწერაში (სომხეთის გარდა).

ამ დოკუმენტის საფუძველზე აზერბაიჯანმა და, განსაკუთრებით, საქართველომ მთიელთა რესპუბლიკას ქმედითი სამხედრო დახმარება გაუწიეს დენიკინის თეთრი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში - სამხედრო საჭურვლის გარდა, და-

ლესტანში ქართული საექსპედიციო კორპუსიც გაიგზავნა გენერალ ლეო კერესელიძის სარდლობით (34).

მესამე კონფერენციის (1920 წლის აპრილი) უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ ჩამოყალიბდა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია „ამიერკავკასიის საბჭოს“ სახელწოდებით, შემუშავდა და ხელი მოეწერა მის წესდებას (35). გარდა ამისა, საქართველოს ინიციატივით, კოლექტიური უსაფრთხოების პაქტის საფუძველზე, შეიქმნა პარიტეტული კომისია, რომელსაც სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მთავრი ყარაბაღის გამო მიმდინარე კონფლიქტის შეწყვეტის გზები უნდა გამოენახა.

ნიშანდობლივია, რომ კავკასიის სახელმწიფოთა სამიტები საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა: თითქმის ყველა კონფერენციას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობის წევრები ესწრებოდნენ, რაც საკითხების გადაწყვეტას აიოლებდა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი სიმპტომი იმდროინდები მშვიდობიანი ურთიერთთანამშრომლობისა: საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1920 წლის მაისის დასაწყისში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რეგიონის პოლიტიკურ არენაზე (ჩრდილოეთ კავკასიაში) გამოჩენილ ახალ სახელმწიფოსთან - რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტურ რესპუბლიკასთან.

ამრიგად, კავკასიის სახელმწიფოებს შორის არსებული გარკვეული უთანხმოების მიუხედავად, საერთო კავკასიური მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეა პერმანენტულად ძალას იკრებდა და ხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური და იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები, ძირითადი დებულებები უკვე შემუშავდა, შეთანხმდა და პრაქტიკული რეალიზება დაიწყო.

შეიძლება ითქვას, რომ 1920 წლისათვის კავკასიაში არსებულ თავისუფალ, სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა აღმავალი ხაზით იწყეს განვითარება, მაგრამ ახლაც, ისევე როგორც ადრე, მათ ურთიერთობაში კვლავ მესამე, დესტაბილიზაციის გამომწვევი ძალა ჩაერია, ამჯერად საბჭოთა რუსეთის სახით: წითელმა არმაზ ჯერ აზერბაიჯანის ოკუპირება და გასაბჭოება მოახდინა, შემდეგ სომხეთის, ბოლოს კი საქართველოც ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა.

## საპატიო პოლიტიკა ეროვნულ საკითხები

ბოლშევიკების პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, საბჭოთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მშენებლობა, განსაკუთრებით კავკასიაში, ცალკე ანალიზს მოითხოვს, მაგრამ მისი მიმოხილვა მოკლედ მაინც მოგვიწევს.

საინტერესო დამთხვევაა, რომ კომუნისტების აზრითაც, კავკასიის რეგიონი ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა იმ დროს არსებულ საბჭოთა ავტონომიზაციისა და ფედერალიზაციის იდეებს. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მათ 1922 წელს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციულ რესპუბლიკის სახით გააერთიანეს, რომელმაც 1936 წლამდე იარსება. 1920-იანი წლების დასაწყისში ანალოგიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც: დაღესტნის ხალხები გაერთიანდნენ დაღესტნის ასსრ-ში (1920 წლის 20 იანვარს), ხოლო 1921 წლის 20 იანვარს ყველა სხვა კავკასიელი ხალხები - მთიელთა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, რომელიც მოიცავდა ყაბარდოს, ყარაჩას, ბალყარეთის, ჩეჩენეთის, ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის ოლქებს, აგრეთვე რუსებით დასახლებულ სუნუს კაზაკთა რაიონს. ამ რესპუბლიკამ 1924 წლამდე იარსება.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სხვადასხვა რეგიონის ხალხთა თანაცხოვერება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით ხორციელდებოდა, რაც, თავისი არსით, კონკრეტული ეთნოსის ტრადიციების გათვალისწინებას, ფაქტობრივად, გამორიცხავდა. მაგრამ, ობიექტურობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იყო გარკვეული მიდგომები, რომლებიც, მართალია, პრინციპულად არ ენინაალმდეგებოდა მმართველი პარტიის კურსს, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად მხედველობაში იღებდა ადგილობრივ სპეციფიკას. ამის დასადასტურებლად ძალიან ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება როგორც პოლიტიკის, ასევე ეკონომიკისა და კულტურის სფეროდან, თუმცა ერთ-ერთ მათგანზე ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდეთ: 1970-80-იან წლებში საქართველოს იმდროინდე-

ლი ხელისუფლების ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ, საბჭოთა სინამდვილისათვის საკმაოდ არაორდინალურ ტრადიციას - ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიდერთა (ედუარდ შევარდნაძე, კარენ დემირჭიანი და ჰეიდარ ალიევი) ტრადიციულ შეხვედრებს თბილისში. ამგვარ სამიტებზე, საკმაოდ ბევრი საკითხი წყდებოდა ეკონომიკისა და კულტურის სფეროდან. პარალელურად, სამი რესპუბლიკის ტერიტორიის ურთიერთშეხების ადგილზე - წითელ ხიდზე - ქართველი- სომები და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის მეგობრობის დიდი ღონისძიებები იმართებოდა ხოლმე (36). რათქმა უნდა, ეს ყველაფერი ცენტრს შეუმჩნეველი არ რჩებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვი ითვალისწინებდა სამილიდერის ავტორიტეტს და მკვეთრი კრიტიკისაგან თავს იკავებდა. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ საკმაოდ ბევრი საერთოყავკასიური მნიშვნელობის მქონე საკითხის გადაწყვეტის დროს კრემლის წინაშე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერები სინქრონულად მოქმედებდნენ.

თუმცა აქვე ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ ამგვარი “კავკასიური ინტეგრაცია” საბჭოთა სინამდვილის ერთგვარი შელამაზებისა და გაკეთილშობილების მცდელობა იყო, რაც, საბოლოოდ, არსებულ სიტუაციას რადიკალურად ვერ ცვლიდა. აქსიომად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საბჭოთა ეპოქაში სოციალისტური მშენებლობა, როგორც მოდერნიზაციის გზა, ჩიხში იქნა მოქცეული. ეს 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შამს განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა: ადგილობრივ ხალხთა ეთნოკულტურული სპეციფიკის იგნორირებამ (რაც კავკასიაშიც მძაფრად შეინიშნებოდა) და “საბჭოთა ხალხის” ხელოვნურად ჩამოყალიბებისათვის განეულმა პრაქტიკამ ხალხებს შორის უნდობლობისა და კონფლიქტების გაჩენა გამოიწვია (იგულისხმება ტერიტორიებით მანიპულაციები, ხალხების კულტურულებად და “არაკულტურულებად” დაყოფა, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა სტატუსი და სხვ.).

## კავკასიური ცივილიზაცია – კავკასიური იდეის საფუძველი

1990-იან წლებში კავკასიაში დაწყებულმა დემოკრატიულმა რეფორმებმა, ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, “საკუთარი თავი გვერდიდან დაგვანახა”. მაინც რას ვხედავთ ამ პერიოდში? სამწუხაროდ, ამკარად ჩანს საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი, კულტურულ-ცივილიზაციური და ეკონომიკური კრიზისი. ტრადიციული კულტურა “მიძინებულია”, თანამედროვე კი საზოგადოებაში გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებს. საზოგადოება, აზროვნების ინერციის გამო, ხმირად შემრიგებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმ ფსევდოდემოკრატიული რეფორმებისადმი, რომელსაც გზა არა დემოკრატიისა და თვითმმართველობისკენ, არამედ პირიქით - “ვერტიკალის”, ავტოკრატიული მართვის გაძლიერებისაკენ მიჰყავს.

რუსეთის სახელისუფლებო სისტემის ამგვარ გამოვლინებას, ჩრდილო კავკასიაში არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე რუსი პროფესორი დიმიტრი ფურმანი “ფეოდალურს” უწოდებს. სტატიაში ის ასკვნის, რომ “ამ და სხვა ბევრ შემთხვევაში, პოსტსაბჭოური სისტემა არის გვიანსაბჭოურის უმუალო გაგრძელება” (37).

შექმნილ ვითარებაში კავკასიური იდეა კვლავ აქტიუალური ხდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1994 წელს საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლების (რ. მეტრეველი, მ. ლორთქეთანიძე, თ. გამყრელიძე, გ. ფაცაცია, ვ. შენგელია, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები) მიმართვა ყაბარდო-ბალყარეთის კოლეგებისადმი. მასში ხაზგასმულია, რომ “კავკასიის ხალხებს მორის მრავალსაუკუნოვანი თანამშრომლობის ტრადიცია, გენეალოგიური ნათე-საობა დღეს ჩვენ, კავკასიელებს, გვავალდებულებს წყენასა და გაბრაზებაზე მაღლა დავდგეთ და ხელი შევუწყოთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას” (38). მიმართვის ტექსტი გამოქვეყნდა რუსეთის სამხრეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და გავლენიან გამოცემაში “გაზეტა იუგა”. ქართველთა მიმართვამ ყაბარდო-ბალყარეთში თბილი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარ სამოქალაქო აქტივობას, სხვადასხვა

ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, გაგრძელება არ მოჰყოლია.

ამავე პერიოდში აქტიურობენ პოლიტიკოსებიც: საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერებმა ე.შევარდნაძემ და ჰ.ალიევმა თითქმის ერთდროულად წამოაყენეს “მშვიდობიანი კავკასიის” იდეა, რასაც რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინიც ეთანხმება. 1996 წ. 3 ივნისს ქ. კისლოვოდსკში (სტავროპოლის მხარე) აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს კავკასიაში ეროვნებათშორისო თახმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის დეკლარაციას. მასში აღიარებულია, რომ კავკასია არის “ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი, გეოპოლიტიკური რეალობა” და რომ რეგიონში შექმნილი ხალხთა გაუცხოების, კონფლიქტების, პრობლემების გადაჭრის მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციულ მეგობრობასა და თანამშრომლობას. ამისათვის, ნათქვამია დეკლარაციაში, კონფლიქტების დარეგულირების პარალელურად, აუცილებელი ხდება საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის, სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება. საჭიროა ერთობლივი ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობის, ენერგეტიკული, გარემოს, საინვესტიციო პროექტების განხორციელება და ა.შ. (39).

რამ შეუძალა ხელი ხსენებული დეკლარაციის ამოცანების პრაქტიკაში გატარებას?

მიმაჩნია, რომ ამის მთავარი მიზეზი, პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციისა და დემოკრატიზაციული განვითარების პრობლემებთან ერთად, ისაა, რომ ვერ უზრუნველვყავით კავკასიური იდეის თანამედროვე იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება. 1990-იან წლებში მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული კავკასიური ცივილიზაციის არსებობის იდეას საერთოკავკასიური აღიარება არ მოუპოვებია (40).

სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური კრიზისის პირობებში, კავკასიაში კავკასიელები ერთმანეთისგან იმდენად “გათიშულები” არიან, რომ აქ სტაბილურობის შენარჩუნების გარანტად არა შიდა, არამედ საგარეო ფაქტორი გვევ-

ლინება. ეს კარგად დაინახა მსოფლიომ 2008 წლის აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომში, როცა მოსკოვსა და თბილისს შორის შუამავლის როლი საფრანგეთმა იტვირთა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონის დემოკრატიულ განვითარებას შიდაკავკასიური დეზინტეგრაცია, “გაყინული” კონფლიქტები და სხვა პრობლემები.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ კავკასიურ იდეას ყოველ კონკრეტულ-ისტორიულ ეტაპზე თავის დროისა და სივრცის მახასიათებელი ფაქტორები გააჩნია, რომლებიც ადამიანის აზროვნების დომინანტურ მატრიცას ქმნიან. აზროვნების ინტეგრაციული მატრიცა დღეს დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისათვის, რაც ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგია. ჩვენ კი, სამწუხაოდ, კარგად ვერ გაგვირკვევია, როგორ უნდა ალვიქვათ ჩვენი ეროვნული იდენტობა - ეთნიკური თუ სამოქალაქო ნიშნით. არადა, სწორედ ჩვენი იდენტობის სამოქალაქო ნიშნით აღქმის პრიორიტეტი და შესაბამისი აზროვნება მიგვიყვანს კავკასიური ცივილიზაციის საყოველთაო აღიარებამდე, რადგან კავკასიელობის კულტურული განსხვავება სხვა რეგიონებისგან **XX-XXI** საუკუნეების მიჯნაზე მკვეთრად იკვეთება.

ამრიგად, კავკასიაში ტრადიციულისა და თანამედროვე კულტურათა თანაარსებობა ბევრად განაპირობებს ტრადიციული კულტურის ადაპტაციას, მისი ფასეულობების ტრანსფორმაციას თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. ამგვარი მოვლენები სხვა ქვეყნების სინამდვილეშიც გვხვდება, მაგალითად, ინგლისში, სადაც შუასაუკუნეების რაინდის სახე მოგვიანებით ჯენტლმენში ტრანსფორმირდა.

ისტორიულ-სოციალური კრიტიციზმის საფუძველზე ტრადიციული კულტურის ახლებურად შესწავლით განხორციელდება ისტორიული წარსულის რეკონსტრუქცია, შესაბამისად, თანდათან კავკასიური ცივილიზაციის აშკარად გამოხატვაც მოხდება. ამ პროცესის განვითარებას ხელს შეუწყობს არა კავკასიის ცალკეული რეგიონების ცივილიზაციებად გამოცხადება, არამედ მთლიანი და ერთიანი კავკასიის ცივილიზაციად აღიარება, რუს-კაზაკების მასში მოაზრებით. რეალობაა, რომ ისინი ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე

აქ ცხოვრობენ და საკუთარ თავს კავკასიელებად მიიჩნევენ (კავკასიის რესპუბლიკებში, თერგის, ყუბანისა და დონის აუზებში - სტავროპოლის, კრასნოდარის მხარეებსა და როსტოვის ოლქში 20 მლნ. რუს-კაზაკი ცხოვრობს). მათზე კავკასიური ცივილიზაციის გავლენა აშკარაა და ისინი როგორც ჩრდილო კავკასიაში, ასევე რუსეთის ფედერაციის ცენტრში კავკასიელებად მოიაზრებიან.

რეალობაა ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში კულტურულ-ცივილიზაციური ურთიერთმიმართების შედეგად, რუს-კაზაკთა მოსახლეობისაგან შეიქმნა “ბუფერული ზონა”, რომელიც კავკასიის ცივილიზაციას რუსულ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციასთან აკავშირებს. ვფიქრობ, დასმული საკითხი შეცნიერულ შესწავლასა და ამ ჭრილში პოლიტიკურ გააზრებას საჭიროებს.

დასასრულს, ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე კავკასიაში ხალხთა კონსოლიდაციის როლი უნდა შეასრულოს კავკასიურმა იდეამ, რომელიც გლობალიზაციის პირობებში კავკასიის თანასაზოგადოებებს, ერთი მხრივ, არც კოსმოპოლიტურ უნივერსალიზმში ჩაძირვის საშუალებას მისცემს და, მეორე მხრივ, დაამუხრუჭებს “ეთნოცენტრიზმის” ან ნაციონალიზმის გაღვივებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ კავკასიური ცივილიზაციის არსებობის აღიარება კავკასიის ინტეგრაციის იდეოლოგიური ბაზა იქნებოდა.

## თავი IV

### თანამედროვე კავკასია:

### ზოგადი სახელმწიფო გრიფ-კოლექტიკური დახასიათება

კავკასია XXI საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩება. რეგიონს, თავისი გეოპოლიტიკური, კულტურულ-ცივილიზაციური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკაზე კავკასიაში და, ზოგადად, ქვეყნებს შორის კულტურათა დიალოგზე.

სამწუხაროდ, ბევრად იმის გამო, რომ პოსტსაბჭოურ კავკასიაში გლობალიზაციის დაჩქარებულ პროცესს სახელმწიფოები და საზოგადოება ალლოს ჯერ ვერ უღებენ, რეგიონალიზაციის, შიდაკავკასიური დიალოგისა და ინტეგრაციის განვითარება-გალრმავება კვლავ პრობლემური რჩება. რეგიონში, ერთი მხრივ, აქტუალურია ახალგაზრდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობის ამოცანები, მეორე მხრივ, ეს პროცესი მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოს კრიზისის, მისი დაკანინების, ზეეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ტრანსნაციონალური მოღვაწეობის განვითარების ფონზე მიმდინარეობს. მეცნიერებისგან სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვები: რამდენად მიზანშეწონილია “ერთი ერი, ერთი სახელმწიფო”; “ნუთუ არ შეუძლიათ ამ ქვეყნების სამსახურში ჩადგნენ სხვა პოლიტიკური სტრუქტურები”? აღნიშნავენ, რომ “ამ სტრუქტურების კონკრეტული ფორმა ჯერ კიდევ არავის წარმოუდგენია” (1).

ამჟამად აქტუალური ხდება, რომ საქართველომ და კავკასიის სხვა ქვეყნებმა სწრაფად გავიაზროთ ჩვენი საზოგადოებრივი, რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის პრობლემები. ამისთვის გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთში ახალი საზოგადოება ფუნქციონირებდა არა ძველი საზოგადოების მემკვიდრეობის მასობრივი რღვევის ხარჯზე, არამედ ძველი მემკვიდრეობისათვის შეგუების, შერჩევითობის წყალობით. ერთკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ “არ არის არავითარი “სოციოლოგიური გამოცანა” ბურჟუაზიუ-

ლი საზოგადოების მზაობისა “ეკონომიკაში რადიკალური ინდივიდუალიზმის დანერგვისა და ამ პროცესში ყველა ტრადიციული სოციალური ურთიერთობების გაწყვეტისა (ანუ იქ, სადაც ეს მას ხელს უშლიდა). ამავე დროს, ის თავს არი-დებს “რადიკალურ ექსპერიმენტატორულ ინდივიდუა-ლიზმს” კულტურაში (და, აგრეთვე, ყოფაქცევისა და მორა-ლის სფეროში)” (2).

ამრიგად, კავკასიაში ახალი სახელმწიფოებრივ-პოლი-ტიკური და ეთნოლინგვისტური რეალობის შესწავლა საშუა-ლებას მოგვცემს, გავიაზროთ დემოკრატიზაციისა და რეგი-ონალიზაციის პრობლემები.

### კავკასიის ეთნიკური რუკა

სსრკ-ის დაშლამდე (1991 წლის 1 იანვარი), კავკასიის მოსახლეობის ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონო-მიკური მდგომარეობის ზოგადი სურათია (3):

**ცხრილი 1**

სამხ. კავკასიის სახელმწიფოები	ტერიტორია (ათასი კვ.კმ.)	მოსახლეობა (ათასი გვ.ცხ.)	მათ შორის		% მოსახლ. შემაცემის მიხედვის		მოსახლეობის რაოდენობა 1 კვ.კმ.-ზე
			ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის	
აზერბაიჯანის სსრ ნახჭევანის ასსრ მთ. ყარაბაღის ავტ. ოლქი	86,6 5,5 4,4	7137 306 194	3 815 102 102	3 322 204 92	53,5 33,2 52,7	46,5 66,8 47,3	82,4 55,6 43,9
საქართველოს სსრ აფხაზეთის ასსრ აჭარის ასსრ	69,7 8,6 3,0	5 464 534 381	3 073 255 183	2 391 279 198	56,2 47,8 48,0	43,8 52,2 52,0	78,4 62,1 127,2
სომხეთის სსრ	29,8	3 376	2 301	1 075	68,2	31,8	113,3

ჩრდილოეთ კავკასიაში 1991 წლის 1 იანვრისთვის რუსეთის ფედერაციაში შემავალი ოთხი ავტონომიური რესპუბლიკა, ორი მხარე და ერთი ოლქია (4):

### ცხრილი 2

სახელი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკაში, მხარეები, ოლქები	ტერიტორია (ათასი კვ-ებ.)	მოსახლეობა (ათასი გვ)	შათ შორის		% მოსახლე პერაციების მიზანიდან		მოსახლეობა რაოდენობა 1 კვ-ებ-ზე
			ქალაქის	სოფლის	ქალაქები	სოფლის	
დაღისტინის ასარ	50,3	1854	816	1038	44	56	36,9
ყაბარდო- ბალყარეთის ასარ	12,5	777	478	299	61,5	38,5	62,2
ჩრდილოეთ ოსეთის ასარ	8,0	643	443	200	68,9	31,1	80,3
ჩეჩენეთ- ინგუშეთის ასარ	19,3	1307	598	709	45,8	54,2	67,7
ქრასნოდარის მხარე	83,6	5175	2817	2358	54,4	45,6	61,9
სტაფილოპოლის მხარე	80,6	2926	1573	1353	53,8	46,2	36,3
როსტოვის ოლქი	100,8	4348	3098	1250	71,2	28,2	43,1

როგორც პირველ ცხრილში ვხედავთ, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა საკმაოდ ურბანიზებულია. ყველა რესპუბლიკაში ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობას საკმაოდ ჭარბობს. რსფსრ-ის ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებთან შედარებით, აქ მაღალია ერთ კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა. მაგალითად, სომხეთში - 113, 3 მცხოვრები, აზერბაიჯანში - 82, 4 და საქართველოში - 78, 4. 1989 წლის აღწერით, ქართველების 33,1%, აზერბაიჯანელების 34,4% და სომხების 47,1% რუსულ ენას თავისუფლად ფლობდნენ. ჩრდილო კავკასიაში რუსული ენის ცოდნა გაცილებით მაღალ პროცენტს შეადგენდა: ჩეჩენებში - 74%, ხუნძებში - 60,8%, ოსებში - 68,9%, ყაბარდოელებში - 77,8%, ინგუშებში - 80% და ა.შ. (5)

ერთი შეხედვით, 1989 წელს სსრკ-ის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, „სოციალისტური“ მშენებლობის წარმატება აშკარაა. სამწუხაროდ, ამ ფასადის უკან, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოჩინდა და მათ მიზანი იყო მცხოვრების უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ნდა, თავი იჩინა უამრავმა პრობლემამ, რაც ადამიანის ცხოვ-რების ყოველ დარგში იყო დაგროვილი. ზოგიერთი მათგანი ისე გამწვავდა, რომ ეთნოკონფლიქტების სახეც კი მიიღო. ამ კონფლიქტების მოგვარებასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურისა და განათლების პრობლემების გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული რეგიონის სტაბილურობა და დემოკრატიული აღმშენებლობა. ამასთან დაკავშირებით, კავკასიისა და კავკასიელთა პრობლემების შესწავლა აქტუალურად მიგვაჩინია.

## აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ (6) (დედაქალაქი ბაქო) დამოკიდებლობა 1991 წელს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ გამოაცხადა. აზერბაიჯანის პირველ პრეზიდენტად აიაზ მუ-თალიბოვი აირჩიეს, რომელიც მალე ეროვნული სახალხო ფრონტის ლიდერმა აბულფაზ ელჩიბეიმ შეცვალა. 1993 წლიდან 2003 წლამდე ქვეყნის პრეზიდენტი ჰუსეინ ალიევი იყო, რომელიც არჩევნების შედეგად ამ თანამდებობაზე მისმა ვაჟმა - ილამ ალიევმა შეცვალა. აზერბაიჯანი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტი ირჩევა 5 წლით, იგი თანამდებობაზე ყველა სამთავრობო ჩინოვნიკს თვითონ ნიშნავს.

აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატი-ანი ეროვნული კრება (აზერბაიჯანის მილი-მეჯლისი 125 დე-პუტატით), რომელიც ერთმანდატიან ლექებში საყოველ-თაო სახალხო კენჭისყრით 5 წლით აირჩევიან. აზერბაიჯანის ისტორიაში პირველი საპარლამენტო არჩევნები 1995 წელს ჩატარდა. პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობა არჩეულია 2005 წლის ნოემბერში. პარლამენტის უმრავლე-სობას წარმოადგენს საპრეზიდენტო პარტია “ახალი აზერბაიჯანი” (“ენი აზერბაიჯან”), პარლამენტში წარმოდგენილია ოპოზიციური პარტიებიც. სულ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 30-ზე მეტი პარტია და მოძრაობა, მათ შორისაა “ახალი აზერბაიჯანი”, ეროვნული დამოკიდებლობის პარტია, პარტია “მუსავატი”, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი, ლიბერა-

ლური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, დემოკრატიული პარტია.

აზერბაიჯანში, 2006 წლის მონაცემებით, 8 მლნ. 436 ათასი ადამიანი ცხოვრობს, აქედან 8 მლნ. 152,5 ათასი, ანუ 95% ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან. ასე რომ, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, აზერბაიჯანელების რიცხვი ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. მეორე ადგილზე არიან ლეზგები (182 ათასი, ანუ 2,2%), მესამეზე - რუსები (151, 7 ათასი, რაც ქვეყნის მოსახლეობის 1,8%-ს შეადგენს), შემდეგ თალიშები (75, 8 ათასი), ხუნძები (42 ათასი), ქართველები (14,9 ათასი), ებრაელები (8 ათასი) და სხვ.

ცნობილია, რომ აზერბაიჯანში, ყარაბალის კონფლიქტის დაწყებამდე, სომხები ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან (აზერბაიჯანელებისა და რუსების შემდეგ) ეთნიკური ერთობას მიეკუთვნებოდნენ (1989 წლის აღწერით, მათი რაოდენობა მილიონ 487 ათასს შეადგენდა). ათი წლის შემდეგ კი, როგორც აზერბაიჯანელი მეცნიერი არიფ იუნუსოვი აღნიშნავს, სომხების რიცხვმა აზერბაიჯანში მკვეთრად იკლო. ამჟამად ისინი ძირითადად ცხოვრობენ მთიან ყარაბალში, რომლის მოსახლეობა, 2003 წლის 1 ივლისის მონაცემებით, 145,6 ათასს შეადგენს. თუმცა, იმავე ავტორის აზრით, ეს ციფრი ფალსიფიცირებულია და, მისი აზრით, იქ დაახლოებით 80 000 სომები ცხოვრობს (7).

ამრიგად, თუ აზერბაიჯანის მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებს 2006 წლისას შევადარებთ, აშკარად ჩანს, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. თუ ადრე რესპუბლიკაში აზერბაიჯანელების შემდეგ რუსები და სომხები დომინირებდნენ, ამჟამად მათი ადგილი ლეზგებმა და თალიშებმა დაიკავეს. მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა: 95%-ზე მეტი მუსლიმია და მხოლოდ 4% - ქრისტიანი. სომხურმა დიასპორამ, პრაქტიკულად, არსებობა შეწყვიტა.

აზერბაიჯანის მიერ გატარებულ რეგიონულ პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთან კავშირებს, რადგან კასპიის ენერგორესურსების საექსპორტო მაგისტრალური მილსადენების უმტკესობა საქართველოს ტერიტორიაზე გადის. გარდა ამისა, საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს (ამაზე ქვემოთ). აქვე ხაზი უნდა

გავუსვათ აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობის სპეციფიკას, რომელიც გამოიხატება ფორმულით “ერთი ერი - ორი სახელმწიფო”. შესაბამისად, თურქეთი, 1990-იანი წლებიდან დაწყებული, საერთაშორისო და რეგიონული პრობლემების განხილვა-გადაჭრის დროს ყოველთვის აზერბაიჯანის მხარეზე გამოდის.

## საქართველო

საქართველოს (8) ტერიტორია შეადგენს 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს (აფხაზეთისა და ე.ნ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით). მოსახლეობის რაოდენობა, 2008 წლის მონაცემებით, შეადგენს 4 მილიონ 630 ათას ადამიანს, დედაქალაქია თბილისი. საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სახელმწიფო ენა ქართულია. ამასთან, აფხაზეთში ოფიციალური სტატუსი გააჩნია აფხაზურ ენასაც.

საქართველოში ეთნიკური ქართველების რაოდენობა, 2006 წლის ივლისის მონაცემებით, ქვეყნის საერთო მოსახლეობის 83,8% შეადგენს. მეორე ადგილზე არიან აზერბაიჯანელები (6,5%), შემდეგ სომხები (5,7%), რუსები (1,5%), აფხაზები და ოსები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ “სახელმწიფო ცნობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და, ამასთან ერთად, აცხადებს რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან”.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა, საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, ქართული სახელმწიფოსა და მისი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. იგი საგარეო ურთიერთობებში საქართველოს უზენაესი წარმომადგენელი და ქვეყნის შეიირადებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია.

საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლით, 150 დეპუტატის შემადგენლობით. ამჟამად 2008 წლის მოწვევის პარლამენტი წარმოდგენილია “ერთიანი ნაციონალური მოძ-

რაობით” (აქვს კონსტიტუციური უმრავლესობა) ექვსი ოპოზიციური პარტიით (ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა, „ქართული დასი”, „ჩვენ თვითონ” და სხვა).

ამჟამად ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ძირითადად 20-მდე პოლიტიკური პარტია წარმოადგენს, რომელთა შორისაა ლეიბორისტული პარტია, „ახალი მემარჯვენები”, რესპუბლიკური პარტია, „საქართველოს გზა”, „თავისუფლება”, კონსერვატიული პარტია, „ეროვნული ფორუმი”, დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველო” და სხვა.

როგორც საქართველოს ეთნიკური შემადგელობის ანალიზი გვიჩვენებს, 1989 წლისა და 2002 წლების აღწერების მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 800 ათასი ადამიანით შემცირდა. ამასთან, მოსახლეობის შემცირება ძირითადად მოხდა არა ქართველების (3 მლნ.725 ათასი), არამედ სხვა ერების წარმომადგენლების ხარჯზე: რუსების - 341 ათასიდან (1989 წელს) 100 ათასამდე (2002 წელს), სომხების - 437 ათასიდან (1989 წელს) 281 ათასამდე (2002 წელს), ებრაელების - 25 ათასიდან 4 ათასამდე და ასე შემდეგ. შესაბამისად, სხვა ეროვნების მოქალაქეთა ემიგრაციის შედეგად საქართველოში ქართველების პროცენტული შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა - 70-დან 81%-მდე.

ამასთან, როგორც იუნისოვი აღნიშნავს, საქართველოში თითქმის ორჯერ შემცირდა დანარჩენ ეთნოსთა რაოდენობა (2005 წლის მონაცემებით): ოსების - 85 ათასამდე, ქურთების - 21 ათასამდე, ბერძნების - 15 ათასამდე და სხვა. ამჟამად საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით), 877 ათასი არაქართველი ადამიანი ცხოვრობს (ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის 19%), მაშინ როცა 1989 წლამდე არასატიტულობალხთა 28% ცხოვრობდა (9).

ა. ცუციევის აზრით, ქართველი ტერიტორიული იდეოლოგების დომინანტურ ისტორიულ რეტროსპექტიას მისი სახელმწიფოებრივი საზღვრები წარმოადგენს (ძ.ნ.აღ.-ის VI - IV საუკუნეებიდან თამარ მეფის დრომდე), როგორც ქართული ეროვნული ეთნიკური სივრცის აღქმა. ამ სივრცულ კომპლექსში აქტუალურია რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც თანამედროვე ეთნოპოლიტიკურ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული. წამყვან თემად რჩება ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც „პატრონობას” უწევს აფხაზეთისა და

სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმს. მისივე აზრით, ქართული ტერიტორიების მიერთება რუსეთის იმპერიასთან 1801-1829 წლებში (ფაქტობრივად, მათი ერთ სახელმწიფოში შეკრება), ზოგადად ქართულ ისტორიოგრაფიაში ნეგატიურად ფასდება. თვით “შეკრება” ჩრდილში რჩება, ყურადღება კი მახვილ-დება რუსეთის როლზე ქართული ეროვნული ტერიტორიების ზოგად შემცირებაში. ხაზი ესმება, რომ შიდა რუსული (შიდა საბჭოური) საქართველოს საზღვრები მოხაზული აღმოჩნდა არა ძველი ქართული ისტორიული სახელმწიფოების კალკით, არამედ, ძალზე მოკრძალებულად, რის შედეგადაც საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ დარჩა საინგილო (აზერბაიჯანის სასარგებლოდ), ლორე (სომხეთის შემადგენლობაში), ჯიქეთ-დვალეთი კი - რუსეთის შემადგენლობაში. მოსკოვის ბრალია აგრეთვე როგორც 1921 წელს არტაანის (არდაგანის) და ართვინის ოლქების თურქეთის სასარგებლოდ დათმობა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნა (იხ. ცუциев A. 2004).

## სომხეთი

სომხეთის ტერიტორია შეადგენს 29,8 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 3241 ათას ადამიანს (2009 წლის პირველი იანვრის მონაცემებით), დედაქალაქი - ერევანი. სომხეთი, ფაქტობრივად, ერთად ერთი პოსტსაბჭოური ქვეყანაა მონოეთნიკური მოსახლეობით (98% სომხები). ამჟამად რესპუბლიკაში არასატიტულო მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ 70 000-ს შეადგენს, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხვანი ეთნიკური უმცირესობებია იეზიდები, რუსები, აისორები, უკრაინელები, ქურთები, ბერძნები, ქართველები. ზოგი თვალსაზრისით, სომხები კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას წარმოადგენენ.

მკვლევართა ნაწილის აზრით, სომხეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა (301 წელს). შეიქმნა სომხური ანბანი (მესრობ მამგოცის მიერ), საეკლესიო არქიტექტურა, განვითარდა კულტურა და ისტორიოგრაფია (10). დღეს სომხეთში 14 უმაღლესი სასწავ-

ლო დაწესებულებაა (მათ შორის 1920-21 წლებში დაარსებული ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კონსერვატორია, დონის როსტოკის უნივერსიტეტის ფილიალი ერევანში (ეკონომიკური, იურიდიული და უცხო ენების ფაკულტეტებით); რუსეთ-სომხური (სლავური) სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვები).

სომხეთი დღეს ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. საკმაოდ ფართოდაა განვითარებული სამთო-მეტალურგიული მრეწველობა (მაგ. ალავერდის სპილენძის ქარხანა, რომელიც პოლიმეტალების - სპილენძ-მოლიბდენის საბადოს ბაზაზე მუშაობს), ქიმიური მრეწველობა (ერევნის ქიმკომბინატი „ნაირიტი“), მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა (მენამორის ატომური ელექტროსადგური და სხვა ჰესები), სამშენებლო მასალების წარმოება. სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია მევენახეობით, მეხილეობით, მეცხოველეობით. საერთოდ, მთიანი რელიეფის გამო სომხეთში სასოფლო-სამეურნეო მიწები ძალიან ცოტაა.

სომხეთის პირველი პრეზიდენტი იყო ლევონ ტერ-პეტროსიანი (1991-1998 წლები). მეორე - რობერტ ქოჩარიანი (1998-2008 წლები), ამჟამად კი რესპუბლიკის ხელმძღვანელია სერժ სარგსიანი (2008 წლიდან). სომხეთში პრეზიდენტი 5 წლით აირჩევა. კონსტიტუციით მას ფართო უფლებები აქვს მინიჭებული. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება (ანუ პარლამენტი, 131 დეპუტატით), რომელიც საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით 5 წლით აირჩევა. ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2007 წლის 12 მაისს ჩატარდა, რომლის შედეგად ხმების უმრავლესობა კვლავ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ - სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა. პარლამენტში წარმოდგენილია აგრეთვე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც: პარტია “აყვა-ვებული სომხეთი”, “დაწნაკუცუტიუნი” (მონანილეობენ სამთავრობო კოალიციაში), ლიბერალური პარტია “ორინაც ერკირი” (“კანონიერების ქვეყანა”) და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია “მემკვიდრეობა” (ორივე ოპოზიციური ორგანიზაციაა).

კავკასიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თურქეთ-სომხეთის და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოგვარებას. თურქეთი არის პირველი სახელმწიფო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ითიცალურად სცნო სომხეთის დამოუკიდებლობა (1991 წელს), მაგრამ მათ შო-

რის ურთიერთობების განვითარებას თურქების მიერ 1915 წელს სომხების გენოციდის უარყოფა ართულებს. გარდა ამისა, ანკარა მიიჩნევს, რომ სომხეთს ბრალი მიუძღვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დაწყებაშიც, რომლის დროსაც აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო კამპანიაში სომხეთის სამხედრო ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ. შესაბამისად, თურქეთ-სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ დამყარებულა, საზღვრები კი ჩაკეტილია.

ამ ფონზე ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად აღიმება ერევან-ანკარის პოლიტიკური დაახლოების პროცესი, რომელიც 2008 წელს დაიწყო “საფეხბურთო დიპლომატიის” სახით (11). მისი ლოგიკური გაგრძელება 2009 წლის 10 ოქტომბერს შვეიცარიის ქალაქ უენევაში გაფორმებული ოქტები, რომლებიც დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასა და სახელმწიფო საზღვრების გახსნას ითვალისწინებს. განხორციელდება თუ არა ხსენებული დიპლომატიური დოკუმენტების მიზნები, ამას მომავალი გვიჩვენებს. ზოგადად კი შეიძლება ვთქვათ, რომ თურქეთ-სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების მოგვარება კავკასიის რეგიონს დადებითად წაადგება.

## სამხრეთ რუსეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) სუბიექტები

სამხრეთ რუსეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) ფედერალური ოლქი სხვა ექვს ოლქთან ერთად შეიქმნა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2000 წლის 13 მაისს. რეგიონს დიდი რაოდენობით აქვს ორგანული და არაორგანული ნედლეულის რესურსები (2003 წლის მონაცემებით, რუსეთის ნავთობმოპოვების 3%, ქვანანაშირის ამოღების 2,5% ენერგონარმოების 7%). გარდა ამისა, ამ ფედერალური ოლქის კლიმატური პირობები (ზომიერი ჰავიდან სუბტროპიკულის ჩათვლით) კარგ საფუძველს ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის - რუსეთის სამხრეთი სამართლიანად მიიჩნევა ქვეყნის ხორბლის ბეღლად, საკურორტო-გამაჯანსაღებელ და რეკრეაციულ ზონად (მასზე მოდის რუსეთის სანატორიულ-ტურისტული კომპლექსების მეოთხედი, აქე-

დან 70% განლაგებულია კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში).

ამასთან ერთად, სამხრეთ რუსეთს ერთ სულ მოსახლეზე საყოველთაო პროდუქტის წარმოების ყველაზე დაბალი მაჩვენებლი აქვს. ისიც აღსანიშნავია, რომ აქ მრეწველობის მოცულობა ზოგადად რუსეთის მრეწველობის მხოლოდ 6%-ს შეადგენს.

2000 წლისათვის **სამხრეთ რუსეთის** (ჩრდილოეთ კავკასიის) ეკონომიკური რაიონი აერთიანებდა ათ სუბიექტს - შვიდ რესპუბლიკას (ადილეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ყაბარდობალყარეთს, ჩრდილოეთ სეთ-ალანიას, ინგუშეთს, ჩეჩენეთს, დაღესტანს), ორ მხარეს (სტავროპოლის და კრასნოდარის) და ერთ ოლქს (როსტოვის). 2003 წლის შემდეგ მას დაემატა სამი სუბიექტი: ერთი რესპუბლიკა (ყალმუხეთი) და ორი ოლქი (ასტრახანისა და ვოლგოგრადის). თუ რუსეთის ფედერაციაში 21 რესპუბლიკა, აქედან რვა ჩრდილოეთ კავკასიაზე მოდის. რესპუბლიკები, მხარეებისა და ოლქებისაგან განსხვავებით, შექმნილია არა ტერიტორიული, არამედ ეროვნულ-ტერიტორიული პრინციპით. აქ, რუსეთის ფედერაციის ამ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და პოლიტიკურ რეგიონში, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ადმინისტრაციული საზღვრები არაერთხელ იქნა გადასინჯული, რაც ძალზე ხშირად ეთნოკრიზისებისა და კონფლიქტების ნიადაგს ქმნიდა. საბჭოთა პერიოდში მიღებული ამგვარი გადაწყვეტილებების გამოძახილია ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სასაზღვრო დავების ნიადაგზე მომხდარი ეთნიკური დაპირისპირებები დღესაც გრძელდება.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის სუბიექტები სხვადასხვა პარამეტრებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. მაგალითად, ტერიტორიის მიხედვით ინგუშეთი ყველაზე მინიმალური ფართობის მქონეა (4,3 კვადრატული კილომეტრი), ყველაზე დიდი კი ვოლგოგრადის ოლქია (113,9 კვ.კმ.). მოსახლეობის მიხედვით თუ შევადარებთ, ყველაზე მეტი მცხოვრებია კრასნოდარის მხარეში (5,125 ათასი), ყველაზე მცირე - ყალმუხეთის რესპუბლიკაში (292 ათასი).

აქვე შევნიშნავთ, რომ ბოლო ხანებში რუსეთის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩრდი-

ლოეთ კავკასიის ეროვნული რესპუბლიკების განვითარებას. ვფიქრობთ, სწორედ ამის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით (2010 წლის იანვარი), რუსეთის სამხრეთის ფედერალური ოლქი გაიყო ორ ნაწილად, შეიქმნა ახალი ფედერალური ერთეული - ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქი, რომელშიც გაერთიანდნენ დაღესტანი, ჩეჩენეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი - ალანია, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და სტავროპოლის მხარე, ცენტრით ქალაქ პიატიგორსკში.

რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქიდან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გამოყოფა და მათი ახალ ფედერალურ ოლქში გაერთიანება საბოლოო ჯამში არ ცვლის რეგიონის სოციალურ და კულტურულ მთლიანობას, ამიტომაც ჩვენ მას ტრადიციული ხედვით განვიხილავთ.

## სახელმწიფო პროგრამის ფორმის განვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თანამედროვე რუსეთში ფედერაციის სუბიექტების გამსხვილების პროცესი შეინიშნება. მაგალითად, მიმდინარეობს დისკუსია ადილეს რესპუბლიკის კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში დაბრუნების საკითხზე. გარდა ამისა, ჩეჩენეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უპრიანი იქნებოდა კვლავ აღდგეს საბჭოთა პერიოდში არსებული ვაინახი ხალხის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი - ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა. უფრო მეტიც - არის აზრი ჩეჩენეთისა და დაღესტანის გაერთიანების შესახებ. სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში განიხილება მოსაზრება გასული საუკუნის 20-იან წლებში არსებულ მთიელთა რესპუბლიკის ხელახლა შექმნის თაობაზე მოდით, სანამ საზღვრების გადასინჯვის საკითხი ისევ არ დასმულა, ჩრდილოეთ კავკასიაში სახელმწიფოებრივი ფორმების განვითარების გამოცდილება გავიხსენოთ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა სამხედრო-პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეროვნულ-ტერიტორიული ფაქტორების გავლენით მიმდინარეობდა. ჩვენ ზემოთ უკვე

ვთქვით, რომ 1917 წლამდე მთელი კავკასია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში - კავკასიის სამეფისნაცვლოში იყო გაერთიანებული, 1917 წლის შემდეგ კი რეგიონის ადმინისტრაციული დაყოფა პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებებით იქნა განპირობებული.

ეროვნული ავტონომიების შექმნას, როგორც ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზების ფორმას, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იძულებითი ხასიათი ჰქონდა და, შესაბამისად, თან სდევდა ეთნოსთა პოლიტიზაციის ზრდა. ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნულმა “შეფერილობამ”, მინის განაწილების პრობლემის სიმწვავემ მყისიერად წარმოქმნა სადაც ტერიტორიების პრობლემა და ეთნოსთა შორის წინააღმდეგობის გაღრმავება.

1924 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის მხარე, რომელიც რეგიონს თითქმის მთლიანად აერთიანებდა (დაღესტნისა და ყალმუხეთის გარეშე). როგორც სიტუაციამ აჩვენა, ამგვარი ადმინისტრაციული ერთეული არაეფექტური აღმოჩნდა და გაუქმდა. სულ მალე, ეროვნული ოკრუგებისა და ავტონომიური ოლქების (მათ შორის ბილინგვისტური სუბიექტების) შექმნით ბევრი ეთნოტერიტორიული პრობლემა თვით ამ ავტონომიების “მხრებზე” იქნა გადატანილი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნულმა სადაო ტერიტორიულმა პრობლემებმა, სხვებთან ერთად, თავი უფრო მნიშვნელოვნებით გამოიყოფა ავტონომიური ეთნოსის უკმაყოფილება გაზარდა: ყარაჩაელებმა, ჩერქეზებმა, ყაბარდილებმა და ბალყარელებმა ბილინგვისტური რესპუბლიკებიდან ცალკე გამოყოფა მოითხოვეს, რათა ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ჩამოყალიბებულიყო; ამჯერად უკვე ერთიანი ეროვნული ნიშნით (ყარაჩაი-ბალყარეთის, ყაბარდი-ჩერქეზეთის რესპუბლიკები, ან “ერთიანი ჩერქეზეთი”, რომელიც შევიდოდა ჩერქეზეთის, ყაბარდოს, ადილესა და კრასნოდარის შავიზლვისპირა რაიონების ტერიტორიები).

აქვე შევნიშნავთ, რომ არსებული პოლიეთნიკური რესპუბლიკების მცირე ფედერაციებად გარდაქმნას ეწინააღმდეგებიან რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუბიექტები.

## დაღესტანი

სამხრეთ რუსეთში დაღესტანი ყველაზე დიდ და მრავალრიცხოვანი, მრავალეროვნულ რესპუბლიკას წარმოადგენს. კასპიის ზღვის ნაპირებზე მდებარე რუსეთის ფედერაციის ამ სუბიექტს საკმაოდ სპეციფიკური ისტორია და გეოგრაფიული პირობები აქვს (12).

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფინისას დაღესტანის ადმინისტრაციული სტატუსის ცვლილებები ყველაზე ნაკლებად შეეხო. დაღესტნის ოლქი 1860 წელს შეიქმნა. იმ ხანებში ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი (30 225 ხუნძი ანუ მოსახლეობის 20,6%) დაღესტნის ოლქში არ შესულა. ლეზგების მნიშვნელოვანი ნაწილი (26,5%) ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში დარჩა. თითქმის ასეთივე ვითარება შენარჩუნდა საბჭოთა პერიოდში, ხოლო სარკ დაშლის შემდეგ ისინი რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის აღმოჩნდნენ (13).

ამგვარი “გაფანტული” სახით არსებული განსახლების პრობლემის გადაფრას ლეზგური სახალხო მოძრაობა “სადვალი” ლეზგისტანის რესპუბლიკის შემნაში ხედავს, რომელიც “ლეზგისტანის ისტორიულ ტერიტორიაზე” უნდა ჩამოყალიბდეს. ამ თვალსაზრისს იურიდიულ საფუძვლად ედება 1921 წლის 20 იანვრის საკავშირო ცაკ-ისა და დაღესტნის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია ლეზგი ხალხის დაყოფის ფაქტი და ტერიტორიული საკითხის მოგვარების აუცილებლობა.

დაღესტნის ტერიტორიის გეგმაზომიერად გაფართოებამ (ჩრდილოეთით მდებარე დაბლობი მიწების ხარჯზე) მთიელი და ბარის ხალხები ერთ ავტონომიაში გაერთიანებამდე მიიყვანა. ბოლო ასი წლის მანძილზე დაღესტნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა მათი განსახლების გეოგრაფია. შიდა მიგრაციების შედეგად, განსაკუთრებით მონოეთნიკური რაიონებიდან დაქალაქებიდან, დაღესტანი კიდევ უფრო “აჭრელდა”. რესპუბლიკაში რაიონების არაპროპორციულად დიდი რაოდენობა გამოწვეულია ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისთვის უფლებათა გარანტირების უზრუნველყოფით, რაც მონონაციონა-

ლური ადმინისტრაციული ერთეულების ჩარჩოებში ხორცი-ელდება, მაგრამ ეს მექანიზმი არასაკმარისი აღმოჩნდა.

დალესტანში პრობლემად რჩება ყუმუხების პრობლემა. აյ მიწების საკითხი, ძირითადად, ყუმუხების ბარის მიწების ხარჯზე წყდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ მათ 1990 წლის ნოემბერში, ყუმუხი ხალხის მეორე ყრილობაზე, ყუმუ-ხეთის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს თავიანთ “ისტო-რიულ ტერიტორიაზე” - დალესტნის თემირ-ხან-შურის, ხასა-ვიურტისა და მახაჩკალას რაიონები, კასპიის სანაპირო და სხვა ადგილები, სადაც 1921 წელს, დალესტნის ასსრ წარმოქ-მნამდე, ყუმუხები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოად-გენდნენ. 1989 წელს ჩამოყალიბებული ყუმუხთა ეროვნული მოძრაობა “თენგლიკი” დალესტანში ყველაზე ორგანიზებუ-ლი ეროვნული ორგანიზაციაა, რომელიც ტერიტორიული განსახლების პრობლემას კვლავ აქტუალურად მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხში უკვე კატეგორიული აღარ არის.

მსგავსი პრობლემა აქვთ ნოლაელებსაც, რომლებიც 1990 წლის ყურულთაის (ყრილობის) დადგენილების თანახ-მად, დალესტნის, სტავროპოლის მხარისა და ჩეჩენეთის ტე-რიტორიების ნაწილებზე ნოდაის რესპუბლიკის შექმნას მო-ითხოვენ (რუსეთის შემადგენლობაში).

დალესტანში კიდევ ერთ ეთნოტერიტორიულ პრობლე-მას წარმოადგენს აუხოვის რაიონის აღდგენა, რომელიც ჩე-ჩენ-აკინთა გადასახლებამდე (1944 წლამდე) არსებობდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს ჩეჩენ-აკინთა მი-მართ განხორციელებული რეპრესიების (იძულებითი მიგრა-ციის) შემდეგ აქ მთანი რაიონებიდან ლეკები დაასახლეს და ნოვოლაკის რაიონი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ დალეს-ტნის ხელისუფლება რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაცი-ის პროგრამის განხორციელებას ცდილობს, რადიკალურად განწყობილ ჩეჩენებს მისი ტემპები არ აკმაყოფილებთ.

აღსანიშნავია, რომ დალესტნელები მნიშვნელოვნად აფასებენ ქართველ ხალხთან მეგობრული ურთიერთობის ტრადიციებს, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. საბჭო-თა პერიოდში, 1970-იან წლებში ქართველმა არქეოლოგებმა დიდი წვლილი შეიტანეს დალესტანში არსებული ქრისტიანუ-ლი ძეგლების შესწავლა-გამოკვლევაში (მაგალითად, სოფელ დათუნაში). ეს დალესტანში დღემდე არ დავიწყებიათ. სწო-

რედ ამიტომაც იყო, რომ 2009 წლის ივნისში ცნობილ ქართველ არქეოლოგს, რესტავრატორს, ისტორიის დოქტორს, ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი ექსპედიციის ხელმძღვანელს გივი ლამბაშიძეს ქალაქ ხუნძახის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

## ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია, იგზუშათი და ჩაჩეთი

ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია (14), შეიძლება ითქვას, სხვა ეროვნულ რესპუბლიკებთან შედარებით, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერალური ხელისუფლების ყველაზე საიმედო დასაყრდენია. ამასთან, რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებს შორის არსებულ ურთიერთობებში ყველაზე დაძაბული ხასიათი ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის ურთიერთობებს (15) აქვს. ტერიტორიულ დავას ოსებსა და ინგუშებს შორის (პრიგოროდნის რაიონის გამო, რომელიც ვლადიკავკაზის ესაზღვრება) საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1924 წელს კრემლში მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ, მისი ტერიტორია ეროვნული ნიშნით ორ ოლქად გაიყო - ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის ავტონომიურ ოლქებად (ინგუშეთის შემადგენლობაში სუნის კაზაკებიც ითვლებოდნენ). რაც შეეხება ქალაქ ვლადიკავკაზისა და გროზნოს, ისინი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად გარდაიქმნენ. ამასთან, ვლადიკავკაზი ისეთისა და ინგუშეთის საერთო ადმინისტრაციულ ცენტრად დარჩა.

1934 წლის იანვარში სსრკ ხელისუფლებამ ჩეჩენეთისა (16) და ინგუშეთის ავტონომიური ოლქები გააერთიანა და ჩეჩენეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბა. 1936 წლის კონსტიტუციით, აღნიშნული ოლქი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. უნდა ითქვას, რომ ამ ორი ოლქის გაერთიანება განპირობებული იყო არა მხოლოდ აქ მცხოვრების ვაინახი ხალხების - ჩეჩენებისა და ინგუშების მსგავსებით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ვაინახი ხალხების - ჩეჩენებისა და ინგუშების ისტორიაში 1944 წლის 31 იანვარი, 24 თებერვალი და 7 მარტი საყოველთაო უბედურების თარიღებია: 31 იანვარს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჩეჩენეთინგუშეთის ასსრ გაუქმებისა და მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიოდან საბჭოთა კავშირის შორეულ ადგილებში დეპორტაციის შესახებ. დადგენილებაში ჩაწერილი იყო, რომ ჩეჩენები და ინგუშები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს თითქოსდა კავკასიონის ქედს მოახლოებულ გერმანელ ფაშისტებს ეხმარებოდნენ.

საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ შემუშავდა სპეციალური ოპერაცია კოდური სახელწოდებით “ჩეჩენიცა (ოს-პი)”, რომლის რეალიზების შედეგად ორ კვირაში - 24 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით ჩრდილოეთ კავკასიოდან სარკინიგზო ეშელონებით ნახევარ მილიონზე მეტი ჩეჩენი და ინგუში სამშობლოსგან შორის, ყაზახეთში და ყორგიზეთში გადაასახლეს.

1944 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება გროზნოს ოლქის შექმნის შესახებ. ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის რაიონები გადაცემულ იქნა ოსეთის, დალესტნისა და საქართველოს შემადგენლობაში (17). დანარჩენმა ტერიტორიამ, ყიზლარის ოლქთან ერთად, გროზნოს ოლქი შეადგინა. დაცარიელებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობა დაასახლეს.

სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ, 1956 წლის დასასრულს, სსრკ ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილების შედეგად, დაიწყო რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციის პროცესი. კვლავ ადდგა ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ. რაც შეეხება თვითი ინგუშებისა და ჩეჩენების რეაბილიტაციის პროცესს, ის უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, ოთხი წლის მანძილზე, მაგრამ მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდა: მარტო 1957 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში გადასახლებულთა თითქმის ნახევარი დაბრუნდა. ამის შედეგად რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა ძალადობა, რამაც რუსი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების პროვოცირება გამოიწვია (1957 წლის 26-27 აგვისტოს, გროზნოში). ყოველივე ამის შედეგად, ერთი წლის

განმავლობაში, რესპუბლიკა დატოვა 113 000-მა რუსმა, ოს-მა, ხუნძმა, უკრაინელმა და სხვა ეროვნების მოქალაქემ.

აღსანიშნავია, რომ პრიგოროდნის რაიონი ჩეჩენეთ-ინ-გუშეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში არ იქნა დაბრუნებული, ის ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების მმართველობის ქვეშ დარჩა. ამის კომპენსაციის სახით, ჩეჩენეთ-ინგუშეთს მიუერთდა რესპუბლიკის ჩრდილოეთით მიმდებარე კაზაკური რაიონები (ნაური, შელკოვსკოე და სხვ.). თუმცა, ამის მიუხედავად, ინგუშები პრიგოროდნის რაიონს ყოველთვის თავისად განიხილავდნენ და, შესაბამისად, ეს სადაო პრობლემა “მიყუჩებული” კონფლიქტის კერას ნარმოადგენდა. 1992 წელს ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთს შორის პრიგოროდნოს რაიონთან დაკავშირებით გამწვავებულმა უთანხმოებამ (18) მხარეები სისხლიან კონფლიქტამდე მიიყვანა. მშვიდობის აღდგენის მიზნით საქმეში რუსეთის არმიაც კი ჩაერია.

სამწუხაროდ, დღემდე პრიგოროდნის პრობლემა მოგვარებული არ არის. ამჟამად დაძაბულობის ეს კერა ორ ხალხს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს აფერხებს. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ინგუშეთს, ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის გაყოფის შემდეგ, არ აქვს ზუსტად, იურიდიულად დადგენილი საზღვარი არც ოსეთთან და არც ჩეჩენეთის რესპუბლიკასთან.

ინგუშებისა და მათი მეზობელი ხალხების ურთიერთდამოკიდებულების განხილვისას აუცილებელია ითქვას, რომ ვაინახებს ყველაზე კარგი ურთიერთობა მოსაზღვრე ქართველებთან აქვთ. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოსა და რუსეთის სამხრეთს შორის სახელმწიფო საზღვარმა გაიარა, მაგრამ ინგუშებისა და ქართველების მეგობრობა მაინც გრძელდება. ამის დადასტურებაა 2009 წლის 23 ოქტომბერს თბილისში გამართული საღამო, რომელიც ცნობილ ინგუშ პოეტს იისა კოძოის 70 წლის-თავს მიეძღვნა (19).

## ჩერქეზები

მიუხედავად იმისა, რომ ჩერქეზეთის “ისტორიულ მიწები” უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაპარდა, მეხსიერებაში მათზე შემონახული მონაცემები თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე დღემდე საკმაო გავლენას ახდენს.

ზოგიერთი მოსაზრებით, ისტორიულად ჩერქეზეთის ტერიტორია მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს დასავლეთით და მდინარე თერგის შესართავამდე არსებულ მიწა-წყალს აღმოსავლეთით (ინგუშეთის ჩათვლით). კავკასიაში რუსეთის ექსპანსიის შედეგად მე-19 საუკუნის დასაწყისში, ყუბანში კაზაკების ჩასახლება და კორდონის ხაზების მშენებლობა დაიწყო. ამის შედეგად მოხდა აბაზების დასახლებების შავიზღვისპირეთიდან, ყუბანიდან და დასავლეთ კავკასიის მთისწინეთიდან გამოდევნა. კავკასიის ომის (1817-1864) შედეგად ადილურ-აფხაზური მოსახლეობა სხვადასხვა მონაცემით, თითქმის 10-ჯერ შემცირდა. ამჟამად ჩერქეზეთის ტერიტორია დაყვანილია ოთხ არცთუ ისე დიდ ანკლავად — ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკად (20), ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკად (21) და ადილეს რესპუბლიკად (22), აგრეთვე შაფსულთა გაფანტულ აულებად სოჭისა და ტუაფსეს რაიონებში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამ ანკლავებმა მიიღეს ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსი, 1990-იან წლებში კი — რესპუბლიკების სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. შაფსულების ეროვნული ოლქი, რომელიც 1924 წ. შეიქმნა, 1940 წელს გააუქმეს.

1999 წელს ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამნვავების პირობებში ყარაჩაი-ჩერქეზეთში გაჩნდა იდეა “დიდი ჩერქეზეთის შექმნის” შესახებ. მართალია, ეთნოპოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციასთან ერთად პროექტი “დიდი ჩერქეზეთი” თავის აქტუალობას კარგავს ხოლმე, პერიოდულად მაინც ხდება მისი წინ წარმონევა. საერთოდ, ადილელ და აფხაზ ხალხთა საერთო სახელმწიფოში გაერთიანების იდეით ძალზე ხშირად სპეკულირებენ ეროვნული ელიტები, რომელთა მიზანს საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს. ამგვარი აგიტაცია-პროპაგანდით იძახება პოლიტიკური ვითარება, “მღვრიე წყალში” კი, როგორც ცნობილია, “თევზის დაჭერა” ადვილია.

პროექტები “ჩერქეზეთი”, “დიდი ჩერქეზეთი”, “კავკა-სიური სახლი” და სხვები ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით თანამედროვე რუსეთის სუბიექტების საზღვრების შეცვლას გულისხმობენ. ასეთ მიზნებში საფრთხე იმაღება: ტერიტო-როების ახალი გადანაწილება ეროვნულობის მიხედვით რეს-პუბლიკებიდან არასატიტულო ეთნოსთა ნარმომადგენლე-ბის მასობრივ მიგრაციას გამოიწვევს, რაც ეროვნებათმორი-სი კონფლიქტების საფუძველს ქმნის. ამას შეუძლია სიტუა-ცია შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მიიყვანოს (მაგალი-თად, კაზაკებთან). შესაბამისად, მოხდება მდგომარეობის დესტაბილიზაცია მთლიანად კავკასიაში.

## კაზაკობა

რუსეთის ისტორიაში კაზაკობა სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ როლს ასრულებდა, განსაკუთრებით ეს შესამ-ჩნევი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი უკეთესად გაცნობი-ერების მიზნით აუცილებელია ისტორიას გადავხედოთ.

თანამედროვე გაგებით, კაზაკები ნარმოადგენენ აღმო-სავლეთ სლავების სუბეთნიკურ ჯგუფს, რომლებიც განსახ-ლებული არიან აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთში მდებარე სტეპებში (რუსეთსა და უკრაინაში - მდინარეების დნეპრისა და დონის აუზში), აგრეთვე ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილში (მდინარე ურალის აუზში). ტერმინი “კაზაკი” ძველითურქუ-ლი წარმოშობისაა და “თავისუფალ”, “თავისუფლებისმოყვა-რე მამაც” ადამიანს ნიშნავს. ეს სახელწოდება ფართოდ გავ-რცელდა XVI საუკუნეში, როცა მოსკოვისა და ლიტვის სამ-თავროდან ემიგრირებული აღმოსავლეთსლავური მოსახლე-ობა სამხრეთით, შავიზღვისპირა სტეპებსა და მდინარეების - დნეპრისა და დონის აუზში მდებარე ტერიტორიებზე დასახ-ლდა. XVII საუკუნისათვის ამ რეგიონში თავისუფალი კაზაკე-ბის მრავალი დასახლება გაჩნდა, რომლებიც მუდამ მზად იყ-ვნენ თავდაცვისათვის, გარეშე მტრებისა და მომხდურის მო-საგერიებლად. პერმანენტული საფრთხე კაზაკებს აიძულებ-და გასამხედროებული ქვედანაყოფები შეექმნათ, რომელიც “კაზაკთა ჯარის” (“კაზაჩ’ე ვოისკო”) სახელითაა ცნობილი.

XVIII საუკუნეში შავიზღვისპირა მიწების გამო პოლონეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება დაიწყო. ამ რეგიონში მცხოვრებმა კაზაკებმა რუსეთის იმპერიაში ყოფნა არჩიეს, შესაბამისად, დონისა და დნეპრის აუზის ტერიტორია რუსეთმა შეიერთა. რუსული სახელმწიფო კაზაკობისაგან ერთგულ სამსახურს მოითხოვდა, სამაგიეროდ, კაზაკებს რიგი შეღავათები და უპირატესობები დაუწესა. მოგვიანებით კაზაკთა დასახლებები გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონებშიც - მდინარე ყუბანის აუზში, თერგისპირა ტერიტორიებზე და ა.შ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა აგრეთვე კაზაკთა განსახლების სამხედრო-ტერიტორიულ-ადმინისტრაციული თვითმმართველობის სისტემაც (მაგალითად, “ტერსკი კაზაჩი კრუგ”-ის, “ტერსკო კაზაჩე ვოისკო”-ს და “ობლასტ ვოისკა დონსკოგო”-ს სახით).

კაზაკები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთ-საფრანგეთის ომში (1812-1815 წლები), კავკასიის ომებში (1817-1864 წლები), რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878 წლები), პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) ფრონტებზე. რუსეთის არმიაში შექმნილი იყო კაზაკთა ცალკე სამხედრო ქვედანაყოფები - ცხენოსანი (საკავალერიო) დივიზიები, პოლკები, ასეულები და სხვა.

1917 წლისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ყუბანის კაზაკების (დაახლოებით მილიონ 130 ათასი) განსახლების არეალს შეადგენდა “მაიკოპის ოტდელის” ტერიტორია (დღევანდელი ადილეს რესპუბლიკა), “ბატალპაშინის ოტდელი” (ყარაჩაი-ჩერქეზეთი და სტავროპოლის მხარის ნაწილი). რაც შეეხება თერგის კაზაკობას (რაოდენობა - 251 ათასი), ისინი განსახლებულნი იყვნენ დღევანდელი დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთისა და სტავროპოლის მხარეს შორის მდებარე მიწებზე. დონის კაზაკობა კი ძირითადად მდინარე დონის ქვემო და შუა წელში არსებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

დონისა და ყუბან-თერგის კაზაკობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამოქალაქო ომის პერიოდში (1918-1920 წლები), რომლის დროსაც ისინი ძირითადად მონარქიის მომხრეთა (ანტონ დენიკინის “თეთრი გვარდიის”) მხარეზე იპროდნენ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რუსეთის სამხრეთში ადმინიტრაციულ-ტერიტორიული და-

ყოფის შეცვლის კვალობაზე (“ობლასტ ვოისკა დონსკოგო”-ს ნაწილის ტაგანროგის მაზრისათვის მიერთება, დონის როსტოვის ოლქის დაარსება), აქ მცხოვრები კაზაკები რსფსრ-სა და უკრაინის სსრ შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

საბჭოთა პერიოდში, 1930-იან წლებში კაზაკობის საკმაოდ დიდი ნაწილი რეპრესირებულ იქნა, თუმცა მოგვიანებით, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების დროს, მათი ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდა. აშკარაა, სტალინმა და მისმა გარემოცვამ მხედველობაში მიიღო კაზაკთა საბრძოლო ტრადიციები და გამოცდილება, სწორედ ამიტომაც ჩამოყალიბდა ყუბანისა და დონის კაზაკთა გვარდიული ცხენოსანი კორპუსები, მექანიზებული შენაერთები. ობიექტურობის პრინციპი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საზღვარგარეთ ემიგრირებული კაზაკები იძრძოდნენ გერმანიის ვერმახტის შემადგენლობაშიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კაზაკობის აღორძინება ჩრდილოეთ კავკასიაში 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პროცესის განვითარებას ხელი რუსეთის მთავრობამაც შეუწყო - გამოიცა დადგენილება “რეპრესირებულ კაზაკთა რეაბილიტაციის შესახებ”, “სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია კაზაკობასთან მიმართებით” და სხვა. ამგვარმა სამართლებრივმა აქტებმა უზრუნველყო კაზაკთა სტატუსი, მათ მიერ სახელმწიფო სამსახურის გავლის წესი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის პრინციპები და ასე შემდეგ.

2002 წლის აღნერის მონაცემებით, რუსეთის სამხრეთის ფედერალურ ოლქში კაზაკებად საკუთარ თავს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აღიქვამდა. ამჟამად კაზაკთა სტრუქტურები ამ რეგიონის ყველა ფარგლებში უძინებებით მონაცემს (მაგალითად, “ტერსკოე კაზაჩ’ე ვოისკო”, “კუბან-სკოე კაზაჩ’ე ვოისკო”, “დონსკოე კაზაჩ’ე ვოისკო”). აქვე შევნიშნავთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული კაზაკთა აღორძინების პროცესი დღემდე არ დასრულებულა.

სამწევაროდ, ჩრდილოეთ კავკასიის კაზაკობა გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ ხშირად გამოიყენება ისეთი მადესტაბილიზებელი მიზნებისათვის, როგორიცაა სეპარატისტული მოძრაობის ხელშეწყობა, სეპარატიზმის პრო-

პაგანდა, ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება და სხვა. სხვადასხვა დროს გაისმოდა მოთხოვნები შექმნილიყო კაზაკთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები - ყუბანის კაზაკთა რესპუბლიკა (კრასნოდარის მხარეში), თერგისა და დონის კაზაკთა რესპუბლიკები (სტავროპოლის მხარის, დაღესტნის, ჩეჩენეთის, როსტოვისა და ვოლგოგრადის ოლქების ტერიტორიებზე), აბაზთა კაზაკური რესპუბლიკა (ყარაჩაი-ჩერქეზეთში).

სამწუხაროდ, ჩრდილოკავკასიელმა კაზაკებმა ნეგატიური როლი შეასრულეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის პროცესშიც. 1992 წლიდან დღემდე დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა გარკვეული ნაწილი, იარაღით ხელში, პერმანენტულად გამოდის აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარეზე, უკანონოდ შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე, რაც კონფლიქტურ რეგიონებში ისედაც არსებულ არასტაბილურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს. აშკარაა, რომ ყოველივე ეს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით თუ წაყრუებით ხდება, ამიტომაც პასუხისმგებლობა ამ საკითხში მთლიანად მოსკოვს ეკისრება.

ამგვარი დესტრუქციული მოქმედებებისა და ტენდენციების გასანეიტრალებლად და აღსაკვეთად აუცილებელია, რომ კაზაკთა აღორძინების პროცესი კავკასიის ხალხებისათვის სასარგებლო მიმართულებით განვითარდეს: კაზაკებმა ხელი უნდა შეუწყონ რეგიონის ხალხებს შორის მშვიდობის დაცვას, ეთნოსებისადმი ბატივისცემას, იმ ტრადიციების ახლებურად გააზრებას, რომლებითაც კაზაკობა ყოველთვის ამაყობდა. კაზაკთა რენესანსს ახალი იმპულსი და მეცნიერული უზრუნველყოფა ესაჭიროება, რაც საზოგადოებას დესტრუქციისა და ექსტრემიზმისაგან დაიცავს.

## თავი V

### ჩრდილო კავკასია (სამხრეთ რუსეთი): ეთნიკური, კონფესიური მოზაიკა და მიგრაციული პროცესები

კავკასიის ხალხთა ეთნიკური და ენობრივი ნათესაობა, კულტურული და ცივილიზაციური ერთობა სამხრეთ რუსეთის ფედერალური ოლქის ტერიტორიაზე ხშირად ვლინდება როგორც პოლიტიკური კონსოლიდაციის ბაზა სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის. ეთნიკური თვითშეგნების ზრდა, გამრავლებული რელიგიურ აღორძინებაზე, მუდმივად ქმნის ეთნიკური ფაქტორის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების საფრთხეს.

ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული მოძრაობების მიერ შემუშავებული ის პროექტები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მოწყობასა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საზღვრების ცვლილებებს ეხება, ძირითადად, ეთნოლინგვისტური საზღვრების ადმინისტრაციულ და სახელმწიფო საზღვრებთან დამთხვევის პრინციპებს ეფუძნება (მაგალითად, ყარაჩაი-ბალყარელთა, ვაინახთა, ჩერქეზთა, კაზაკთა რესპუბლიკების შექმნის პროექტები, რუსეთის შემადგენლობაში ლეზგებით, ოსებით და აბაზებით დასახლებული ტერიტორიების დაბრუნება). ამასთან ერთად, ხსენებული პროექტები ნაკლებად ითვალისწინებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, უკვე ჩამოყალიბებულ სამეურნეო კავშირებს და შრომის განაწილებას, ხალხების ტერიტორიულ დაქუცმაცებას, სათანადო საკომუნიკაციო საშუალებების არქონასა და სხვა ობიექტურ ფაქტორებს. როგორც წესი, ასეთ პროექტებში არ არის გათვალისწინებული სხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რეგიონში ცხოვრობენ. ასეთმა სიტუაციამ ბევრად შეუწყობელი 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებას, რასაც შედეგად ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და „აფხაზეთის“ რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციისა და ნაურუს მიერ დამოუკიდებლობის აღიარება და 50 ათასი ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ამ რეგიონიდან განდევნა მოჰყვა.

ჩრდილო კავკასიაში ამჟამად რვა “ეროვნული” რესპუბლიკაა. ჩრდილო კავკასიის ხალხების მოსახლეობა 2002 წლის რუსეთის საყოველთაო აღწერის შედეგად 5 მილიონ 285 ათას ადამიანს შეადგენდა. სლავები (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები) - 15 მილიონ 300 ათასს. იმავე აღწერის მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან მიგრირებული 826 ათასი კაცი ცხოვრობდა (სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არ გამქრალა ჩრდილოკავკასიელი ხალხების სურვილი საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნისა, თუმცა ამგვარი მიზნები ხშირად ერთმანეთისადმი ეთნოპოლიტიკური და ეთნოტერიტორიული პრეტენზიების საფუძველი ხდება. ამასთან ერთად, აქ მცხოვრებ თითქმის მილიონამდე სომებს, ქართველს და აზერბაიჯანელს არასოდეს გამოუთქვამთ რაიმე პოლიტიკური პრეტენზია და მათ ინტერესებს ეთნოპოლიტიკური ხასიათი არ მიუღია. ისინი საკმაოდ წარმატებულად თანაარსებობენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ყველა ხალხის წარმომადგენლებთან.

მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სამხრეთ რუსეთში ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებას შესაძლოა სოციალურ-პოლიტიკური კლიმატის გამწვავება მოჰყვეს, რაც სერიოზულად გაართულებს ხალხებს შორის ურთიერთობებს და აქ მცხოვრებ სამხრეთ კავკასიელი ხალხების ჯგუფებს ეთნოსთაშორის პოლიტიკურ კონფლიქტებში ჩაითრევს.

2002 წლის რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სამხრეთ რუსეთის ოლქის ენათა ოჯახების მცირერიცხოვანი ჯგუფების შეფარდება შემდეგნაირად გამოიყურება: ყველაზე მრავალრიცხოვანია ინდოევროპულ ენათა ოჯახი - 16, 6 მლნ. ადამიანი (სლავური, სომხური, ირანული, ოსური, ბერძნული და სხვა ჯგუფები), იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი (ადილურ-აფხაზური, ნახურ-დალესტნური) - 4,4 მლნ. ადამიანი, ეს ოჯახი რიცხობრივად შეიძლება შევადაროთ ალათაურ ოჯახს (1,7 მლნ.) და სომხურ, ირანულ, ბერძნულ ჯგუფებს (1,2 მლn.).

## ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში

კავკასიონის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხების მიგრაციები საუკუნეების მანძილზე შეინიშნებოდა. ჩრდილო კავკასიაში ძირითადად ქართველები და სომხები მიდიოდნენ. საქართველოსთან მომიჯნავე ჩრდილოკავკასიურ აულებში ქართული ოჯახები ცხოვრობდნენ, ქართულ სოფლებში კი - დაღესტნელები, ჩეჩენები, ინგუშები, ოსები, ადილები. ხშირად იყო მათ შორის დანათესავება, ათალიყობა, დინასტიური ქორწინებები. ცნობილია, რომ ამგვარი პროცესების შედეგად საქართველოში გაჩნდა ქართველ დიდებულთა (თავადთა) გვარები - ლეკიშვილები, ჩერქეზიშვილები და სხვა. ასევე ცნობილია, რომ ჩეჩენეთში სამ თეიპს (საგვარეულოს) - ძუმსოის, ყელოისა და ვარანდოის - ქართული ნარმომავლობა აქვთ.

ქართველების მიგრაცია ჩრდილო კავკასიაში ორ ძირითად პერიოდად შეიძლება დავყოთ: პირველი - XVII საუკუნის შუახანებიდან XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით და მეორე — XIX საუკუნის პირველი ნახევარი — XX საუკუნის დასაწყისი. ქართველების ნაწილი, რომელიც 1725 წელს მეფე ვახტანგ მე-ექვსეს რუსეთში გამგზავრების დროს ახლდა, კასპიის სანაპირო რაიონებში დარჩა. XVIII საუკუნეში ქართველები უპირატესად სახლდებოდნენ ყიზლარში (დაღესტანში, 1735 წელს) და მოზდოკში (ჩრდ. ოსეთში, 1762-63 წლებში).

ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული საქონელი — აბრეშუმი, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები და სხვა — დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. ქართველი მეფეები, ჩრდილოკავკასიელებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, მათ მიერ ნარმოებულ საქონელს, წინაპრების მიერ დაწესებული ტრადიციის შესაბამისად, საბაურ გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკურ დაახლოებაში დიდ როლს ასრულებდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდა ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების (1783 წლის გიორგიესკის ტრაქტატის) ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ქართველ და რუს ვაჭრებს რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე უფლებებში ათანაბრებდა.

ჩრდილო კავკასიაში ქართველების მიგრაციის მეორე ეტაპი იმ დროს ხდება, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიამ მიიერთა და კავკასიის ომი დასრულდა. 1863-64 წლებში, ადილების მასობრივი გადასახლების (მუხაჯირობის) შედეგად, მდ.ბზიფიდან (აფხაზეთში) ნოვოროსიისკამდე დიდი ტერიტორიები თავისუფლდებოდა. ამ ტერიტორიებზე ცარიზმის პოლიტიკა მიზანმიმართულ მიგრაციას ახორციელებდა და იმ იმედით, რომ ამ მხარის იმპერიასთან მიერთება ეთნოგრაფიულადაც მომხდარიყო, ხელს უპირატესად რუსების დასახლებას უწყობდა. თუმცა ალსანიშნავია ისიც, რომ ცარიზმი არ კრძალავდა ქართველებისა და სომხებისათვის მიწების გადაცემასა და იქ მათ დაფუძნებას. საინტერესოა, რომ ბევრი ქართველი გაკაზაკდა, რასაც მეფის მოხელეებიც ხელს უწყობდნენ. გაკაზაკება ნიშნავდა, რომ მათ გარკვეული სტაცუსი ენიჭებოდათ, პრივილეგიებსა და სოციალური დახმარების ჩათვლით. არსებობდა მეფის სპეციალური ცირკულარები რუსი მოხელეებისათვის, რომელთა თანახმად, ქართველებს არავითარი დაბრკოლება არ უნდა შექმნოდათ კაზაკის წოდების მისაღებად. სწორედ ამ დროისათვის ჩნდება ყუბანში შემდეგი სტანიცები (კაზაკთა დასახლებები): მინგრელსკაია, გრუზინსკაია, ტიფლისსკაია. უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ სტანიცების მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ. ახალი ქართული დასახლებები ჩნდება შავი ზღვის გუბერნიაში - სოჭის მიდამოებში (პლასტუნკა, მამაიკა, ნოვაია ზარია) და თერგის ოლქში (ალაგირი, დლევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი). ალსანიშნავია, რომ 1879-82 წლებში ალაგირში 120 ქართული ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო 1897 წელს სოჭთან ახლოს მდებარე სოფელ პლასტუნკაში - 97 ქართული ოჯახი, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოდან - იმერეთიდან, სამეგრელოდან და რაჭიდან იყვნენ მიგრირებულნი. XIX საუკუნის ბოლოს ქართველთა დასახლების პროცესი იწყება ყაბარდო-ბალყარეთში (ნალჩიკში).

1888 წელს ვლადიკავკაზში გაიხსნა ქართული სკოლა, რომლის დამაარსებელი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ ყიფიანი. იგი ცნობილ ოს პოეტთან და პროზაიკოსთან კოსტა ხეთაგუროვთან მეგობრობდა. XX საუკუნის დასაწყისში ვლადიკავკაზში აშენდა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაც, რომელიც დღესაც მოქმედია. საინტერესოა, რომ

ამ ტაძარში მოინათლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ქართული სკოლები დაარსდა სოჭში (1921 წელს) და ნალჩიკში (1932 წელს). შეიქმნა ქართული სახალხო თეატრებიც - მაგალითად სოჭში, ოლღა წითლაძის მიერ, რომელიც პირველი იყო ამ მხარეში. ეს თეატრი ახლო კავშირში იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. სამწუხაროდ, ასეთი კავშირები დღეს უკვე შეწყვეტილია. საბჭოთა პერიოდში ნალჩიკის ახლოს ილია გობეჯიშვილის უშუალო ინიციატივით დაარსებულ იქნა ქართული კოლმეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე იყო ყაბარდო-ბალყარეთში. საინტერესო ფაქტია, რომ ილია გობეჯიშვილი ორჯერ (1937-1938 და 1943-44 წლებში) იქნა არჩეული ნალჩიკის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ (დღევანდელი გაგებით, ნალჩიკის მერად).

1950-იან წლებში სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, იალბუზის ექსპედიციის ხელმძღვანელის, თბილისელი პროფესორის გიორგი სულაქველიძის დიდი ხელშეწყობით, ნალჩიკში დაარსდა გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც დღეს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო დაწესებულებაა (1).

1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის კონფლიქტის შედეგებმა და საქართველოში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველების ახალი მიგრაცია განაპირობა.

ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში (რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში) არცთუ ისე ბევრია - 2002 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 60, 6 ათას ადამიანს შეადგენდა. აქედან როსტოკის ოლქში ცხოვრობდა 10,6 ათასი, კრასნოდარის მხარეში - 20 ათასი, სტავროპოლის მხარეში - 8,7 ათასი, ჩრდილოეთ ოსეთში - 10,8 ათასი. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში (უმეტესად ყუბანში) ცხოვრობენ ე.ნ. “თურქი-მესხებიც” (2), რომელთა რაოდენობა 75 ათასს აღწევს.

პოსტსაბჭოურ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს უკავშირდება რეგიონში ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნაც: “ვარძია” - როსტოკის ოლქში, “ერთობა” - ჩრდილო ოსეთში, “ივერია” - სოჭში, “რიონი” - ნალჩიკში.

## სომხეთი ჩრდილოეთ კავკასიაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომეხთა რაოდენობა სამხრეთ რუსეთის ფედერაციურ ოლქში გაორმავდა, განსაკუთრებით - სტავროპოლის მხარეში. აქტიურად მატულობს სომხების რაოდენობა კრასნოდარის მხარეშიც. ამ რეგიონებში სომხები მრავალი საუკუნის წინ საკმაოდ კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი (3), არსებობდა სომხური ტოპონიმიკაც. ოფიციალური მონაცემებით (2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), სომეხი მოსახლეობის რაოდენობა ჩრდილო კავკასიაში შეადგენდა 615 ათას ადამიანს. სომხები მოსახლეობის რიცხობრივი რაოდენობით სტავროპოლის მხარეში მეორე ადგილზე არიან, კრასნოდარის მხარეში და როსტოვის ოლქში კი - მესამეზე.

ჩრდილო კავკასიაში გამოყოფენ სომეხთა რამდენიმე ჯგუფს - ჩერქეზებს (არმავირის, მაიკოპის, კრასნოდარის რაიონებში), ამშენებს (მაიკოპში, კრასნოდარში, ტუაპსესა და სოჭში), დონელებს (ნორ-ნახჭევანში, რომელსაც მოგვიანებით სახელი დონის ნახჭევნით შეეცვალა; პროლეტარსკის რაიონში).

მეფის რუსეთი ხელს უწყობდა ჩრდილო კავკასიაში სომხების, ბერძნების, უკრაინელების, ქართველებისა და სხვა ქრისტიანი ხალხების ჩასახლებასა და იმ მხარის ათვისებას. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა ამ რეგიონში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეექმნა, რომლის დროსაც მიწათმოქმედებით, ხელოსნობით დაკავებული მოსახლეობა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი იქნებოდა.

საბჭოთა პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში (დასავლეთ ნაწილში) არსებობდნენ ისეთი ადმინისტრაციული რაიონები, რომელთა მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენდნენ. მაგალითად, 1926-1953 წლებში მაიკოპის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა სტანიცა ელისავეტპოლი (დაბა შაუმიანი - 1938 წელს); ქალაქ დონის როსტოვის ახლოს დღესაც არსებობს მიასნიკოვის რაიონი (ცენტრით სოფელ ჩალტირში).

გასული საუკუნის 90-იან წლებში ყუბანისა და სტავროპოლის მხარეებში და როსტოვის ოლქში სამხრეთ კავკასიი-

დან სომებს ლტოლვილთა ნაკადების შემოდინება ძლიერდება. ჩრდილო კავკასიის ყველა რეგიონში შექმნილია და ფუნქციონირებს სომხური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხები სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებში წყდება და არა ეროვნულ რაიონებში.

დღეს სომებთა მიგრაციის ვექტორი რუსული მიგრაციის ვექტორს იმეორებს - სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. გარკვეული კორექტირება ამაში შეაქვს აქტიურ იმიგრაციას სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან (სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შედეგად). სომხური მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა ამ რეგიონში ეთნოსთაშორისი დაძაბულობის გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს, რადგან ეკონომიკის სფეროში ინტერესთა კონფლიქტი წარმოქმნება (პირველ რიგში, ეს ეხება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს).

## აზერბაიჯანელები ჩრდილოეთ კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიაში აზერბაიჯანულების რიცხვის ინტენსიური ზრდა, სხვა პერიოდებისაგან განსხვავებით, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე შეინიშნება. ამ რეგიონში მათი რაოდენობა დაახლოებით 186 ათასს შეადგენს.

აზერბაიჯანული ენა მიეკუთვნება ალთაური ოჯახის თურქულ ენათა ჯგუფს, ხოლო ანთროპოლოგიურად აზერბაიჯანელები სამხრეთევროპეიდული რასის კასპიურ ტიპს წარმოადგენენ. აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზში მონაწილეობას იღებდა მანას, კავკასიური ალბანეთის (ძვ.წელთაღ-რიცხვის I ათასწლეული), მიდიის, ატროპატენის (ძვ.წელთაღრიცხვის IV და ახ.წელთაღრიცხვის VII საუკუნე) მოსახლეობა, აგრეთვე ირანულენოვანი და თურქულენოვანი მომთაბარეები, სკვითები, ჰუნები, ბულგარები, პაჭანიკები, თურქ-სელჯუკები და თათარ-მონღლოლები. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ კავკასიის ალბანეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული. მოგვიანებით, აქ მცხოვრებმა ხალხებმა ისლამური რე-

ლიგია მიიღეს, რაც კავკასიაში არაბთა ლაშქრობებმა და დაპყრობებმა განაპირობა. პარალელურად, შემოღებულ იქნა არაბული დამწერლობა და არაბული კულტურის სხვა ტრადიციები. აზერბაიჯანელები შედიოდნენ ჰულაგიდების (XIII საუკუნე) სახელმწიფოში, ხოლო XVI-XVIII საუკუნეებში — ჯერ ოსმალეთის იმპერიის, შემდეგ კი ირანის (სპარსეთის) შემადგენლობაში.

აზერბაიჯანელთა ტრადიციული საქმიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. გარდა ამისა, განვითარებულია შინა ხელოსნობა, მატყლისა და ტყავის ნარმოება, აბრემუმის დამუშავება. აზერბაიჯანელები დაკავებულნი არიან მექანიზებული სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, ინტელექტუალური შრომით.

ჩრდილოკავკასიელი აზერბაიჯანელებიდან ცნობილი არიან მეცნიერებისა და კულტურის განთქმული მოღვაწეები: ბოეტი ფათალი ველიკენტელი (XVIII ს.), მეცნიერი ყაზემბეკი (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები) და სხვები.

ამჟამად შეინიშნება ჩრდილოკავკასიელი აზერბაიჯანელების ეროვნული თვითშეგნების ზრდა. რეგიონის მთელ რიგ ქალაქებში შეიქმნა და მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურული საზოგადოებები.

აზერბაიჯანული ფოლკლორი ახლოა კავკასიის ხალხურ ზეპირისიტყვიერ შემოქმედებასთან: ფართოდაა გავრცელებული ზღაპრები, თქმულებები (“ქორ-ოლლი”, “ასლი და ქერიმი”, “აშიკ-ლარიბი” და სხვა). აზერბაიჯანელების ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია სახალხო მომღერლებს - აშულებს, პოეტებს, მუსიკოსებს. პოპულარულია მოღა ნასრედინთან დაკავშირებული ანეგდოტები, საზეიმოდ ალინიშნება მუსლიმური დღესასწაულები - “ნოვრუზ-ბაირამი” (ახალი წლის დადგომა), “ურაზა-ბაირამი” და “ყურბან-ბაირამი”.

ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში აზერბაიჯანელთა განსახლების არეალია დაღესტანი (75,5 ათასი), კრასნოდარის მხარე (10,3 ათასი), სტავროპოლის მხარე (10,2 ათასი), როსტოვის ოლქი (10,2 ათასი).

აზერბაიჯანელთა ინტენსიური მიგრაცია და მათი განსახლება ტრადიციული საცხოვრებელი რაიონების (კასპიის ზღვის სანაპირო და სამხრეთ დაღესტანი) მიღმა შესამჩნევად ზრდის არარუსი ხალხების საერთო რაოდენობას რუსე-

თის ფედერაციის სამხრეთ სუბიექტებში, შესაბამისად, იცვლება ადგილობრივი და მოსული მოსახლეობის თანაფარდობაც. მიგრანტების დამკვიდრება სოციალურად და ეკონომიკურად მიმზიდველ ტერიტორიებზე, მათ შორის საზღვრისპირაზეც, ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირების რისკებს ზრდის, ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის მატებას, ხელისუფლების კორუმპირებას, საზოგადოების გარევეული ნაწილის კრიმინალიზებას, ფულადი სახსრების საზღვარგარეთ უკონტროლო გადინებას.

## რუსები კავკასიაში

რუსების კავკასიაში აქტიური ჩასახლება XVIII საუკუნეში დაიწყო. 1795 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში 111,4 ათასი რუსი ცხოვრობდა, რომელებიც რეგიონის მოსახლეობის 8,8% შეადგენდნენ.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს რუსების რიცხვი 32 ათას ადამიანს აღწევდა. მათი ძირითადი რაოდენობა საქართველოში ცხოვრობდა. 1875 წელს სამხრეთ კავკასიაში 73 ათასი რუსი იყო, 1897 წლისათვის კი მათი რაოდენობა უკვე 243 ათას ადამიანს შეადგენდა.

1926 წლის მონაცემებით, რუსული მოსახლეობის რაოდენობამ სამხრეთ კავკასიაში 337 ათასამდე მოიმატა. 1939 წლისათვის მათმა რიცხვმა 888 ათასი ადამიანი შეადგინა. მათი ძირითადი ნაწილი წინა კავკასიაში - ბარის ნაწილში ცხოვრობდა. ფაქტობრივად, რუსებით სამხრეთ კავკასია უფრო მეტად იყო დასახლებული, ვიდრე ჩრდილოეთი კავკასია, სადაც ეროვნულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებში მხოლოდ 876,5 ათასი რუსი ცხოვრობდა.

1959 წელს კავკასიის რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებში ცხოვრობდა 2,2 მლნ. რუსი. კავკასიაში, წინა კავკასიის ბარის ჩათვლით, ცხოვრობდა 9 მილიონ 864 ათასი რუსი ადამიანი, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში - 965 ათასი ადამიანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ: რუსი მეცნიერი ვ.ბელოზეროვი ხაზს უსვამს, რომ თუ 1897 წელს რუსეთის საზღვრებს გარეთ მხოლოდ 8,1% რუსი ცხოვრობდა, 1959 წელს

მარტო კავკასიაზე რუსეთის მთლიანი მოსახლეობის 10,1% (ეთნიკური რუსი) მოდიოდა (4).

რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსია კავკასიაში შემდგომ წლებშიც გრძელდება: XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე მთავრდება რუსების სოციალური ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში: ჯერ საქართველოში, შემდგომ აზერბაიჯანსა და სომხეთში. 80-იანი წლების ბოლოს, სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობდა 785 ათასი რუსი. ამ პერიოდში დაიწყო რუსი მოსახლეობის შემცირების პროცესი. ოფიციალური მონაცემებით, 1979-1989 წლებში რუსების რაოდენობა სამხრეთ კავკასიაში 187 ათასი ადამიანით შემცირდა, ძირითადად მიგრაციის შედეგად. ეს იყო რუსი მოსახლეობის კავკასიის მთიანი რეგიონებიდან ნელი, მაგრამ მდგრადი შემცირების ტენდენცია.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას: აქ რუსების დემოგრაფიული ექსპანსიის დასრულების ნიშნები პირველად დაღესტანში გაჩნდა (1960-იან წლებში), შემდგომ - ჩეჩენეთ-ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთში (1970-1980 წლებში), მოვიანებით, 1990-იან წლებში, ამ ტენდენციამ თავი იჩინა ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადილეში. რუსი მოსახლეობის საერთო რაოდენობა რესპუბლიკებში ყოველწლიურად 10-11 ათასი ადამიანით მცირდებოდა. ამასთან ერთად, რუსი მოსახლეობის შემცირების ტემპი ამ ეტაპზე გარკვეულწლილად უკავშირდება ყველა რესპუბლიკაში რუსების ბუნებრივ ზრდას და მიგრაციულ მატებას სამ ეროვნულ-ტერიტორიულ წარმონაქმნში (ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადილე).

ამჟამად რუსები ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხვანი ხალხია. ისინი მოიცავენ შემდეგ სუბეთონსებს: დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკებს. 1989 წლის აღნერით, ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა 11 მილიონ 232 ათასი ადამიანი (68,9%), მაგრამ ფედერაციის სუბიექტებში ისინი არათანაბრად არიან განსახლებული: ადილეში - 293,6 ათასი (68%), დაღესტანში - 165,9 ათასი (9,2%), ყაბარდო-ბალყარეთში - 240,7 ათასი (32%), ყარაჩაი-ჩერქეზეთში - 175,9 ათასი (42,4%), კრასნოდარის მხარეში - 3 მილიონ 906,8 ათასი (84,6%), როსტოვის ოლქში - 3 მილიონ 844,3 ათასი (89,6%), ჩრდილოეთ ოსეთში - 189,2 ათასი (29,9%), სტავრო-

პოლის მხარეში - 2 მილიონ 24 ათასი (83,9%), ჩეჩენეთსა და ინგუშეთში - 293,8 ათასი (23,1%), ყალბუხეთში - 121,5 ათასი (37,7%) ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რიგ რესპუბლიკებში, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), დერუსიფიკაციის პროცესი შეინიშნება, კერძოდ, ჩეჩენეთსა და ინგუშეთში, რომლებიც რუსი მოსახლეობისგან თითქმის მთლიანად დაიცალა. 1989-2005 წლებში კავკასიაში რუსი მოსახლეობა 1 მლნ. მეტი ადამიანით შემცირდა. ეს პროცესი ჯერ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, აზერბაიჯანში დაიწყო, შემდეგ გაგრძელდა ჩრდილო კავკასიაში - დალესტანში, ჩეჩენეთ-ინგუშეთში და ა.შ. ამ პროცესის შემდგომი ეტაპია საზღვრისპირა და კომპაქტურად დასახლებული სლავური რაიონებიდან რუსული მოსახლეობის გადინება და მათ ადგილზე მიგრანტების ჩასახლება (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის, ვოლგოგრადისა და ასტრახანის ოლქებში).

გარდა ამისა, საზღვრისპირა მცხოვრები რუსების მიგრაციული განწყობა განპირობებულია ვაჟაპიზმის გავრცელების რისკითა და ჩეჩენეთიდან დაბრუნებულ არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა მონაწილეებთან არსებული დაპირისპირებითაც.

ჩეჩენეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა, არაჩეჩენური მოსახლეობის უფლებობამ, დაუსრულებელმა ტერორიზმა, ოლქებისა და მხარეების ეკონომიკური და სოციალური სფეროების რღვევამ ამ რეგიონების (ჩეჩენეთი, ინგუშეთი) რუსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობისაგან დაცლა გამოიწვია. მინიმუმამდეა შემცირებული რუსული მოსახლეობის რაოდენობა დალესტანშიც.

რუსი მოსახლეობის გადინების ზოგადი მიზეზებია საბჭოთა კავშირის დაშლა, ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, შეიარაღებული კონფლიქტები, კავკასიელ ხალხთა შორის წინააღმდეგობები, მოსახლეობის დიფერენციაცია ეთნიკური და ეკონომიკური ნიშნით. რუსების მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან რუსეთის სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველი ფაქტორია.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ სამეცნიერო ცენტრში გამოცემულ “ატლასში” ხაზი აქვს გასმული,

რომ “სამხრეთ რუსეთში ერთბაშად რუსი მოსახლეობის შემცირება საფრთხეს უქმნის ქვეყნის მთლიანობას და სახელმწიფოს ერთიანობას. დღეს კავკასიის რესპუბლიკებში ვხედავთ მონოეთნიკური და მონოკულტურული საზოგადოებრივის ფორმირების პროცესს. ამას, თავის მხრივ, მივყავართ როგორც ადგილობრივი ლიდერების გაძლიერების, ასევე რუსეთის საზოგადოებისაგან ადგილობრივი მოსახლეობის იზოლაციისაკენ. გარდაუვალი ხდება რუსეთის ფედერაციის ამ სუბიექტების ცენტრიდან მართვის ხარისხის დაცემა” (5).

### **ეთნიკურ-ეთნოსოციული პროცესების თეოლოგიური სამხრეთ რუსეთში**

სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე მიგრაციულ პროცესებს, ძირითადად, ერთი ვექტორი აქვს - სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-და-სავლეთით. მიგრაციული ნაკადის ძირითადი მიმართულებაა კრასნოდარისა და როსტოვის ოლქების სამხრეთი და დასავლეთი რაიონები, მოსახლეობის სიმჭიდროვე ობიექტურ წინაპირობებს ქმნის ეთნოსთაშორის დაძაბულობის და ლოკალური კონფლიქტების კერძის გაჩერისათვის.

ამჟამად ეთნიკურ იმიგრაციას შუა აზიოდან და ყაზახეთიდან ჩრდილო კავკასიაში (“თურქი მესხები”) დიდი მასშტაბები არ აქვს, მაგრამ ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჯერ კიდევ რჩება კავკასიური დიასპორები, რომლებიც, სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში, ანდა, რაც უფრო შესაძლებელია, “რუსულ” ოლქებში დაბრუნდებიან. ყველაზე დიდი პრობლემები ჩრდილო კავკასიაში “თურქი მესხების” ბინადრობასთანაა დაკავშირებული - კრასნოდარის მხარეში, მაგალითად, “თურქი მესხების” კომპაქტურად ჩასახლება მუდმივი ეთნოსთაშორისი დაძაბულობის ფაქტორი გახდა.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ 1990-2003 წლებში მიგრაციული მატება-კლების გეოგრაფიამ ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოკვეთა.

პირველი — 1990-იანი წლების დასაწყისში მიგრაციული პროცესების გააქტიურება და 1994-2002 წლებში მისი

თანდათანობით თითქმის ნულამდე დაყვანა. შემდგომ პერიოდში კვლავ შეინიშნება გარკვეული რაოდენობით მისი ზრდა. დაღესტნელი შეცნიერი მ.შ. რიზახანოვა აღნიშნავს, რომ 1996 წლიდან რუსების დაღესტანში დაბრუნების ფაქტები შეინიშნება, რადგან “დაღესტნელმა რუსებმა თავისი სოციალურ-ეთნიკური მენტალიტეტი უკვე ჩამოაყალიბეს და ძნელად ეგუებიან ცხოვრებას რუსებით დასახლებულ ძირძელ რეგიონებში” (6).

მეორე — მიგრაციული პროცესების უთანაბრობა ჩრდილო კავკასიაში. სტავროპოლსა და კრასნოდარის მხარეებში, ადილესთან ერთად, მიგრაცია შედარებით ნაკლებად შეინიშნება, როსტოვის ოლქსა და ინგუშეთში კი უმნიშვნელო მატებაა. მიგრაციული პროცესების შემცირება ხდება ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებში (ყალმუხეთი, ჩეჩენეთი, დაღესტანი), ასტრახანისა და ვოლგოგრადის ოლქებში. გამოიკვეთა ტენდენცია მიგრაციის კლების ზონის გაფართოებისა ჩრდილო კავკასიის სამხრეთითა და აღმოსავლეთით.

ამასთან ერთად, შეიმჩნევა ნეგატიური კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობის შემცირებასა და რეგიონის დასავლეთ ტერიტორიებზე მიგრაციული პროცესის ზრდაში. მიგრაციის ამგვარად ჩამოყალიბებული ვექტორი, ერთი მხრივ, ქმნის აღმოსავლეთ რაიონების სამეურნეო ათვისების, რუსეთის სახელმწიფო ბრიობის პოზიციების შემცირების, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონის დასავლურ ნაწილში სოციალურ და ეთნოსთაშორისონ დაძაბულობას ზრდის რისკს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შიდამიგრაციული პროცესები მიმდინარეობს თვით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებშიც. მათვის დამახასიათებელია ერთი ვექტორი — მთიანი რაიონებიდან ბარში გადაადგილება. მაგალითად, ბოლო წლებში დაღესტანში აქტიურად მიმდინარეობს მთის მოსახლეობის მიერ რესპუბლიკის ბარის რაიონების სამეურნეო ათვისება, რაც აქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს. გავიხსენოთ, რომ დაღესტანში 30-ზე მეტი ეთნოსი ცხოვრობს. ამ რესპუბლიკის ბარის რაიონებში დარეგისტრირებულია მთიდან ჩამოსული 47 ათასი ადამიანი. მიწა ხომ კავკასიელისთვის არამარტო

ეკონომიკურ ღირებულებას, არამედ არსებობის, ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველსაც წარმოადგენს, ამგვარი ტერიტორიული ექსპანსია კი კავკასიელებში ეთნოსის არსებობის საფუძვლების პირდაპირ ხელყოფად მიიჩნევა.

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიაში, მოსახლეობის ბუნებრივი კლების დროს, მიგრაცია მცხოვრებთა რაოდენობის შევსებისა და ბაზრის მუშახელით გაჯერების ერთადერთ წყაროდ იქცა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, რეგიონში მიგრაციამ პიქს 1994-95 წლებში მიაღწია, რის შედეგადაც ყველა სუბიექტში მისი კლების პროცესი დაიწყო. დღეს რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემცირება მიგრაციითაც კი ვერ გადაიფარება.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მიგრაციულ ნაკადებში დიდი ადგილი უჭირავს შრომით მიგრაციას. ამგვარი მიგრანტების დასაქმების ძირითადი სფერო მრეწველობის, სოფლისა და მშენებლობის დარგებია. მაგალითად, როსტოვის ოლქი მიგრანტების 77% მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სფეროებში დასაქმებული, გაცილებით ნაკლებად (13%) არიან ისინი ჩართულები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგებში. სამნუხაროდ, საზოგადოებაში შეიქმნა სტერეოტიპი, რომ მიგრანტი, ძირითადად, მხოლოდ ვაჭარია. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ოფიციალური სტატისტიკის არასრულ მონაცემებთან, რადგან ცნობილია, რომ ბევრი მიგრანტი რუსეთში არალეგალურად ცხოვრობს. ამგვარი სტერეოტიპის კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ წარმოებაში დასაქმებული მიგრანტები იმდენად თვალში საცემნი არ არიან, როგორც, მაგალითად, ვაჭრობაში, ბიზნესსა და მომსახურების სფეროში (7).

უნდა აღვნიშნოთ, რომ არალეგალური მიგრაცია ქმნის მთელ რიგ სოციალურ პრობლემებს, ხელს უწყობს კრიმინალიზაციას, ზრდის კორუფციას რეგიონში, ახდენს ზენოლას შრომისა და ბინის ბაზარზე. არალეგალური მიგრანტები იძულებული არიან, დათანმხდნენ შრომის დაბალ ანაზღაურებას, მუშაობენ სოციალური გარანტიების გარეშე. ყოველივე ამის შედეგად, ადგილობრივი მუშახელისათვის შრომის ბაზარზე არათანაბარი პირობები იქმნება: დამსაქმებელს უჩნდება შესაძლებლობა, შეუმციროს ხელფასები ყვე-

ლა მომუშავეს, ანდა ისინი იაფი მუშახელით შეცვალოს. რა თქმა უნდა, ამგვარი პოლიტიკა სოციალური და ეროვნებათ-შორისო თანხმობისა და მშვიდობის შენარჩუნებას ხელს არ უწყობს.

მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია მართვად შრო-მით მიგრაციას, რაც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელო-ვანი ფაქტორია. ამისათვის უნდა შემუშავდეს როგორც რე-გიონული (კავკასიური), ასევე ყველა ცალკე ქვეყნის (საქარ-თველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია) მიგ-რაციული პოლიტიკა. აუცილებლობა მოითხოვს შეიცვალოს მიგრაციული აქტივობის ვექტორიც. თუ შრომით მიგრაციას ორგანიზებული (მართვადი) ხასიათის მიეცემა და მიგრან-ტებისთვის ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობე-ბი შეიქმნება, ასეთი პოლიტიკა კავკასიის მჭიდროდ დასახ-ლებულ რეგიონებში სოციალურ დაძაბულობას შეამცირებს, განავითარებს მცირერიცხოვან რაიონებს და თავიდან აგვა-ცილებს ეთნოსთაშორის დაძაბულობის ზრდას მიგრანტე-ბით დასახლებულ რაიონებში.

## ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რეაგირები აღმსარებლობა

ჩრდილოეთი კავკასია ისტორიულად ყველა მსოფლიო რელიგიის თანაარსებობის ტრადიციით გამოირჩევა (8). რუ-სეთის ფედერაციის მთლიანობის შენარჩუნებას სახელმწი-ფოს მოქნილი პოლიტიკა და სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხთა შემწყნარებლობა უზრუნველყოფს. რუსეთის უსაფ-რთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ამ რეგიონში მოსახლეობის რელიგიურ სტრუქტურას პრინციპული მნიშ-ვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბოლო წლებში, როდესაც რელიგიური ფაქტორი ექსტრემისტული მოძრაო-ბის განუყოფელი ნაწილი გახდა.

რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში ორი მსხვილი კონფესია - ქრისტიანული და მუსლიმური (ზოგადად, კონ-ფესიებისადმი მიკუთვნების გასაგებად ეთნიკური კუთვნი-ლების პრინციპი გამოიყენება). არიან აგრეთვე ბუდისტებიც (ყალმუხები). ჩრდილოკავკასიელ მართლმადიდებლებსა

და ბუდისტებს შორის ჭეშმარიტად მორწმუნეთა რაოდენობა არაუმეტეს 10-15%-ია, ხოლო მუსლიმური მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (60%) მორწმუნენი არიან. ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ადიღეს მოსახლეობა ნაკლები რელიგიურობით გამოირჩევა (20-30%). ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა დაღესტნის, ჩეჩენეთის, ინგუშეთის ხალხთა კულტურულ-ცივილიზაციური განცალკევების ტენდენცია, სადაც მოსახლეობის მკვეთრი ისლამიზაცია რუსი და რუსულენოვანი ქრისტიანი მოსახლეობის გადინების ფონზე მიმდინარეობს.

ამჟამად რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში თითქმის 3,5 ათასი რელიგიური ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ შორის მეტად გავლენიანს მიეკუთვნებიან რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის 8 ეპარქია, 11 მუსლიმური სასულიერო სამმართველო და 3 მუსლიმთა ცენტრალიზებული რელიგიური ორგანიზაცია.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დარეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების რიცხვი ამა თუ იმ კონფესიის ძალისა და გავლენის მაჩვენებელი არ არის. რეგისტრაცია დაკავშირებულია ხელისუფლების დამოკიდებულებასთან დარეგისტრირებული სტრუქტურებისადმი. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამწყსო (მრევლი) რეგისტრაციასთან დაკავშირებით სიძნელეებს არ განიცდის. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის შემდეგ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციაზე უარის თქმის პრაქტიკა გავრცელდა. ამ მხრივ სირთულეებს განიცდიან საზღვარგარეთული პროტესტანტული ორგანიზაციები. სტაროვერთა რელიგიური თემი და მუსლიმთა სასოფლო თემები (ჯამაათები) რეგისტრაციას საჭიროდ არ თვლიან.

2005 წლის პირველი ივლისისთვის დაღესტანში დარეგისტრირებული იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის 5 ორგანიზაცია, ისლამის - 1786, პროტესტანტების - 11, სულ - 1806; ყაბარდო-ბალყარეთში: რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის 20 ორგანიზაცია, ისლამის - 115, პროტესტანტების - 23, სულ - 152; სტავროპოლის მხარეში: რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის 284 ორგანიზაცია, ისლამის - 8, პროტესტანტების - 136, ბუდისტური - 2, სულ - 430; როსტოვის ოლქში: რუსული მართლმადიდებლური ეკ-

ლესის 257 ორგანიზაცია, ისლამის - 17, პროტესტანტების - 121, სულ - 395.

ბოლო წლებში უკვე არსებული რელიგიური ორგანიზაციებიდან ახალი დამოუკიდებელი ეპარქიებისა და მუფტიათების გამოყოფის ტენდენცია შეიმჩნევა. კერძოდ, რამდენიმეჯერ იყო მცდელობა ცალკე შექმნილიყო სტავროპოლის მხარის მუსლიმთა სასულიერო მმართველობა.

თფიციალური ისლამის საორგანიზაციო სტრუქტურები თავის გავლენას აქტიურად ავრცელებენ ტრადიციულ რუსულ მხარეებსა და ოლქებში.

თუ რუსულმა მართლმადიდებლურმა კონფესიამ შემდგომშიც განაგრძო თავისი მოღვაწეობა “ზემოდან ქვემოთ”, მაშინ, შეიძლება, მან რეგიონში თავისი პოზიციები დაკარგოს. შესაბამისად, გაძლიერდებიან სხვა კონფესიები და სექტები. ასეთი ტენდენცია ნათლად გამოჩნდა სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის რელიგიური მოსახლეობის მაგალითზე, სადაც ზოგიერთი რელიგიური მოძრაობა (მაგ. “იელოვას მოწმეები”) აქტიურად არის დაკავებული საზოგადოებრივი და მისიონერული მოღვაწეობით. რეგიონში არატრადიციული კონფესიური მოძრაობების (მაგალითად, პროტესტანტების) აქტიური მისიონერული მოღვაწეობა რუსული მართლმადიდებლური ეკლესის წინააღმდეგობას აწყდება და სოციალურ-კულტურული სფეროს დაძაბულობის კიდევ ერთი წყარო ხდება.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ძირითადი რაოდენობა, ისევე როგორც მთელი ახლო აღმოსავლეთი, ირანისა და ერაყის ნაწილის გამოკლებით, სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. შიიტები, რომელთა სასულიერო ცენტრი ირანია, შედარებით მცირერიცხოვანია და ისინი სამხრეთ რუსეთში აზერბაიჯანელებით არიან წარმოდგენილნი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუსლიმთა მართვის ცენტრალური ორგანოები დაირღვა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ჯამაათების შეკრება რესპუბლიკური მუფტიათების ხელისუფლების ქვეშ დაიწყო. ოფიციალური ისლამი დღეს წარმოდგენილია მუსლიმთა სასულიერო მმართველობით (მსმ) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციებით. მსმ-ის პოლიტიკაში გამოიკვეთა მისწრაფება რელიგიურ მოღვაწეობაზე მკაცრი კონტროლის დაწესებისკენ. უმ-

რავლეს შემთხვევაში იმამს მუფტი ნიშნავს და იგი მრევლის მიერ არ აირჩევა. საგარეო წარმომადგენლობაც, საერთაშორისო კონტაქტების ჩათვლით, სასულიერო მმართველობის პრეროგატივას შეადგენს. ამ ბოლო დროს გავრცელდა იმამთა ატესტაციის პრაქტიკა - არა იმდენად მათი კომპეტენციის გამოყენების, არამედ სასულიერო და საერო ხელისუფლებისადმი მათი ლოიალურობის დონის გამოვლენის მიზნით. ასეთი პოლიტიკა მორჩმუნეთა უკმაყოფილებას იწვევს და ხელს უწყობს ისლამური ოპოზიციის ფორმირებას.

დაღესტანში მეჩეთების სწრაფი ტემპით მშენებლობა ნოვიერ ნიადაგს ქმნის მოსახლეობის რელიგიურობის შემდგომი ზრდისთვის. მაგალითად, თუ აյ 1986 წელს მხოლოდ 27 მეჩეთი იყო, 2000 წელს უკვე 1585, ხოლო 2006 წლისათვის მათმა რაოდენობამ 1800 შეადგინა. 2005 წელს დაღესტანში ისლამს 14 ათასი ადამიანი სწავლობდა, მათ შორის 1,2 ათასი ადამიანი ცოდნას საზღვარგარეთის ისლამურ სასწავლო დაწესებულებებში იძენდა. აღსანიშნავია, რომ მათვან სამშობლოს თეოლოგიურ ცოდნამიღებული რელიგიური მოღვაწის სახით 500-მდე ადამიანი დაუბრუნდა. ფაქტობრივად, ამჟამინდელ დაღესტანში ერთ სულ მოსახლეზე მეჩეთების რაოდენობამ იგივე დონეს მიაღწია, რაც XX საუკუნის დასაწყისში იყო. თავისთავად, დაღესტანში მეჩეთების ზრდას პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, საერო ხელისუფლებისადმი საყოველთაო უნდობლობის პირობებში, ამგვარი სიტუაცია რეგიონის ავლანური ვარიანტით ისლამიზაციის რისკს ქმნის, ანუ შესაძლოა ხელისუფლებაში რადიკალურად განწყობილი ისლამისტები მოვიდნენ. ამიტომ აქ საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება და ოფიციალური ხელისუფლების მიერ სწორი რელიგიური პოლიტიკის გატარება.

რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის რესპუბლიკებში ტრადიციული (სახალხო) ისლამი დოგმატურ ისლამს არ ემთხვევა. “ტრადიციონალისტები” არასაკმარისად კომპეტენტურნი არიან ნორმატიული ისლამის საკითხებში, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი მკვეთრად აკრიტიკებენ ოპოზიციურ ახალგაზრდობასა და ე.წ. “ახალ მუსლიმებს”. ტრადიციულ ისლამსა და ოფიციალურ სტრუქტურებს შორის მკვეთრი დაპირისპირება არ აღინიშნება, მაგრამ ასევე არ შეიმჩნე-

ვა მათი ერთობაც. დაღესტანში რელიგიური თემების უმეტესი ნაწილი რესპუბლიკის მუსლიმთა სასულიერო მმართველობას არ ცნობს, მაგრამ ისინი ერთად ზღუდავენ პოლიტიკურად აქტიურ მუსლიმებს, არ აძლევენ მათ ექსტრემისტულ საქმიანობაში ჩართვის საშუალებას. ტრადიციული ისლამი საზოგადოებრივი ურთიერთობების პრიმიტიული ფორმების კონსერვაციას ახდენს, გამოდის სოციალური გარდაქმნების შემაკავებელ ფაქტორად, რაც გამოიხატება შარიათის სასამართლოების ამოქმედებასა და მუსლიმ ლი-დერთა არჩევნების პროცესში ჩარევამი.

ტრადიციული ისლამის სუნიტური მოძღვრების ქანაფიტური მიმართულებისანი არიან ადილელები, შაფულები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ნოღაელები, ყუმუხთა ნაწილი, ყირიმის თათრები, დიგორიელი ოსები.

ჩრდილო კავკასიაში სუნიტური ისლამის შაფიიტური მიმართულების ხალხები (დაღესტნის მოსახლეობა, ნოღაელებისა და ყუმუხთა ნაწილის გარდა, აგრეთვე ჩეჩენები და ინგუშები) სუფისტური ორდენების ფორმით - თარიკატებითაა წარმოდგენილი.

## თავი VI

### პაციასია: ეთნოკოლიტიკური და გეოკოლიტიკური პროგლომები

პოსტსაბჭოურ კავკასიაში, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ეთნოპოლიტიკური პროცესების ორი ურთიერთსანინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნება. პირველი გამოიხატება კავკასიელების მისწრაფებაში — შექმნან ახალი ეროვნული სახელმწიფოები, მეორე კი, რაც მსოფლიოს წამყვანი ტენდენციაა, პირიქით — გლობალიზაციის იმპერატივებიდან გამომდინარე, გამოიხატება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თვითშეზღუდვაში (მაგ. ევროკავშირის ინტეგრაციული გაერთიანება), პოლიტიკური ერთობების ინტეგრაციული ფორმებით ჩანაცვლებაში.

დასახელებულმა ტენდენციებმა თავის ასახვა ჰქონა საერთაშორისო სამართლის ცნობილ პრინციპებში: ერების თვითგამორკვევის უფლებაში (სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით) და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში (1).

აღნიშნული ტენდენციებიდან პირველი კავკასიაში მეტნილად ეთნოცენტრისტულ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჩრდილო კავკასიაში ის ეთნოეტატიზმი გადადის (2). ეთნოეტატიზმი კავკასიაში ავტოკრატიული რეჟიმების ეთნომაპროვოცირებელი ფაქტორია, რომელიც ამნვავებს ეთნოპოლიტიკურ პროცესებს და წარმოშობს სეპარატიზმს, ტერორიზმს და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს.

ყოველივე ზემოთქმულთან მჯიდროდაა დაკავშირებული კავკასიის გეოპოლიტიკური პრობლემატიკა. კავკასიაზე გავლენის მოპოვებისათვის ტრადიციულ მეტოქეებს (რუსეთი, თურქეთი, ირანი) დღეს დაემატა ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები. ექსპერტები ხშირად საუბრობენ, რომ შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა კავკასიაში მეტნილად აწყობს ზოგიერთ სახელმწიფოს, რომელთაც, ერთმნიშვნელოვნად, მხოლოდ საკუთარი ეროვნული (პოლიტიკური და ეკონომიკური) ინტერესები ამოძრავებს. საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა გვაჩვენა, თუ რო-

გორ შეუძლია ტრანსფორმაცია ლოკალურ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტს სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტად, რაც, სამწუხაროდ, დიდი სახელმწიფოების მიერ თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენება.

ბოლო წლების მოვლენებმა კავკასიაში ისიც გვაჩვენა, რომ შიდაპოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში შიდა-კავკასიური რესურსი, რბილად რომ ვთქვათ, სათანადოდ არ გამოიყენება და რომ ეს თითქმის მთლიანად უცხო ქვეყნებზე მინდობილი. ალექსანდრე კუხიანიძე, დემოკრატიის კავკასიაცენტრისტული კონცეფციის ავტორი (3), სამართლიანად მიიჩნევს, რომ კავკასიელის მისწრაფებაში კავკასიური იდეა “კავკასიური სახლის” აშენებაში გამოიხატება. მისივე აზრით, “ასეთი მიდგომა არ განაპირობებს კავკასიური ერთიანი სახელმწიფოებრიობის მშენებლობას რეგიონის რომელიმე ოთხი სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევის ხარჯზე”. “კავკასიის მასშტაბით, სუვერენულ-ცენტრისტული პოლიტიკური ინსტიტუტების (“კავკასიური პარლამენტი”, “კავკასიური სასამართლო” და სხვა სტრუქტურები) შექმნა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს კავკასიის ეთნოპოლიტიკური პრობლემების დემოკრატიულ დარეგულირებას” (4). ასეთი მექანიზმების შექმნამდე კი საჭიროა კავკასიის ყოველ კონკრეტულ რეგიონში არსებული კონფლიქტებისა და სეპარატიზმის თავისებურებათა სათანადო შესწავლა.

## ლოკალური ეთნოსთაშორისი კონფლიქტები ჩრდილოეთ კავკასიაში

ზოგადად, 90-იანი წლების დასაწყისში კავკასიაში დაწყებული ეთნოტერიტორიული და ეთნოსტატუსთან დაკავშირებული წინააღმდეგობებიდან შეიძლება შემდეგი პრობლემები გამოვყოთ:

“შაფსულების საკითხი”, რომელიც დაკავშირებულია 1924-45 წლებში არსებული შაფსულების ეროვნული რაიონის აღდგენის მოთხოვნასთან, ცენტრით დაბა ლაზარევსკაიაში - კრასნოდარის მხარე (5). 1990-იან წლებში შედგენილი პროექტით, შაფსულეთი ტერიტორიულად მოიცავს ისეთ ფარ-

გლებს, რომელზეც დღეს ისინი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ. ეს გარემოება არის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი მიზეზი შაფსულების ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის შექმნის გზაზე, თუმცა არა მთავარი. საქმე ისაა, რომ შაფსულები განლაგებულია ფედერალური მნიშვნელობის საკურორტო ზონაში. გარდა ამისა, ამგვარი “აღდგენითი” პრეცენდენტის გავრცელებისა და განვითარების შიში ზღუდავს ადგილობრივ სამხარეო ხელისუფლებას, დააკმაყოფილოს შაფსულების მოთხოვნა.

შაფსულთა ტერიტორიის ირგვლივ შექმნილი პრობლემის გამო, 1991 წელს ადილეს ავტონომიური ოლქი კრასნოდარის მხარეს გამოეყო და ეროვნული რესპუბლიკის სტატუსი მიღები. აქ რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის რაოდენობიდან თითქმის 68% რუსია, ადილელები კი - სულ 22,5 %. იმ რაიონებში, რომლებიც ძირითადად რუსებითაა დასახლებული, ხშირად დგება მოთხოვნები კრასნოდარის მხარის ფარგლებში მათი დაბრუნების თაობაზე.

კონფლიქტური სიტუაცია ყარაჩაი-ჩერქეზეთში პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსთან (წარმომადგენლობასთან) დაკავშირებით, რაც რესპუბლიკაში არსებული ხუთი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის — ყარაჩაელების, ჩერქეზების, რუსების, აბაზებისა და ნოღაელების პრეტენზიებში გამოიხატება. გაისმის სტატუსთან დაკავშირებული მთელი რიგი ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისიდან ყარაჩაელები მოითხოვენ ცალკე ყარაჩაული რესპუბლიკის შექმნას (1943 წელს არსებულის ფარგლებში), რომელიც კაზაკებით დასახლებულ მიწებსაც მოიცავს. კაზაკთა ორგანიზაციები მოითხოვენ თავიანთ “ტერიტორიულ თვითგამორკვევას”, რომელიც რუსული ავტონომიების შექმნას ითვალისწინებს (ბათალპაშინისა და ზელენჩუკ-ურუპის რესპუბლიკების სახით), ან რუსებით დასახლებული რაიონების მიერთებას კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებთან. ჩერქეზები, თავის მხრივ, მოითხოვენ ყარაჩაელებისაგან გამოყოფას და ცალკე ავტონომიის შექმნას. თავის მხრივ, აბაზები და ნოღაელები, რომლებიც არ არიან ავტონომიის სატიტულო სტატუსის მქონენი, აყენებენ მოთხოვნებს თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე ამასთან დაკავში-

რეპით, 1992 წელს ჩატარდა რესპუბლიკური რეფერენდუმი, რის შედეგადაც კენჭისყრაში მონაწილეთაგან 76%-მა ხმა ერთიანი ყარაჩაი-ჩერქეზთის რესპუბლიკის შენარჩუნებას მისცა. მიუხედავად ამისა, ტერიტორიული პრობლემები დღესაც, 2010 წელს, ისევ აქტუალური რჩება.

როცა 1990-92 წლების ყაბარდო-ბალყარეთში ეთნიკური პრინციპით, თითქოს, მისი დაყოფის შესაძლო პერპექტივა შეიქმნა, რესპუბლიკაში კრისტალიზებას იწყებს ყაბარდო-ბალყარული ტერიტორიული წინააღმდეგობები. ყაბარდოელებსა და ბალყარელებს შორის არსებული პირობითი საზღვრები თანდათან ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების (ერთი მხრივ, ყაბარდოელი ხალხის კონგრესის და, მეორე მხრივ, ბალყარელი ხალხის ეროვნული საბჭოსი) „ისტორიულ-იდეოლოგიური“ მეტოქეობის ობიექტი. რესპუბლიკის გაყოფის პროვოცირებას ახდენენ პრობლანისა და მაისკის რაიონების კაზაკებიც, რომლებიც, სიტუაციიდან გამომდინარე, აყენებენ მოთხოვნებს ამ რაიონების სტავროპოლის მხარესთან მიერთების შესახებ.

რაც შეეხება ორი ბილინგვისტური რესპუბლიკის (ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზთის) მომავალს, ისინი 1990-იანი წლების რევიზიონისტული პროექტებით ეთნოლინგვისტურ კრიტერიუმთან არიან დაკავშირებულნი, რაც გულისხმობს ყარაჩაულ-ბალყარული და ადილური რესპუბლიკების შექმნას - ყაბარდოს, ჩერქეზთისა და ადილეს შემადგენლობით, შაფსულების რაიონის მიერთებით.

ცნობილია ეთნოტერიტორიული კონფლიქტი ინგუშებსა და ოსებს შორის, რომელიც 1992 წლის შემოდგომაზე შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა. ამ დროს ინგუშები გამოიდიოდნენ ცალკე ეროვნული ავტონომიის (რესპუბლიკის) შექმნის მოთხოვნით. ინგუშების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ამავე დროს, ითხოვდა, რომ ინგუშეთის რესპუბლიკას გადაცემოდა ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში მყოფი პრიგოროდნისა და მოზღვების რაიონების ხანილები, რომლებიც ადრე, 1924-44 წლებში, ჯერ ინგუშეთის ავტონომიურ ოლქში, შემდეგ კი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასარ-ში შედიოდა. ინგუშების შეიარაღებული დაჯგუფებების მცდელობას, ძალისმიერი მეთოდით დაეკავებინათ პრიგოროდნის რაიონი, ჩრდილოეთ ოსეთის მილიციასთან და ოსურ მოსახ-

ლეობასთან შეტაკება მოჰყვა, რაც კონფლიქტის ზონაში ფე-დერალური არმიის შეყვანით დასრულდა. “ერთკვირიანი ომის” შედეგი, - წერს ა. ცუციევი, - გახლდათ 600 დაღუპული და 40 ათასზე მეტი ლტოლვილი, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ინგუშები წარმოადგენდნენ (6).

**ომი ჩეჩენეთში.** 1990-იანი წლების დრმა სისტემურმა კრიზისმა სამხრეთ რუსეთი ფედერალური ხელისუფლების დასუსტებამდე და სეპარატიზმის ზრდამდე, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დაძაბვამდე, შეიარაღებულ კონფლიქტებამდე და ისლამის დროშას ამოფარებული ტერორისტული მოძრაობების გააქტიურებამდე მიიყვანა.

რუსეთის სახელმწიფო სისტემის დემოკრატიაციის პირობებში, როცა მნიშვნელოვნად შესუსტდა ფედერალური მართვის ვერტიკალი, ზოგიერთ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი ჩეჩენეთში თავი იჩინა სეპარატიზმა. აქ მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა: 1991 წელს ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა ინგუშეთისა და იჩქერიის რესპუბლიკებად დაიმალა, რომელთა ხელმძღვანელებად ეროვნული მოძრაობის ლიდერები (ჯოხარ დუდაევი, რუსლან აუშევი) იქნენ არჩეული. განყდა ურთიერთობები ფედერალურ ცენტრთან, ეროვნული ლიდერები ყველა საკითხს ადგილებზე, საკუთარი შეხედულებით წყვეტდნენ, ხშირად რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ. რასაკვირველია, მოსკოვი შეეცდებოდა თავისი კონტროლის აღდგენას ურჩ რესპუბლიკებზე და ასეც მოხდა: დაიწყო “რუსეთ-ჩეჩენეთის” პირველი ომი (1994-96 წლები). კრემლი ამ ომს “კონსტიტუციური ნერიგის აღდგენას”, ხოლო ჩეჩენები - “თავისუფლებისათვის ბრძოლას” უწოდებდნენ. კონფლიქტმა პიკს 1995 წლის ზაფხულში მიაღწია, როცა საომარმა მოქმედებებმა ჩეჩენეთის მთანი რაიონებიც მოიცვა. სამხედრო ექსპერტების აზრით, ფედერალურ არმიას მკაფიო სტრატეგია და ტაქტიკა არ გააჩნდა. რუსეთის ხელისუფლების არათანმიმდევრულმა მოქმედებამ, ასევე ბუდიონოვსკის, ყიზლარისა და პერვომაისკის ტერაქტებმა (1995-96 წლებში) და მათმა ფართო საერთაშორისო რეზონანსმა სიტუაცია მკვეთრად შეცვალა - შეწყდა “ომი მთაში”, რამაც ამბოხებულ ჩეჩენ მეომრებს საშუალება მისცა, ბარში

გადაჯგუფებისა და გროზნოს აღების ოპერაცია განეხორ-ციელებინათ. ყოველივე ამის შედეგად, 1996-97 წლებში, ჯერ ხასავიურტში და შემდეგ მოსკოვში, მებრძოლ მხარეებს შო-რის ხელი მოეწერა საზავო შეთანხმებებს, რასაც ჩეჩინეთი-დან რუსეთის ჯარების გასვლა მოყვა.

1996 წლის აგვისტოდან 1999 წლის აგვისტომდე ჩეჩინე-თის (იჩქერიის) რესპუბლიკა დამოუკიდებელ, მაგრამ არაა-ლიარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, იჩ-ქერიის საზოგადოება შიდაჩეჩინური კონფლიქტის გამო, და-პირისპირებულ მხარეებად დაიშალა - ერთი მხრივ, ნაციონა-ლისტ-ტრადიციონალისტებად (ასლან მასხადოვი, იჩქერიის მეორე პრეზიდენტი) და მეორე მხრივ, ნეოვაპაბიტებად (ზე-ლიშხან იანდარბიევი, შამილ ბასაევი). ჩეჩინეთი, ფაქტობრი-ვად, საერთაშორისო ტერორიზმის პოლიგონად გადაიქცა, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ “ცოცხალი საქონლით”, ნარკოტიკებითა და იარაღით მოვაჭრენი, სხვა ჯურის საერ-თაშორისო ავანტიურისტები.

1999 წლის აგვისტოში ჩეჩინეთის ცალკეული საველე მე-თაურების მიერ, ჩრდილოკავკასიური ვაპაბისტური დრო-შით, დალესტრის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია დაიწყო. ბუნებრივია, ფედერალური ცენტრი იჩქე-რიელი ნაციონალისტ-ვაპაბიტების ამგვარ ანტისახელმწი-ფოებრივ გამოხდომას უპასუხოდ არ დატოვებდა - კრემლს ისედაც გულზე არ ეხატებოდა ჩეჩინეთის დე-ფაქტო დამოუ-კიდებლობა და შესაფერის მომენტს ელოდა სამაგიეროს გა-დასახდელად. შესაპამისად, ჩეჩინეთიდან დალესტანში შეია-რაღებული რაზმების შექრამ რუსეთის არმიისათვის მეორე ჩეჩინური კამპანიის დაწყება გამოიწვია, რომელიც, პირველ-თან შედარებით, ფედერალური ჯარებისთვის უფრო შედე-გიანი აღმოჩნდა. საომარი მოქმედები, 1995 წლისაგან გან-სხვავებით, ერთდროულად მრავალვექტორული შეტევის ხა-სიათს ატარებდა. ამგვარ ტაქტიკას ჩეჩენი ბოევიკების ერ-თმანეთისაგან გათიშვა და ძირითადი ძალების დამარცხება მოჰყვა. რუსეთის არმიამ გროზნო კვლავ დაიკავა და ამბო-ხებულ ჩეჩენ მეომართა რაზმები მთიანი რაიონებისაკენ შეა-ვიწროვა. 2001 წელს დაიწყო ჩეჩინეთის ეკონომიკის, სოცია-ლური ურთიერთობებისა და პოლიტიკური სისტემის რუსე-თის ფედერაციაში აღდგენის გზების ძიება.

სამწუხაროდ, დღეს ტერორისტული ომი მეტ-ნაკლებად მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშია გავრცელებული. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დაღესტანსა და ინგუ-შეთში. სხვადასხვა მონაცემებით, ტერორისტული აქტების რაოდენობა ორგანიზებულ დანაშაულს 40-50%-ით აღემა-ტება. ძალზე შემზარავი აღმოჩნდა 2005 წლის 13-14 ოქტომ-ბერს შეიარაღებული ტერორისტების მიერ განხორციელე-ბული მასიურ თავდასხმა ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკზე, რომლის დროსაც ასობით ადამიანი დაიღუპა რო-გორც სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების, ასევე თავდამსხმელების მხრიდან. რუსეთის ადამიანთა უფ-ლებების დამცველი ორგანიზაციის „მემორიალის“ შეფასე-ბით კავკასიაში ტერორიზმთან ბრძოლამ ტერორიზმი გაძ-ლიერებამდე მიიყვანა“. ეს შეფასება გაკეთდა 2009 წლის 20 ოქტომბერს, პარიზში, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლე-ბის შეხვედრაზე თავიანთ კოლეგებთან ევროკავშირისა და ადამიანის უფლებათა დამცავი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. მაგალითად, „მემორიალის“ 2008 წლის მარტის მონაცემებით, ინგუშეთში, ზაფხულის სამი თვის განმავლობაში მოკლულია 29, დაჭრილია 75 „ბოევიკი“; თითქმის იგივე მდგომარეობაა ჩეჩენეთში. ამავე დროს, იმატა ინგუშეთისა და ჩეჩენეთის ძალოვანი სტრუქტურების დანა-კარგმა, რომელმაც წინა ორი წლის ერთად აღებული რაოდე-ნობა შეადგინა. „მემორიალის“ ლიდერის ალექსანდრე ჩერ-კასოვის აზრით, ინგუშეთში 2009 წლის შემოდგომაზე არსე-ბული სიტუაცია ძალზე ახლო იდგა სამოქალაქო ომთან - ერ-თი მხრივ, რესპუბლიკის ძალოვან სტრუქტურებს და მეორე მხრივ, მოსისხლე შურისმაძიებლებს შორის (7).

ისმის კითხვა: რატომ არის მიმართული ტერორისტუ-ლი აქტები ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ? რაზე კეთდება გათვლა - უკ-მაყოფილებაზე ხელისუფლების, განსაკუთრებით კი სამარ-თალდამცავი ორგანოების ქმედებებით თუ რაიმე სხვაზე? რასაკვირველია, ამ აზვავებული ტერორიზმის მიზეზების ძიებისას არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში კლანებს შორის მიმდინარე კორუფციული კონფლიქტების მნიშვნე-ლოვანი წილიც, რომელიც საკუთრების გადანაწილებასთან, მის კონტროლთან და გავლენის სფეროების ზონებთანაა

დაკავშირებული. ჯერჯერობით ის პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორისტულ აქტივობას, შენარჩუნებულია. სამხებაროდ, ტერორისტული საფრთხის შემცირების იმედი არ ჩანს.

ამავე დროს, აღსანიშნავია ის მცირედი, მაგრამ მაინც დადებითი ფაქტი, რომ ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს მიერ დღემდე განხილულია ჩეჩენეთისა და ინგუშეთის მოსახლეობის ოცდაჩივიდმეტი საჩივარი, რომლებიც ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაზარალდნენ. ყველა საჩივარი, ერთის გარდა, განაცხადის შემტანის, ანუ ადგილობრივი მცხოვრების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი.

## კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

**მთიანი ყარაბაღი.** მთიანი ყარაბაღი იურიდიულად აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიეკუთვნება, თუმცა ძირითადად სომხებითაა დასახლებული. შესაბამისად, აქ მიმდინარე კონფლიქტი ეთნიკური კუთვნილების ნიშნითაა განპირობებული.

სომხებიც და აზერბაიჯანელებიც მთიან ყარაბაღს თავიანთი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად მიიჩნევენ: სომეხთა მტკიცებით, ყარაბაღის ტერიტორია უძველესი პერიოდიდან შუა საუკუნეების ჩათვლით არცახის (ხაჩინის) პროვინციაში - სომხური ფეოდალური სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, რაც მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლით დასტურდება. ამავე დროს, აზერბაიჯანელებისათვის მთიანი ყარაბაღი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების სამშობლოდ ითვლება. რაც შეეხება ქალაქ შუშას, ის აზერბაიჯანული სამუსიკო კულტურის განვითარების ცენტრად მიიჩნევა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921-23) მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის სსრ საზღვრებში მოექცა, რაც სომეხი კომუნისტების აზრით, დიდი შეცდომა იყო. საინტერესოა, რომ მთიანი ყარაბაღი საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც კი ეთნიკური განსახლების საკმაოდ მკვეთრი გეოგრაფიით გამოირჩეოდა: მის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში (სტეფანაკერტი, შაუმიანი) ძირითადად სომხები ჭარ-

ბობდნენ, სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილში (შუშა, მარტინი, გადრუთი) - აზერბაიჯანელები.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, როცა საზოგადოებრივი პროცესები ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური ლოზუნების ქვეშ მიმდინარეობდა, სომხებსა და აზერბაიჯანელებს არ შეეძლოთ ლიად გამოეხატათ ერთმანეთის მიმართ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული პრეტენზიები. არადა, ამ საკითხთან მიმართებით მათ შორის დაძაბულობა ძველებურად რჩებოდა და სსრკ არსებობის მიწურულს (1987-1991 წლებში) იგი აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაწყებულ ჯერ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, შემდეგ კი შეიარაღებულ კონფლიქტში გამოვლინდა.

მთიან ყარაბაღში სიტუაცია კავკასიის სხვა სეპარატისტული რეგიონების მსგავსად განვითარდა: 1988 წლიდან იწყება ეროვნული მოძრაობა, რომელსაც თან ახლავს სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მზარდი დაპირისპირება. ძირითადად სომხებით დაკომპლექტებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1988 წლის თებერვალში ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანიდან გამოყოფისა და სომხეთთან მიერთების სურვილი გამოაცხადა. სომხეთის სსრ ხელისუფლება ყარაბაღელების სურვილს დათანხმდა. ამავე პერიოდში მწვავდება დაპირისპირება აზერბაიჯანის სხვა რეგიონებში - სუმგაითში, ბაქოში მცხოვრებ სომხებთან მიმართებით, რასაც დარბევები და დიდი მსხვერპლი მოჰყვა. იმატა დევნილების ნაკადმა ორივე მხარეს. სიტუაცია ვერ დაარეგულირა მოსკოვის მიერ შემოლებულმა საგანგებო მდგომარეობამ მადესტაბილიზებელი პროცესები 1990 წლისათვის კიდევ უფრო გაღრმავდა, დაიწყო შეიაღარებული დაპირისპირება, ხოლო 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შამს, ვითარება სრულიად უმართავი გახდა. სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ფაქტობრივად, მთიანი ყარაბაღის გამო, ერთმანეთთან ომი დაიწყეს, რომელშიც აზერბაიჯანი დამარცხდა. სომხეთის დახმარებით, მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულმა ქვედანაყოფებმა დამატებით კიდევ აზერბაიჯანის შვიდი რაიონის - ქელბაჯარის, ლაჩინის, ზანგელანის, ჯებრაილის, ყუბატ-ლინის, აგდამის, ფიზულის ტერიტორია დაიკავეს, რომელიც დღემდე ოკუპირებული აქვთ. ამ რაიონებიდან 350 ათასმა აზერბაიჯანელმა იძულებით დატოვა თავისი სახლ-კარი.

1994 წლის 12 მაისს, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევით, ხელი მოეწერა შეთანხმებას მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ დროიდან მოყოლებული კონფლიქტის მხარეები, პრაქტიკულად, ერთმანეთისგან იზოლირებული არიან, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ შეხვედრებს უმაღლეს სახელისუფლო დონეზე, “მინსკის პროცესის” ფარგლებში.

1992 წლს საერთაშორისო ფორმატში ეუთოს ე.წ. “მინსკის ჯგუფი” (თანათავმჯდომარეები - რუსეთი, აშშ) შუამდგომლობს კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. კონფლიქტში მხარეების პოზიციები ეხება ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს. პირველ რიგში, ესა იკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება, მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრა, კომუნიკაციების გახსნა, დევნილების დაბრუნება და კონფლიქტის ზონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია. სამწუხარიდ, ამ დროის მანძილზე, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გარდა, ამ კონფლიქტთან დაკავშირებული არცერთი პრობლემა მოგვარებული არ არის.

2008 წლის 14 მარტს გაეროს 62-ე სესიაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია “აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობის” შესახებ, რომელშიც დაგმობილია აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაცია და აღიარებულია მისი ტერიტორიული მთლიანობა. 2008 წლის პირველ აგვისტოს ეუთოს „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარემ გაახმოვანა მთიანი ყარაბაღის დარეგულირების კონფიდენციალური დოკუმენტის დეტალები. როგორც მეთიუ ბრაიზა აღნიშნავს, “ჩატარდება რეფერენდუმი, რომლის დროსაც თვითონ ყარაბაღელები ჩამოყალიბდებიან და თვითონ მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა გადაწყვეტს - შევა თუ არა რესპუბლიკა აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ, ან მიიღებს დამოუკიდებლობას”. ოფიციალური ბაქო ამ პროცედურას არ უარყოფს, მაგრამ აცხადებს, რომ ყარაბაღში რეფერენდუმი შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ 15 ან 20 წლის შემდეგ.

## კონფლიქტის საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად საქართველოში - აფხაზეთსა და ე.ნ. “სამხრეთ ოსეთში” (ცხინვალის რეგიონში) 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩაღებული პოლიტიკური კონფლიქტები ღია შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

**კონფლიქტი აფხაზეთში.** აფხაზეთის კონფლიქტს მკაფიო ეთნიკური გამოხატულება აქვს. საბჭოთა კავშირის დროს ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტების სასტატუსო მეტოქეობა ეთნიკურ არგუმენტებს უკავშირდებოდა: თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ავტონომიური ხელისუფლება, როგორ უნდა განაწილებულიყო პრესტიული თანამდებობები, რესურსები, როგორი უნდა ყოფილიყო პრიორიტეტები რესპუბლიკის კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროებში. მხარეებს შორის კონფლიქტის დაწყების წინ სამობილიზაციო რესურსის სწორედ ეთნიკურობა გახდა. ზემოთ ჩამოთვლილმა უთანხმოებამ ქართველები და აფხაზები 1992 წლის აგვისტოში შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. აფხაზეთის გაკონტროლებამ ქართული შეარაღებული ფორმირებების მიერ (რეგულარული არმია მხოლოდ ყალიბდებოდა), რასაც ადგილობრივ აფხაზთა შეიარაღებულ ჯგუფებთან სამხედრო კონფლიქტი და, შესაბამისად, ცოცხალი ძალის დიდი მსხვერპლი მოჰყენა, აფხაზ-ქართველთა შორის დიდი უფსკრული გააჩინა. ომმა კიდევ ერთი დრამატული შედეგი გამოილო: 1993 წლის სექტემბერში, ქართული შეიარაღებული ძალების დამარცხების შედეგად, აფხაზეთი თითქმის 300 ათასმა ქართველმა დატოვა, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ, დევნილ მოსახლეობად იქცნენ.

აფხაზეთში საომარი მოქმედებები 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა. აფხაზებმა და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიელმა “მოხალისეებმა” მთლიანად დაიკავეს მდინარე ფსოუდან ენგურამდე არსებული ტერიტორია. ფაქტობრივად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მხოლოდ მცირე ნაწილი - კოდორის (დალის) ხეობა დარჩა. 1994 წლის აპრილიდან 2008 წლის აგვისტომდე აქ განლაგებული იყვნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით შექმნილ სამშვიდობო ძა-

ლები, რომლებიც მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარა-ლებული ძალების ქვედანაყოფებით იყო დაკომპლექტებული. ამ დროის მანძილზე რუსი მშვიდობისმყოფები, გაე-როს წარმომადგენლების მონიტორინგის მეშვეობით, მათზე დაკისრებულ სამშვიდობო ფუნქციას ასრულებდნენ, თუმცა დაპირისპირებულ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის უნდობლობის ბარიერი არ გამქრალა, პირიქით — ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო, ხშირად ხდებოდა პროვოკაციები, სროლები, ადამიანთა გატაცებები და სხვ. მაგალითად, 1998 წელს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების დროს მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ კინალამ სამხედრო მოქმედებები განახლდა. სიტუაცია კიდევ ერთხელ გამწვავდა 2003 წელს, როცა აფხაზეთში პანკისის ხეობიდან გადა-სული ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გილაევი და მისი შე-არალებული რაზმი გამოჩნდა. აფხაზ სეპარატისტთა მტკი-ცებით, საქართველოს ხელისუფლებამ ჩეჩენთა რაზმი აფხა-ზეთში პარტიზანული ომის გასაჩაღებლად გადაისროლა. რა თქმა უნდა, ასეთი მწვავე ფაქტები მხარეებს ერთმანეთისა-გან კიდევ უფრო აშორებდა.

რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას: სამწუხაროდ, აფხაზური და ქართული მხარეების პოზიციები ერთმანეთი-საგან მკვეთრად განსხვავდებოდა. კერძოდ, ეს შეეხებოდა როგორც აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ-სამართლებრივ სამომავლო სტატუსს, ასევე თვით კონ-ფლიქტის მოგვარების პრიორიტეტებს: ტერიტორიის სტა-ტუსს, დევნილების დაბრუნებას და მათი უსაფრთხოების განსაზღვრას. აფხაზების მოთხოვნის თანახმად, ჯერ რეს-პუბლიკის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო საერთაშორი-სო დონეზე, შემდეგ კი დევნილების დაბრუნება მოხდებოდა. ამგვარი მოთხოვნა განპირობებული იყო აფხაზეთში ქართუ-ლი მოსახლეობის დომინირების აღდგენის შიშით, რაც, სეპა-რატისტთა აზრით, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას დაე-მუქრებოდა.

ქართული მხარის პოზიცია ასეთი იყო: დევნილი მოსახ-ლეობის მშობლიურ ადგილებში უპირობოდ დაბრუნება, სტა-ტუსის პრობლემა კი შეიძლებოდა მათი დაბრუნების პროცე-სის პარალელურად ან მის შემდეგ განხილულიყო. თბილისი ამ პროცესის გაჭიანურებას რუსეთის მხარეს აბრალებდა და

რუსი მშვიდობისმყოფლების საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტით ჩანაცვლებას ითხოვდა. ამ დროის მანძილზე კონფლიქტის მოგვარების ბევრი პროექტი შეიქმნა, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, მათ შორის ისიც, რომელიც საერთაშორისო შუამავლების ("გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის" და ეუთოს) მიერ იქნა შემუშავებული - ე.ნ. "დიტერ ბოდენის პროექტი". ეუთოს წარმომადგენლის, ეროვნებით გერმანელი დიპლომატის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული მოდელი კომპრომისული იყო და შემდეგ ჩარჩო-მახასიათებლებს შეიცავდა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება 1989 წლის მდგომარეობით, აფხაზეთის აღიარება სუვერენულ სუბიექტად საქართველოს შემადგენლობაში, განსაკუთრებული სტატუსით, რომელიც ფედერალურ შეთანხმებაზე იქნებოდა დამყარებული. ამავე შეთანხმებით განისაზღვრებოდა უფლებების გამიჯვნა თბილისა და სოხუმს შორის, ხოლო თვით შეთანხმებას საკონსტიტუციო კანონის ძალა ექნებოდა. გარდა ამისა, იყო რუსული პროექტი "საერთო სახელმწიფოს" შესახებ, კონფიდერაციული პროექტი და ასე შემდეგ.

სიტუაციამ აფხაზეთში შეურიგებელი ხასიათი მიიღო იმის გამოც, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა გეოპოლიტიკური ვექტორების სხვადასხვა მიმართულებები აირჩიეს: აფხაზებმა ქართული სახელმწიფოსაგან დისტანცირებისათვის დასახმარებლად რუსეთს მიმართეს და მასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შეეცადნენ. თავის მხრივ, რუსეთმა აფხაზეთში პასპორტიზაცია განახორციელა და "რუსეთის მოქალაქეებად" გადაქცეული აფხაზები უვიზო რეჟიმით უზრუნველყო. ეს მაშინ, როცა მოსკოვმა საქართველოსთან 2001 წელს მკაცრი სავიზო რეჟიმი შემოილო. ცხადია, ვალში არც საქართველო დარჩა: თბილისმა ნატოსა და ევროკავშირისაკენ ინტეგრაციის გზა აირჩია იმ იმედით, რომ რუსეთის პოზიციები დასუსტდებოდა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, აფხაზებს იძულებით მშვიდობის დამყარებაზე დაითანხმებდნენ და დევნილები მშობლიურ ადგილებში დაბრუნდებოდნენ.

**კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში.** პირველი ე.ნ.ქართულ-ოსური კონფლიქტი (1918-1920 წლებში) საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსების მიერ მოწყობილ აჯანყებებს უკავშირდება. მაშინ, როცა ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების განმტკიცებას ცდილობდა, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკასთან (რსფსრ) მიერთებას მოითხოვდა. 1918 წლის აჯანყება შედარებით წაკლები დანაკარგებით იქნა ჩახშობილი. განსაკუთრებით ძლიერი და საშიში იყო 1920 წლის აჯანყება, რომლის დროსაც ბოლშევიკებმა ცხინვალში რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) შექმნეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ნოე ჟორდანიას მთავრობამ ოს გლეხობას ბრალი ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში დასდო და 1920 წლის ივნის-ივლისში სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა. ოსური წყაროების თანახმად, დაიხოცა და შიმშილითა და ეპიდემით დაიღუპა ხუთი ათასი ოსი, გაწყდა საქონლის 70%.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის აპრილში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი ეკავა. ეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ბოლშევიკებმა სრულიად ხელოვნურად ჩამოაყალიბეს, ქართული სოფლების მოსახლეობის მის შემადგენლობაში შეყვანით.

ქართულ-ოსური დაპირისპირების მეორე პერიოდი იწყება საბჭოთა კავშირის არსებობის მიზურულს, 1989-1990 წლებში. 1988 წელს შეიქმნა ოსური ორგანიზაცია “ადამონ ნიხასი” - ეროვნული ფრონტი, რომლის ინიციატივით ცხინვალში ანტიქართული გამოსვლები დაიწყო. “ადამონ ნიხასის” წაქეზებით, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს თხოვნით მიმართა ოლქი-სათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შესახებ. ამ ფაქტმა საქართველოს ხელისუფლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. 1989 წლის 23 ნოემბერს ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ მობილიზებული 15 ათასი ქართველი ცხინვალისაკენ დაიძრა. ქალაქის მისადგომებთან მათ გზა გადაუღობეს ოსმა შეიარაღებულმა პირებმა და

ცხინვალში დისლოცირებულმა საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების ჯარისკაცებმა. მოხდა სისხლიანი შეტაკება: დაიღუპა 6 ადამიანი, 27-მა კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად ჭრილობები მიიღო.

1989 წლის 20 სექტემბერს, “სამხრეთ ოსეთის” ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება ოლქის “სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად” გარდაქმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 21 სექტემბერს გააუქმა.

ამის მიუხედავად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ ძალაში დატოვა თავისი გადაწყვეტილება, აირჩია ე.წ. “სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი” და მიიღო დროებითი დეპულება უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაიწინა 1990 წლის 2 დეკემბერს. ამის საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს მიიღო დადგენილება ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. იმავე ხანებში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ოსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და 9 დეკემბერს საკუთარი საპარლამენტო არჩევნები ჩატარეს.

“დადგენილებათა ომმა” კულმინაციას 1990 წლის 11 დეკემბერს მიაღწია - საქართველოს ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არა მარტო გააუქმა სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები, არამედ თვით ავტონომიური ოლქიც და მისი ტერიტორია სხვადასხვა რაიონებს შორის გადაანილა. რეგიონში შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა.

კონფლიქტის შეაირღებული ფაზა დაიწყო 1991 წლის იანვარში, როდესაც ცხინვალში რამდენიმე ათასიანი ქართული პოლიცია და ნახევრად გასამხედროებული მოლაშერეები იქნენ შეყვანილი. ქუჩის ეპიზოდური ბრძოლები რამდენიმე თვე გრძელდებოდა, რომელშიც რუსული ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ.

1992 წლის დასაწყისში საქართველოში ინსპირირებული სამოქალაქო მიზი დაიწყო, რამაც, თავის მხრივ, ძლიერ

დაასუსტა ცენტრალური ხელისუფლება და ამით ხელი შეენ-ყო ასური სეპარატიზმის გაძლიერებას. საბოლოოდ კონ-ფლიქტის შეიარაღებული ფაზა 1992 წლის 24 ივნისს სოჭში (დაგომისში) რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი შეთანხმებით დასრულდა. ეს დოკუმენტი ცეცხლის შეწყვე-ტასა და კონფლიქტის მოგვარებას ითვალისწინებდა. სამ-შვიდობო პროცესის განვითარების მიზნით, ჩამოყალიბდა შერეული საკონტროლო კომისია საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ნარმომადგენელთა შემად-გენლობით. რეგიონში შემოყვანილ იქნა აგრეთვე რუსული სამშვიდობო ძალებიც.

სხვათა შორის, ამ კომისიის საქმიანობა ეფექტური გა-მოდგა. 2004 წლისათვის ცხინვალის რეგიონში წინა პერიოდ-ში არსებული ეთნოსთაშორისი დაძაბულობა თითქმის დამ-ცხრალი იყო. აღდგენილი იყო საავტომობილო მოძრაობა ცხინვალს, გორსა და თბილისს შორის, აქტიურად ფუნქციო-ნირებდა მსხვილი სასაქონლო ბაზრობა სოფელ ერგნეთში, რომლითაც ოსებიც და ქართველებიც წარმატებით სარგებ-ლობდნენ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ერგნეთის ბაზრო-ბა არალეგალურ ხასიათს ატარებდა, მარაგდებოდა კონტრა-ბანდით, შემოსული და გაყიდული საქონლის აღრიცხვა არ ხდებოდა და საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ზა-რალდებოდა. კონფლიქტის საბოლოოდ დარეგულირებას ხე-ლი შეუშალა რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში ჩატარე-ბულმა “პასპორტიზაციამ”, რომლის შემდეგ ოსი მოსახლეო-ბის აპსოლუტური რაოდენობა რუსეთის მოქალაქე გახდა. ისევე, როგორც აფხაზეთთან მიმართებით, 2001 წელს რუსე-თის მიერ საქართველოსთან შემოღებული სავიზო რეჟიმი” სამხრეთ ოსეთის” მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა, ისინი როკის საავატომობილო გვირაბის მეშვეობით რუსეთში დაბ-რკოლების გარეშე მიემგზავრებოდნენ.

ამრიგად, საერთაშორისოდ აღიარებული საქართვე-ლოს საზღვრებისა და ტერიტორიის შემადგენლობაში არსე-ბული “სამხრეთ ოსეთი”, ფაქტობრივად, რუსეთის პროტექ-ტორატად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულობის დონე შესამჩნე-ვად იყო დაწეული, კონფლიქტის მხარეების პოზიცია რეგიო-ნის სტატუსთან დაკავშირებით კომპრომისული მოდელისაგან

მაინც შორს იყო. საქართველოს ხელისუფლების პოზიციის თანახმად, ცხინვალის რეგიონში არავითარი ეროვნულ-ადმინისტრაციული ერთეული აღარ არსებობდა. ოსებს კი მიაჩინდათ, რომ მათი სახელმწიფოებრიობა უკვე ფაქტია და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობას საქართველომ ანგარიში უნდა გაუწიოს. გარდა ამისა, ცხინვალელი სეპარატისტები, იმის შიშით, რომ მათ დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებოდა, არ გამორიცხავდნენ რუსეთთან ინტეგრაციას და ეგრეთ წოდებული “ორი ოსეთის” - ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, რაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს შეუქმნიდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე შექმნილ ეთნოპოლიტიკურ სიტუაციას ასახავს. საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ხუთდღიან იმში საქართველო დამარცხდა. სამწუხაროდ, ომის შედეგად საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის ის რეგიონებიც დაკარგა, რომელსაც აკონტროლებდა (აფხაზეთში - კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონში - ახალგორის რაიონი). 2008 წლის აგვისტოშივე რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარა, მოგვიანებით კი იგივე გააკეთა ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი იკეანის კუნძულოვანმა ჯუჯა-სახელმწიფო ნაურუმ. რამდენად წარმატებებული აღმოჩნდება აფხაზი და ოსი სეპარატისტების მცდელობები საერთაშორისო არენაზე (რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებით), ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხადია, რომ საქართველოს კავკასიურ პოლიტიკას ზიანი მიადგა.

## კავკასიის გეოპოლიტიკა

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა გვიჩვენა, რომ დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური საკითხია.

კავკასია გასული საუკუნეებიდან მოყოლებული, დღე-საც გეოპოლიტიკური თამაშის ობიექტია. დაძაბული და არასტაბილური კავკასია, რომელსაც თავისი საკუთარი ში-

და ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გააჩნია, გარე ძალების ჩარევისათვის ფრიად ნოყიერ რეგიონს წარმოადგენს. ზბიგნევ ბჟეზინსკის გეგმა-პროგნოზი არა მარტო წინასწარმეტყველებს არასტაბულირობას რუსეთის სამხრეთი საზღვრების პერიმეტრზე, არამედ ეს პროგნოზი, ფაქტობრივად, გამართლდა.

ალექსანდრე დუგინი და სხვა რუსი ექსპერტები თვლიან, რომ ამერიკული ფინანსური ექსპანსიის ვექტორი ზუსტად ისეა მიმართული რეგიონში, როგორც ზ.ბჟეზინსკიმ განსაზღვრა — “ძალადობის გავრცელების მსოფლიო ზონა”. ეს ინვესტიციები, მათი აზრით, მიმართულია პროამერიკულად განწყობილი სახელმწიფოების სარტყელის შესაქმნელად და პოსტსაბჭოთა სივრციდან რუსეთის გასადევნად (8).

სიტუაცია რთულდება იმითაც, რომ ამჟამად რუსეთისა და აშშ გარდა, კავკასიის გეოპოლიტიკის უშუალო მოთამაშეებად გვევლინებიან თურქეთი, ირანი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ევროკავშირი. თითოეულ მათგანს რეგიონში თავისი ინტერესები ამოძრავებს.

ამავე დროს, საგულისხმოა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას 2009 წლის მოსკოვური ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით ვაშინგტონის მზაობის თაობაზე (“ერთად ვაშენოთ ახალი მსოფლიო”). თეთრ სახლსა და კრემლს შორის დაწყებული, მსოფლიოში პოპულარულად ქცეული “გადატვირთვის” პოლიტიკა ყველა სფეროში ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს, მათ შორის, თანამედროვე პრობლემებისა და გამოწვევების მიმართაც. ამ კურსს ამერიკელი ექსპერტებიც ეთანხმებიან: ცნობილი პოლიტოლოგი რებერტ ლეგვოლდი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ “რუსეთთან საყოველთაო სტრატეგიული დიალოგი უნდა დაამყაროს” (9).

ამ მხრივ საინტერესოა ზბიგნევ ბჟეზინსკის მიერ 2009 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული წერილიც (10), რომელშიც იგი ნატოს, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას (“ოდკ”) (11) და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას (“შოს”) (12) შორის თანამშრომლობის

ხელშეკრულების დადების აუცილებლობაზე მიანიშნებს. გარდა ამისა, ამერიკელი პოლიტოლოგი იქვე აღნიშნავს, რომ წატო დაუსრულებლად ვერ იქნება გაფართოებული: მისი აზრით, “მსოფლიო ნატოს ჩამოყალიბება იმის მანიშნებელი იქნება, რომ ამერიკულ-ევროპულ მთავარ ღერძს ძირი ეთხრება”.

## თურქეთისა და ირანის ფაქტორები

პანთურქიზმის (13) იდეა (განმარტება და მისი წარმოშობის ისტორია მოკლედ სქოლიოში) ობიექტურ საფუძველს ეყრდნობა. კავკასიაში მრავალი თურქულენოვანი ხალხი ცხოვრობს: აზერბაიჯანელები, ყუმუხები, ნოღაელები, ბალყარელები და სხვები. მათგან, პრაქტიკულად, ყველას აქვს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, თუმცა, სამწუხაროდ, ასევე ყველა მათგანს მეზობლებთან - სომხებთან, ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან — ეთნოტერიტორიული პრობლემები აქვთ. ნოღაელებისათვის მტკიცნეულ საკითხად რჩება ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის არქონა (ისინი დაღესტნის შემადგენლობაში შედიან), რომელიც თუ შეიქმნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში “გაფანტულად” მცხოვრებ თანამემამულეებს გააერთიანებდა. ყუმუხებისათვის ეთნო-ტერიტორიული საკითხი განსაკუთრებით მწვავეა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, მათ ისტორიულ მიწებზე დაღესტნის მთებიდან მიგრირებული მოსახლეობაა ჩასახლებული.

ჩრდილოეთ კავკასიაში პანთურქიზმი, ტრადიციულად, თურქეთზე ორიენტირებულ ჩერქეზ (ადილე) ნაციონალისტებს ეყრდნობა, მით უმეტეს, რომ თვით თურქეთში ერთ მილიონზე მეტი ჩერქეზი “მუჰაჯირი” ცხოვრობს. ისინი XIX საუკუნეში რუსეთის მიერ წარმოებული კავკასიური ომების შედეგად იძულებული გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ. დღეს თურქეთში ადილები თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასტრახანის ოლქში, რომელიც სამხრეთ რუსეთის ფედერალური ოლქის (ჩრდილოეთ კავკასიის) შემადგენლობაში 2000 წელს შევიდა და სა-

საზღვრო ტერიტორიას წარმოადგენს, თურქულენოვანი ჯგუფის ხალხები (ყაზახები, თათრები, აზერბაიჯანელები) რაოდენობრივად მეორე ადგილზე მყოფ ენობრივ ჯგუფს (სლავების შემდეგ) წარმოადგენს.

თურქეთის ფაქტორი პოსტსაბჭოურ კავკასიაში არა-ერთგვაროვნად ვლინდება. ერთი მხრივ, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ვითარდება (ენერგოშემცველების რუსეთიდან თურქეთში ექსპორტი გაზსადენ “ცისფერი ნაკადის” მეშვეობით, ტურიზმი და ასე შემდეგ). მეორე მხრივ, 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა, პოსტსაბჭოთა კავკასიაში ე.წ. “თურქული სივრცე” შეექმნა. იმ დროს იქნარებინირებული “დიდი თურანის” იდეაც (ცენტრალური აზიის ხალხებზე თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული გავლენის გაძლიერება), მაგრამ ანკარას ამისათვის ძალები აშკარად არ ეყო.

რაც შეეხება ირანის ფაქტორს კავკასიაში, შეიძლება ითქვას, რომ თეირანის ინტერესები ერთმნიშვნელოვნად რუსეთის ინტერესებს პასუხობს. დღეს ირანი დასავლეთის ქვეყნებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს. ირანი სომხეთის მეზობელია და, შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორ სომხეთს თეირანი აქტიურად ამარავებს მზა საქონლით და ენერგორესურსებით. ამასთან ერთად, ირანის სამხედრო ძლიერება და ხელისუფლების აგრესიული რიტორიკა კავკასიის რეგიონს გარკვეულ საფრთხეს უქმნის. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ირანის წინააღმდეგ დასავლეთი ეკონომიკურ სანქციებს შემოილებს და, უფრო უარესი, სამხედრო მოქმედებებს დაიწყებს, ამგვარ ნაბიჯებს რეგიონის უსაფრთხოების სისტემის უეჭველი ნგრევა მოჰყვება.

გეოპოლიტიკური პროგნოზებისას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის რეგიონთან ახლოს მდებარე ქურთისტანის პრობლემას, რომელსაც ძალიან ხშირად იყენებენ თავიანთი ინტერესებისათვის როგორც დასავლეთის სახელმწიფოები, ასევე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. ისტორიული ქურთისტანი დღეს ტერიტორიულად ირანს, ერაყს და თურქეთს შორისაა დანაწილებული, ქურთების საერთო რაოდენობა კი დაახლოებით 20 მილიონს შეადგენს

(თურქეთში - 10 მლნ., ერაყში - 3 მლნ., ირანში - 5 მლნ.). ამ ქვეყნებში ქურთთა სახელმწიფოებრიობის (პოლიტიკურ-ად-მინისტრაციული ავტონომიის) პრობლემა ჯერჯერობით სა-ბოლოოდ გადაჭრილი არ არის. ამჟამად როგორც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მოქმედებს ქურთთა 40-მდე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთა შორის ცალკეული პარტიები პოლი-ტიკურ ბრძოლაში ტერორისტულ მეთოდებსაც მიმართავენ.

ქურთების მიერ საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მცდე-ლობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ადრე მათ ბრძოლას მხარს საბჭოთა კავშირი უქრებდა, დღეს კი ამგვარი მხარდაჭერა რუ-სეთის ფედერაციის ინტერესებში არ შედის. მოსკოვმა რომ ქურთებთან თანამშრომლობა დაიწყოს, ამით სიტუაციას მის სამხრეთ საზღვრებთან ახლოს მკვეთრად გაამწვავებს.

## საქართველო-რუსეთის ურთიერთობები პროპლაში

საქართველო — რუსეთის ურთიერთობები პოსტსაბ-ჭოთა პერიოდში უცვლელად დაძაბული ხასიათს ატარებს. საქართველო ორიენტირებულია დასავლეთზე და ცდილობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატოში) განევრიანდეს, მჭიდრო კავშირები ჰქონდეს ევროკავშირთან. ამ მიზნით თბილისი განამტკიცებს სამხედრო — პოლიტიკურ კავში-რებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. გარდა ამისა, მიაღ-წია იმას, რომ რუსეთმა საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზები გაიყვანა.

ოფიციალურმა თბილისმა 2008 წლის აგვისტოს დასაწ-ყისში გადადგა რადიკალური ნაბიჯი — შეეცადა, რომ ოსი სეპარატისტების კონტროლქვეშ არსებული ცხინვალის რე-გიონი სამხედრო ძალის მეშვეობით დაექვემდებარებინა და კონსტიტუციური წესრიგი აღედგინა. როგორც ცნობილია, ცხინვალში რუსული სამშვიდობო კონტინგენტი იყო გახლა-გებული, ხოლო მოსახლეობას რუსულ პასპორტები აქვს, ანუ ისინი „რუსეთის მოქალაქეები“ არიან. ეს ფაქტი რუსეთის ხელმძღვანელობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ქართუ-ლი არმიის ქვედანაყოფების ცხინვალზე შეტევა „რუსეთის

მოქალაქეების” უფლებების ხელყოფად მონათლა და საქართველოში, როგორც გვირაბის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაცოფები, მძიმე ტექნიკა და ავიაცია შემოიყვანა. მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთი თავის ფორპოსტებს სამხრეთ კავკასიაში ასე ადვილად არ დათმობს. მსოფლიომ ისიც დაინახა, რომ საქართველოს მოსახლეობა, მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, ერთიანი იყო რუსეთის წინააღმდეგ.

ხუთდღიანმა სისხლისმლკრელმა ომმა ორივე მხარეს მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანა, განსაკუთრებით კი საქართველოს: დაიღუპა და დაიჭრა ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოსახლეობა, განადგურდა მატერიალური დოკუმენტი, სამხედრო ქონება და შეიარაღება. რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ახალგორის რაიონზე (ცხინვალის რეგიონში) და კოდორის ხეობაზე (აფხაზეთი). მოხდა უფრო უარესი: რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარა, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ამ დროიდან კავკასიაში შექმნილი ვითარება, ექსპერტთა აზრით, “ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას” წარმოადგენს. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების (პარლამენტის) ყოფილი თავმჯდომარე (2006-2008 წლებში), პოლიტოლოგი ტიგრან ტოროსიანი თვლის, რომ რუსეთ — საქართველოს ომის შედეგები, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ მოვლენის ყველა მონაწილეს აკმაყოფილებს, კერძოდ, ა) საქართველო “განთავისუფლდა” აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან — მათთან კონფლიქტების მოგვარების ჩიხური მდგომარება თბილისს ხელს უშლიდა ნატოში განევრიანებისათვის; ბ) რუსეთმა “მიიღო” აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ამით გააკეთა განაცხადი თავის ახალ როლზე საერთაშორისო პროცესებში; გ) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კავკასიაში თავის სრულფასოვანი დამკვიდრებისათვის, “მიიღო” ახალი საქართველო, რომელიც აღარ არის “გაყინული კონფლიქტებით დამძიმებული” (14).

ქართული მხარე და, მასთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობა ახალ გეოპოლიტიკურ სტატუს-ქვოს არ ცნობს და მიიჩნევს, რომ თავის ტერიტორიულ მთლიანობას

აღიდგენს. თუ როგორი იქნება ეს გზა, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ მანამდე კავკასიაში “მოთამაშე” ძალებმა კომპრომი-სი უნდა გამოხახონ მათ მიერვე აღიარებულ ურთიერთნინა-აღმდეგობრივ პრინციპებს — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის უფლე-ბებს შორის.

სანამ ეს პრობლემა გადაიჭრება, მსოფლიოში დღეს შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მხედველობაში გვაქვს აშშ — რუსეთის ურთიერთობის დათბობა), აუცილებელია რუსეთ — საქართველოს შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და თანამშრომლობის განახლება. ეს საშუალებას მისცემს ქარ-თულ შხარეს, აწარმოოს პირდაპირი დიალოგი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტთა ლიდერებთან. სა-ქართველო — რუსეთის ურთიერთობების აღდგენის შემ-თხვევაში, შესაძლებელი გახდება მოიხსნას რუსეთის “უზვე-ბი”, თითქოსდა საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში სიტყა-ციის დესტაბილიზებას გეგმავს (რეგიონული მაუწყებლობის მქონე ახალი ტელეარხების შექმნითა და მასობრივი ინფორ-მაციის სხვა საშუალებების გამოყენებით).

რუსეთ — საქართველოს ურთიერთობების დათბობა და, პარალელურად, აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ იმ შემთხვე-ვაში შეიძლება იყოს ეფექტური, თუ მოხდება შეთანხმება რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში: რუ-სეთი კი არ უნდა ჩამოაცილონ სატრანსპორტო — საკომუნი-კაციო პროექტებს (კერძოდ, ნავთობ- და გაზსადენები), არა-მედ აქტიურად უნდა ჩართონ “კავკასიური დერეფნის” ამო-ცანათა რეალიზებაში (იგულისხმება ინტეგრაცია კავკასიურ “აღმოსავლეთ — დასავლეთისა” და “ჩრდილოეთ — სამხრე-თის” ეკონომიკურ მარშრუტებში და საერთო ეგიონული ინ-ფრასტრუქტურების შექმნაში).

## დასკვნა

კავკასიის პრობლემატიკის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამ რეგიონში, უძველესი დროიდან დღემდე, ფაქტობრივად, თავს იყრის როგორც ლოკალური, ასევე გლობალური მნიშვნელობის საკითხები. ისტორიამ ისიც გვიჩვენა, რომ მათი ეფექტურად გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი, კულტურულ — ცივილიზაციური დიალოგითაა შესაძლებელი.

კავკასია — “ევრაზიის მზის წნული” - უძველესი დროიდან აცვიფრებდა უცხოელ მკვლევრებსა და მოგზაურებს თავისი ბუნების სილამაზითა და მრავალფეროვნებით. პოლიეთნიკურობითა და პოლიკონფესიურობით. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი კავკასია “დედამიწაზე არსებული მიკრომსოფლიოა”. აქ მცხოვრებმა ხალხებმა განვლეს გზა პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობიდან კულტურულ — ცივილიზაციურ მთლიანობამდე. კავკასიის ეთნოსებმა შექმნეს საკუთარი დამწერლობები, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული შედევრები, ჩამოაყალიბეს კავკასიური თანაცხოვრების მოდელი, გააერთიანეს რეგიონი ზოგადკავკასიური სახელმწიფოს შექმნით, დადინოლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში — როგორც მატერიალურ-ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო, ასევე ინტელექტუალურ სფეროში.

კავკასიის ხალხთა ტრადიციული სოციალურ — ეკონომიკური კავშირებით იქმნებოდა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული რეგიონული ეკონომიკა და საერთო ზეეროვნული ლირებულებები. სწორედ ამგვარი ფასეულობების გაზიარება და მათი შემდგომი გათავისება ქმნიდა კავკასიურ იდენტობას. კავკასიური ცივილიზაციის ქვაკუთხედს უნიკალური კავკასიური საკომუნიკაციო კულტურა წარმოადგენდა, რომელიც დღესაც მუშაობს და თანამედროვე კავკასიელის “მობილიზებული” ტიპის ადამიანში გამოიხატება: იგი მუდმივად მზადაა “მოქმედებისათვის”, იმავდროულად, “დიპლომატიურობასაც” ამჟღავნებს. კავკასიელის საკომუნიკაციო კულტურა დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლაზე, დიალოგზე, რაც დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ქმედით ძალად მიიჩნევა.

უნინ, ძველ საქართველოში (და საერთოდ, მთლიანად კავკასიაში), სტუმართმოყვარეობის წესთან დაკავშირებით იტყოდნენ ხოლმე - “სტუმარი ღვთისააო”. სტუმარსა და მას-პინძელს შორის ინფორმაციის გაცვლის შედეგად, თუ ისინი სიახლეებს თავიანთი ცხოვრების პრაქტიკაში დაწერგავ-დნენ, მათი ყოფა სიკეთისაკენ იცვლებოდა.

დღეს კავკასიელის ტრადიციული მორალურ — ეთიკური, ზეობრივი ფასეულობების ახლებური შესწავლა, მეთოდოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე, ახალ შესაძლებლობებს შექმნის საზოგადოების რემორალიზაციის თვალსაზრისით. კავკასიელები დიდხანს იყვნენ მოწყვეტილნი ცხოვრების საკუთარ ნიადაგს. წარსულში განხორციელებული და დღესაც მიმდინარე კავკასიური საზოგადოების მოდერნიზაციის ისეთი პროცესი, როცა ის საკუთარ ფესვებსა და ნიადაგსაა მოწყვეტილი, რეგიონის განვითარებისთვის ზიანის მომტანიც შეიძლება იყოს. ამგვარი სიტუაცია ხელს უშლის კავკასიელის ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატისაკენ სწრაფვაში გამოიხატება.

## მეცნიერება და ტექნიკა თავი I

1. Руткевич М.Н. Общество как система. СПБ. 2001
2. შტუდგარტის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ.ჰაკენმა (Herman Haken) სინერგეტიკის პრობლემებს რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის ორი წიგნი სახელწოდებით „სინერგეტიკა“ (გამოიცა მოსკოვში 1980 და 1985 წელს, გამომცემლობა „მირ“-ის მიერ). მეორე წიგნში ავტორი ხაზს უსვამს სინერგეტიკის დისციპლინათაშორის ხასიათს, მის კავშირს საბუნების მეტყველო მეცნიერებებთან. ჰერმან ჰაკენის აზრით, ყოველი მათგანი ერთობლივად სწავლობს სისტემების დროებით ევოლუციას.
3. ბიფურკაცია (bifurcus – ლათ. გაორებული): ბიფურკაციის ფაქტებს ზღაპრებშიც ვხვდებით: მაგალითად, როცა რაინდი გზაჯვარედინზე, ქვასთან ჩაფიქრებული დგას, რადგან ქვაზე არსებული წარწერა, არჩევანის შემთხვევაში, მის შემდგომ ბეჭდს განაპირობებს. ბიფურკაციული მოვლენები ადამიანთა ცხოვრებაში შეუმჩნეველია, მაგრამ რეალური.
4. იხ. Тоффлер О. Наука и изменение (предисловие) // Пригожин И. Стенгерс И. Порядок из хаоса. Изд-во «Прогресс», М.1986, с.18. ამ წიგნში ერთ-ერთი ავტორი ილია პრიგოჟინი (წარმოშობით რუსი ბელგიელი, 1977 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ნაშრომისათვის „არაწონასწორობადი სისტემების თერმოდინამიკა“) განმარტავს თვითორგანიზაციის თეორიის ისტორიულ წანამდღვრებს და მსოფლმხედველობით საფუძვლებს.
5. Пригожин И., Стенгерс И. Время. Хаос. Изд-во «Квант», М.2000. с.52-53.
6. Пригожин И., Стенгерс И. Порядок из хаоса. с.28. ავტორების აზრით, ბიფურკაციიდან გამოსვლა მოხდება ახალი ბაზისური სტრუქტურების, ფასეულობების და ქცევის ნორმების საფუძველზე.
7. Бранский В.П., Пожарский С.Д. Глобализация и синергетическая философия истории. «Общественные науки и современность», 2006, №1, с.109-112.

8. უფრო ვრცლად სოციალური სინერგეტიკის იდეების შესახებ თანამედროვე კავკასიის მოდერნიზაციის პირობებში იხ. ნაშრომში: ჯ.კვიციანი. სოციალური სინერგეტიკა და კავკასიის ტრანსფორმაცია // კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, X, თბ.2007.

9. Введение в философию. М.2004, с.498-499.

10. ამ თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის ცივილიზაციური განვითარების საფეხურების პერიოდზეც განვითარების ეპოქები და, შესაბამისად, ადამიანის გონების განვითარება, რომლებიც ერთმანეთისაგან ტექნოლოგიური რევოლუციებით გამოიყოფა. ესენია:

- არქაული ეპოქა, სადაც გავრცელებული იყო ნადირობა, მეთევზეობა და შემგროვებლობა, ხდებოდა მზა პროდუქციის მითვისება. ამ ეპოქაში ადამიანის აზროვნების დომინანტური მატრიცაა არქაულ-მითიური;

- აგრარული ეპოქა ჩამოყალიბდა ნეოლიტური რევოლუციის შემდეგ, მე-7 - მე-3 ათასწლეულში. ნადირობა და შემგროვებლობა შეცვალა მესაქონლეობამ და მიწათმოქმედებამ, რამაც მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. შესაბამისად, მოსახლეობის ზრდამ სურსათის დაგროვება და პირველი სახელმწიფოების ნარმოქმნა უზრუნველყო. ამ დროს ადამიანის გონებაში მკვიდრდება რელიგიური დომინანტური მატრიცა;

- ინდუსტრიული ეპოქა დაიწყო XVII - XVIII ს.ს. სამრენველო რევოლუციის შედეგად, რაც სხვადასხვა მანქანების გამოგონებას ნიშნავდა. ეს, თავის მხრივ, ადამიანის შრომის ნაყოფიერებას ზრდიდა, შესაბამისად, კვლავ მატულობდა მოსახლეობის რაოდენობა და ამით საფუძველი ეყრდნობდა მასობრივ ურბანიზმს. ადამიანის აზროვნებაში რელიგიების დომინირება რაციონალიზმით იცვლება;

- პოსტინდუსტრიული საზოგადოება ინდუსტრიულის ომგიკური გაგრძელებაა. ამ დროს ნარმოებაში უდიდეს როლს და ადგილს იკავებს ადამიანის ცოდნა, ინტელექტი და მის გონებაში პრიორიტეტი ინტეგრალურ აზროვნებას ენიჭება.

11. Розов Н.С. Структура социальной антологии: по пути к синтезу макроисторических парадигм // «Вопросы философии», №2, 1999.
12. Страда В. Глобализация и история // «Новая и новейшая история», №6, 2006.
13. Квициани Дж. Вновь о цели истории // “კვიციანის მუზეუმი”, 16, 2007, გვ.59.
14. Гуревич А.Я. Проблемы средневековой культуры // «Проблемы эпохи средневековья». Вып.3, М.1998. с.64.
15. Верцель К., Ингельхарт Р. Развитие ведет к демократии // «Россия в глобальной политике», №3, 2009.
16. იქნ.

## თავი II

1. იხ. Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М.,2001, с.11
2. ლ.მარუაშვილი. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1981.
3. Народы Кавказа. Т.1, М.,1960, с.10.
4. История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века. М.,1988, с.21.
5. Народы Кавказа. Т.1, М.,1960, с.10-12.
6. კავკასია, 2001-2003 წ.წ. მონაცემებით, 60 მლნ. ადამიანითაა დასახლებული, აქედან ჩრდილო კავკასიაში - 43 მლნ. და სამხრეთ კავკასიაში - 17 მლნ. ადამიანი. დღეს აქ მცხოვრები მოსახლეობა ცალკეული ენობრივი ოჯახების მიხედვით არის დანანილებული: 1. იბერიულ-კავკასიური ოჯახი (ქართველური; აფხაზურ-ადილური ჯგუფი; ნახური, დალესტნური); 2. ინდოევროპული ოჯახი (სლავები, სომხები, ოსები, ქურთები, თათები, თალიშები, ბერძნები); 3. ალთაური ოჯახი (აზებაიჯანელები, ყუმუხები, ნოღაელები, ყარაჩაელები, ბალყარელები, თურქმენები, თათრები, ყალმუხები); 4. სემიტურ-ქამიტური ოჯახი (ასურელები, ებრაელები).
7. Кантария М.В. Экологические аспекты традиционной хозяйственной культуры народов Северного Кавказа. Тб., 1989.
8. იხ. Гуриев Т. Из жемчужин Востока: Авеста. Владикавказ, 1993. როგორც ავტორი აღნიშნავს, «особое место в учении Заратуштры занимает гора Березабти, отождествляемая с Альбурзом или Эльбрусом наших дней. Вершина этой горы является, по традиции, центром мироздания. Это благословенное место, не знающее тьмы, болезней, даже плохой погоды. И не случайно, что над этой горой располагается обитель бога Митры. Души безгрешных попадали в небеса через мост Чинват «Избранный путь». Одним концом мост упирается в эту гору».
9. Жданов Ю.А. Солнечное сплетение Евразии. Майкоп, 1999. ამ წიგნში ავტორი კავკასიას ევრაზიის “მზის წეულად” მიიჩნევს და წერს: «У горы Ницир корабль остановился / гора

Ницир корабль удержала». Очевидно, что гора Ницир – это библейский Араат, к которому пристал Ной. Именно здесь, по Библии, Ной начал возделывать землю и насадил виноградники. На Кавказе рождена культура вина как форма общения людей, сплетенная речью, тостами, песней, танцем. Известное во всем мире слово «Тамада» переводится только с языков Кавказа.

10. ვახტანგ შამილაძე. ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ. თბ., 2001. გვ.5.
11. Жданов Ю.А. დასახელებული ნამრობი. გვ.9.
12. Джапаридзе О. На заре этнокультурной истории Кавказа. Тб., 1989.
13. Федоров Я.А. Историческая этнография Северного Кавказа. М., 1983, с.27.
14. მალხაზ აბდუშელიშვილი. დასკვნითი სიტყვა. თბ., 2004. გვ.13.
15. გაზ.“საქართველოს რესპუბლიკა”, 16 სექტემბერი, 2008
16. Шнирельман В.А. Войны памяти. Мифы, идентичность и политика в Закавказье. М.,2003, с.35
17. Шанидзе А. Язык и письмо кавказских албанцев Тбилиси, 1960; История Азербайджана. Баку, 1995, с.144
18. История Дагестана с древнейших времен до наших дней. Т.1. М., 2004, с.159
19. История Кабардино-Балкарии. Нальчик, 1995, с.42
20. История Дагестана с древнейших времен до наших дней, т.1, Москва, 2004, с.164
21. Дмитриев В.А. Кавказ как историко-культурный феномен // Россия и Кавказ. СПБ, 2003, с.88

### თავი III

1. История Дагестана с древнейших времен до наших дней. Москва, 2004. Т.1, с.278.
2. История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. Москва, 1988, с.173
3. Лавров Л.И. Историко-этнографические очерки Кавказа. Ленинград, 1978, с.14
4. რ.მეტრეველი. კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბილისი, 2007, გვ.39
5. რ.მეტრეველი. დასახელებული ნაშრომი,. გვ.20
6. Еремян С.Т. Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XII в. // Кавказ и Византия. вып. I, Ереван, 1979, с.9
7. Тогошвили Г.Д. К вопросу о характере грузино-северокавказских взаимоотношений в XI-XIII в.в. // Вопросы истории народов Кавказа. Тбилиси, 1988, с.198
8. Бижев А.К. Адыги северо-западного Кавказа и кризис восточного вопроса в конце 20-х - начале 30-х г.г. XIX века. Майкоп, 1994, с.136
9. მაგალითად, საქართველოში 1832 წელს ანტიკოლონიურმა მოძრაობამ საერთოეროვნული ხასიათიც კი მიიღო. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ჩრდილო კავკასიელ მთიელებს რუსეთთან ბრძოლაში ამხნევებდა.
10. მიურიდი - ამ ტერმინს არაბული საფუძველი აქვს. მიურიდი არის ის ადამიანი, რომელიც ისლამის სწავლისა და ცოდნისაკენ, შინაგანი თავისუფლებისაკენ ისწრაფვის. მიურიდიზმში კი, სხვა ნიშნებთან ერთად, მუსლიმთა წმინდა გამათვისუფლებელ ომში (ჰაზავათში) მონაწილეობაც იგულისხმება.
11. Блиев М. Россия и горцы Большого Кавказа на пути к цивилизации. Москва, 2004, с.798-799.
12. რუსეთ-თურქეთის ომის ("ყირიმის ომის") დროს, სამხედრო მოქმედება კავკასიაშიც დაიწყო. 1854 წლის ზაფხულში შამილის რაზმები საქართველოშიც (კახეთში) შემო-

იჭრნენ, ახალციხესთან დაბანაკებულ ოსმალეთის არმიას-თან შესაერთებლად. მართალია, მათ მიზნის მიღწევა ვერ მოახერხეს, მაგრამ გაძარცვეს კახეთის სოფლები, მძევლად აიყვანეს გავლენიან ქართველ თავადთა ოჯახები და გამო-სასყიდი მოითხოვეს. შამილს ამით რუსეთის არმიის ტყვეო-ბიდან თავისი შვილის - ჯამალ ედ-დინის გათავისუფლება სურდა, რაც შესრულდა კიდეც.

13. Покровский Н.И. Имамат перед большой войной // Научная мысль Кавказа, 1998, №1, с.85
14. იქვე, გვ.80
15. სხვათა შორის, მეფისნაცვლის ინსტიტუტის მხრივ კავკასია ერთადერთი პრეცედენტია რუსეთის იმპერიაში.

16. Ишханян Б. Народности Кавказа (статистико-экономическое исследование). Петроград, 1916, с.16; იქვე ავტორს ჩამოთვლილი აქვს კავკასიის სამეფისნაცვლოში შემადგენ-ლობაში არსებული 11 ადმინისტრაციული ერთეული: ბაქოს, დაღესტნის, ელისავეტპოლის, ყუბანის, ქუთაისის, სტავრო-პოლის, ტფილისის, შავი ზღვის და ერივანის გუბერნიები, თერგისა და ყარსის ოლქები.

17. ეს პროცესი, რომელიც მე-16 საუკუნეში დაიწყო, საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დააგვირგვინა (1789-94 წ.წ.).

18. ილია ჭავჭავაძე. ტომი I, ტფილისი, 1925.

19. Карамурзов Б.С., Боров А.Х.. Дзамихов К.Ф., Муратова Е.Г. Социокультурные механизмы северокавказского исторического процесса // Научная мысль Кавказа, 2006, №3, с.72

20. Бабич И.Л. Деятельность российского государства по включению горцев Северного Кавказа в общероссийское культурное пространство в конце XVII – нач. XX века // Научная мысль Кавказа, 2008, №4, с.48.

21. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილი-სი, 2008, გვ.354.

22. 1917 წ. დეკემბერში 41 მლნ. ამომრჩეველიდან ესე-რებს (სოციალისტ-რევოლუციონერებს) ხმა მისცა 16,5 მლნ. ამომრჩეველმა, ბოლშევიკებმა კი 9 მლნ. მიიღეს. არჩევნებში მონანილეობდნენ აგრეთვე ზომიერი სოციალისტები - 9

მლნ. ხმა, ეროვნული უმცირესობები - 4, 5 მლნ., კადეტები (ბურუუაზიული პარტია) - 2 მლნ.

23. Верт Н. История советского государства – 1900-1991. М., 1992, с.112.

24. Карамурзов Б.С., Боров А.Х.. Дзамихов К.Ф., Муратова Е.Г. Социокультурные механизмы северокавказского исторического процесса // Научная мысль Кавказа, 2006, №4, с.19.

25. იხ. Тахо-Годы А.А. Революция и контрреволюция в Дагестане. Махачкала, 1927, с.165. მთიელთა გაერთიანების მიზანი იყო დაეცვა მოპოვებული თავისუფლება, გაეტარებინა დემოკრატიული რეფორმები, შეექმნა დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთთან ერთად. ამისათვის, მთიელებმა, “სამხრეთ-აღმოსავლეთის კაზაკთა კავშირთან და სტეპების თავისუფალ ხალხებთან” 1917 წლის 20 ოქტომბერს სამოკავშირეო ხელშეკრულება დადგეს. მთიელთა ავტონომიურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში შედიოდნენ: დაღესტნის ყველა ხალხი (ხუნძები, დარგუელები, ლეკები, ლეზგები), თერგის ადმინისტრაციული ოლქიდან - ყაბარდოელები, ბალყარელები, ოსები, ინგუშები, ჩეჩენები, ყუმუხები; ყუბანის ოლქიდან - ყარაჩაელები, აბაზინელები, ჩერქეზები, ნოღაელები; დასავლეთ კავკასიის მთიელებიდან - აფხაზები; სტეპების ხალხებიდან - თურქმენები. აქვე შევნიშნავთ, რომ აფხაზეთი 1917 წლის ბოლოსათვის მთიელთა კავშირში მხოლოდ ფორმალურად შედიოდა და მასზე ჩრდილოკავკასიელთა ლიდერების გავლენა ძალზე უმნიშვნელო იყო, 1918 წლის ზაფხულისათვის კი აფხაზეთი დე-ფაქტოდ და დე-იურედ მთლიანად იქნა ინტეგრირებული საქართველოს შემადგენლობაში.

26. Тахо-Годы А.А. Революция и контрреволюция в Дагестане. Махачкала, 1927, с.152.

27. История Дона и Северного Кавказа (1917-2000). Ростов-на-Дону – Нальчик, 2004, с.36

28. მიხეილ ბახტაძე, გიორგი მამულია. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი 2005, გვ. 11.

29. ბრესტის საზავო კონფერენცია გაიმართა 1918 წლის თებერვალ-მარტში ერთი მხრივ რუსეთს, მეორე მხრივ

- გერმანიას, ოსმალეთს, ავსტრია-უნგრეთსა და მათ მოკავშირებს შორის. 3 მარტს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით, რუსეთმა პირველ მსოფლიო ომში თავი დამარცხებულად სცნო, დაკარგა ტერიტორიები, მათ შორის ბათუმის, ართვინ-არტაანისა და ყარსის ოლქები.

30. მიხეილ ბახტაძე, გიორგი მამულია. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი 2005, გვ. 19.

31. ავარელები დაღესტანში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოსს წარმოადგენენ, რაც, ფაქტობრივად, ადრე და დღესაც ამ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს ბევრად განსაზღვრავს. მ.ბახტაძეს და გ.მამულიას ზემოთხსენებულ ნაშრომში მოხმობილი აქვთ 1920 წლის 2 ივნისით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გამოგზავნილ წერილში კ.ალიხანოვი - ავარიის ხელმძღვანელი აღნიშნავს: “ავარეთი (ხუნდახი), თემურ-ლენგის შემოსევამდე, საქართველოს ნაწილი იყო და ამიტომ სულიერად და სისხლით ახლოსაა მასთან”.

32. 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით, თურქეთმა მიისაკუთრა აჭარა (ბათუმისა და ართვინის ოლქები), სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე-ახალქალაქის მაზრები). მოვიანებით, პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ, საქართველომ ეს ტერიტორიები უკან დაიბრუნა, მაგრამ 1921 წელს, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების ძალით, ნაწილობრივ ისევ დაკარგა.

33. სიმონ კილაძე. ინტეგრაციის ფორმები და პერიოდები კავკასიაში // უურნალი “საქართველოს პარლამენტი”, 1997, 33-34, გვ.8.

34. სიმონ კილაძე. “გაიგზავნოს თვითმფრინავები მთიელთა დასახმარებლად”, ანუ რატომ ჩავიდა დაღესტანში ქართული საექსპედიციო რაზმი // უურნალი “არსენალი”, 7, 2007, გვ.18.

35. სიმონ კილაძე. ინტეგრაციის ფორმები და პერიოდები კავკასიაში // უურნალი “საქართველოს პარლამენტი”, 1997, 33-34, გვ.9-10.

36. Симон Киладзе. Единство Кавказа и попытки выхода из кризиса // журнал «Тбилисский меридиан», №3, сентябрь-октябрь 1997, с.21.

37. Независимая газета, 9 сентября 2009 // [www.ng.ru/ideas/2009-09-09](http://www.ng.ru/ideas/2009-09-09)

38. Обращение представителей интеллигенции Грузии к интеллигенции Кабардино-Балкарии // «Газета Юга», 1 июля 1994 года

39. Декларация. За межнациональное согласие, мир, экономическое и культурное сотрудничество на Кавказе // Научная мысль Кавказа. 1996, №2, с.3-5.

40. ყოველივე ეს ამ სტრიქონების ავტორის მიერ გაანალიზებულია ნიგნში “კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურისტოოგრაფიაში” (თბილისი, 2007 წელი)

## თავი IV

1. Ван Кревельд Мартин. Расцвет и упадок государства. М., 2006, с.407.

2. Хобсбаум Эрик. Эпоха крайностей. Короткий двадцатый век. 1914-1991. М.,2004, с.26.

3. Народное хозяйство СССР в 1990 г. Статистический ежегодник. М.,1991, с.67-73. (ნელინდეულში საქართველოს სასრ-ის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მონაცემები შეტანილი არ არის).

4. Народное хозяйство СССР в 1990 г. Статистический ежегодник. М.,1991, с.67-73. (ნელინდეულში რსფსრ-ის სტავროპოლ-კრასნოდარის მხარეების შემადგენლობაში მყოფი ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ადილეს ავტ. ოლქების მონაცემები შეტანილი არ არის).

5. Народное хозяйство СССР в 1990 г. Статистический ежегодник. М.,1991, с.77-78.

6. აზერბაიჯანელთა ისტორიული წარსული გვაჩვენებს, რომ ისინი კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას წარმოადგენენ, თუმცა არის სხვა მოსაზრებაც. უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელთა აბორიგენულობის საკითხმა განსაკუთრებით გააქტიურება ჰპოვა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როცა მთიანი ყარაბაღის გამო აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირება დაიწყო. როგორც ცნობილია, ორი მეზობელი სახელმწიფო ერთმანეთს ტერიტორიებს ედავება და, შეიძლება ითქვას, ეს დავა მხოლოდ მთიანი ყარაბაღით არ ამოიწურება - არის კიდევ ზანგეზური, ნახტევანი, შარურ-დარაგალები და სხვა.

თანამედროვე აზერბაიჯანული ისტორიოგრაფია რეტროსპექტიულად ხაზს უსვამს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე აზერბაიჯანელები ავტოქტონურად ცხოვრობენ. აზერბაიჯანელი მეცნიერებისა და პოლიტოლოგების მტკიცებით, ამ ადგილებში სომხები XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს მომხდარი მიგრაციული პროცესების შედეგად დასახლდნენ. გარდა ამისა, ბაქოელ მეცნიერთა კვლევებში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ აღნიშნული ტერიტორიები რუსეთის იმპერიის

მიერ აზერბაიჯანის დაპყრობამდე (1803-1828) აზერბაიჯანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების (ყარაბაღისა და კუბის სახანოების) შემადგენლობაში იყვნენ.

აზერბაიჯანელების ენობრივი მახასიათებელი, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანის ეთნოგრენეზს ამიერკავკასიაში თურქული მიგრაციის ისტორია მიაკუთვნებს (XI-XIV სს.), სულაც არ ქმნის სიძნელეებს კონცეპტუალურად დასაბუთდეს კავკასიაში აზერბაიჯანის ავტოხთონურობა.

პრობლემა წყდება “ალბანური თეორიის” ჩარჩოებში, რომელიც ასახავს თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივი ალბანური მოსახლეობის დემოგრაფიული შთანთქმის პროცესს თურქულ ტომთა ჯგუფების მიერ. ეს თეორია განიხილება როგორც პროაზერბაიჯანული და, შესაბამისად, აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირებაში ერთ-ერთ ეტაპად (ელემენტად) არის წარმოდგენილი. ამ თეორიის მიხედვით, აზერბაიჯანული ეთნიკური ერთობა ალბანელების თურქული და სხვა არათურქული ჯგუფების ასიმილაციის პროცესში ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ამ ისტორიულ-კულტურულ თავისებურების გათვალისწინებით, მათი განსახლების ტერიტორია დღევანდელი აზერბაიჯანელების ძევლისძველ ტერიტორიას შეადგენს. როგორც ა.ცუციევი მიიჩნევს, ესენია ყოფილი სპარსეთის პროვინციები (საბეგლარბეგოები), აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თურქული სახანო-სასულთნოები (რუსეთის მიერ 1803-1828 წწ.-ში დაპყრობილი ერივნის, ნახიჩევანის, განჯის ჩათვლით). მართალია, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად - ყაზახი და შამშადილი - XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენის სფეროში შედიოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, აზერბაიჯანელ მეცნიერთა აზრით, აზერბაიჯანის სახელმწიფოს ნაწილებს წარმოადგენდნენ. მათი რუსეთში გაერთიანება განიხილება აზერბაიჯანის დანაწილებას რუსეთსა და ირანს შორის, რაც აზერბაიჯანელებს გაყოფილ ხალხად აქცევს. (იხ. А.Цуциев. 2004, Атлас этнополитической истории Кавказа).

რაც შეეხება კონკრეტულად მთიან ყარაბაღს: უმეტესად სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა, როგორც სომეხი ისტორიკო-

სეპი თველიან, საბჭოთა ხელისუფლების გარიურაჟზე, მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ბოლშევიკებმა ეს ტერიტორია აზერბაიჯანს უსაფუძვლოდ გადასცეს. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ოლქის სომხურენოვანმა მოსახლეობამ, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად, აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოსვლა და დამოუკიდებლობის გამოცხადება მოითხოვა. რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯს გარკვეული სტიმული მისცა სომხეთის სსრ მაშინდელი ხელისუფლების წაქეზებამაც. თავისი როლი შეასრულა აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითში მომხდარმა ანტისომხურმა გამოსვლებმაც, რასაც დიდი მსხვერპლი და მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია მოჰყვა (სომხეთიდან აზერბაიჯანელების, აზერბაიჯანიდან კი - სომხებისა). საბჭოთა კავშირის ლიდერები ცდილობდნენ დაპირისპირების განეტრალებას, მაგრამ უშედეგოდ. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა სსრკ დაშლის შამს - 1992 წელს დაიწყო საბრძოლო მოქმედებები მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე, რომლის შედეგად, შეიძლება ითქვას, აზერბაიჯანის არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა. საბოლოოდ 1994 წლის მაისში დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც "ბიშკეკის ოქმის" სახელითაა ცნობილი. ამჟამად მთიანი ყარაბაღი თვითგამოცხადებული არაღიარებული რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობს, კონფლიქტი კი "გაყინული" სახით გრძელდება და მისი მოგვარება, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

7. Юнусов А.С. Этнодемографические процессы на Южном Кавказе постсоветский период // Кавказский сборник. Том 2(34). М.,2005, с.269

8. წინასტორული საქართველოს ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ე.ნ. *Homo georgicus* (უძველესი ადამიანები), დიდი ხნის წინათ გადაშენებული), რომელთა ნეშტი 1991 წელს დმანისში, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი. *Homo georgicus*-ის პირველი ნეშტები დათარიღებულია 1 მდნ. 770 ათასი წლის წინანდელი დროით. ასაკი დამოწმებულია როგორც სტრატიგრაფიული და პალეომაგნეტიკური კვლევებით, ასევე ნამარხი ფაუნის შესწავლით. ამრიგად, დმანისელი ადამიანი - ეს ადამიანის უძველესი სა-

ხეა, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე ბინადრობდა. 1991-2007 წლებში დმანისში ნაპოვნია ოთხი ადამიანის - სამი ზრდასულისა და ერთი ბავშვის ნეშტის ფრაგმენტი: როგორც ვარაუდობენ, *Homo georgicus*-ის სიმაღლე იყო 145-166 სმ. იყო, წონა - 40-50 კგ.

9. Юнусов А. Этнодемографические процессы на Южном Кавказе в постсоветский период // Кавказский сборник, том 2, М., 2005, с.275.

10. საყურადღებო მომენტია, რომ სომხების ისტორიულ მესაიერებაში წარსულის განდიდება ხდება და ტანჯული ერის იმიჯი ინერგება. უდიდესი ადგილი უჭირავს “დიდი სომხეთის” თემას, რომელიც, სომხები მეცნიერების აზრით, მეფე ტიგრან მეორის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში) არსებობდა. ხსენებულ პერიოდში სომხეთი პალესტინიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულ ვრცელ სამეფოს წარმოადგენდა. ფაქტობრივად, სომხეთი დამოუკიდებელი იყო ძველი წელთაღრიცხვის 189 წლიდან 66 წლამდე, შემდეგ კი ის რომაელების მიერ იქნა დაპყრობილი. მოგვიანებით, სომხეთი სხვადასხვა მტრული სახელმწიფოების მსხვერპლი გახდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. არაბეთის ხალიფატის ულლისგან ჰაოსის ქვეყანა (ასე ჰქვია სხვაგვარად სომხეთს) 885 წელს გათავისუფლდა. ამ დროს ოდესლაც არსებული “დიდი სომხეთის” ტერიტორია დანაწილდა ანისის სამეფოდ (ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი), რომელიც მოგვიანებით საქართველოს ერთიან კავკასიურ სახელმწიფოში გაერთიანდა და კილიკიის სამეფოდ, რომელიც შემდგომ, მე-14 საუკუნეში ოსმალების (თურქების) მიერ იქნა დაპყრობილი.

კავკასიის და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის მიერთება რუსეთთან 1801-1829 წლებში სომხების ისტორიოგრაფიაში ზოგადად დადებით ფაქტად ფასდება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს სომხეთის სსრ საზღვრების დადგენა - მთიანი ყარაბაღის, ნახჭევანის, სურმალინის, ყარსისა და არტაანის (არდაპანის) ოლქების გარეშე - საბჭოთა კავშირისა და თურქეთის გარიგებად მიიჩნევა, რომელიც სომხეთის ისტორიული ტერიტორიების გაყოფის ხარჯზე მოხდა. საერთოდ, ტერიტორიული დავების საკითხი, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ საქართველოსთან ურთიერთობებშიც არსებობს: სომხები პოლიტიკოსებისა და მეცნიერთა აზრით,

სამცხე — ჯავახეთი ოდესლაც არსებული “დიდი სომხეთის ნაწილია და, შესაბამისად, უძველეს სომხურ მიწა-წყალს წარმოადგენს. უფრო მეტიც, სომხები მიიჩნევენ, რომ ქვემო ქართლიც მათი მიწების ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ტერიტორიული საკითხი იყო იმ ომის მიზეზი, რომელიც საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის 1918 წლის დეკემბერში მოხდა: იმდროინდებლმა სომებმა პოლიტიკოსებმა გა-დანყოფიტეს, რომ რადგან დამოუკიდებლად გამოცხადებისას არარატის რესპუბლიკას ძალიან ცოტა ტერიტორია ერგო, საჭირო იყო “ისტორიული მიწების” სამხედრო ძალით დაბრუნება. შესაბამისად, სომხეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და საქართველოს სამხრეთი ნაწილი (თბილისის ყოფილი გუბერნიის ლორეს რაიონი და ბორჩალოს მაზრა) დაიკავეს. მართალია, თავდასხმას საქართველო მოუმზადებელი შეხვდა, მაგრამ საკმარისი სამხედრო ძალების კონცენტრაციის შემდეგ ქართულმა ჯარებმა სომხებს უკან დაახევინეს, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ სომხეთის სასარგებლოდ ანტანტის წარმომადგენლების ჩარევის გამო საქართველომ ლორეს დაბრუნება ვერ შეძლო - ეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, შერეული სომხურ-ქართული ადმინისტრაციითა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კი, ბოლშევიკების გადაწყვეტილებით, ლორე საბოლოოდ სომხეთს გადაეცა (ამის შესახებ უფრო ფართოდ იხილეთ გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში” 1990 წლის მაისში გამოქვეყნებული ვრცელი დოკუმენტური ნარკვევი “ერთი ომის ქრონიკა ანუ რა მოხდა 1918 წლის დეკემბერში”).

სომხები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მათი ერის ფასეულობებს განასახიერებენ: მესროპ მაშტოცი - ენას (361-440 წწ.წ.), კომიტასი, ივივე სოგომონ სოგომიანი - მუსიკას (1869-1935 წ.წ.), ვარდან მამიკონიანი - თავისუფლებას (380-441 წ.წ.).

სომხეთისათვის ერთობ აქტუალურია გენოციდის საკითხი. ოსმალეთის იმპერიაში სომხების თავისუფლებისთვის ბრძოლაშ ფართო მასშტაბი მიიღო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-ან წლებში (1862 წელს კილიკიაში “ზეითუნის

გმირების” აჯანყება, რევოლუციური მოძრაობის დაწყება, თავდაცვის ჯგუფების შექმნა, დაშნაკების ტერორისტული აქტების დაწყება, მათ შორის 1896 წელს ოსმალეთის ბანკის მათ მიერ ხელში ჩაგდება), შემდეგ კი, მეოცე საუკუნის და-საწყისში, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხების მდგომარეობის საკითხის გარკვევაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და რუსეთი ჩაერია: მათი ზენოლით თურქები სომხურენოვანი მოსახლეობით დასახლებული ოლქების ავტონომიას დათანხმდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთი რუსეთის ნინააღმდეგ მებრძოლ ბანაკში აღმოჩნდა, შესაბამისად, კავკასიის ფრონტზე რუსული არმიის შეტევის კვალობაზე რუსეთის მოიმედე სომხებმა ანტითურქული გამოსვლები დაიწყეს. ამ ფაქტმა ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან გაუგონარი რეპრესიები გამოიწვია: 1915 წლის აპრილში მოეწყო სომებს ხალხის მსოფლიოში უპრეცედენტო გენოციდი, რის შედეგადაც რამდენიმე დღე-ლამეში 1,5 მლნ. სომები გაიჟულიტა.

11. თურქეთი ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოში მომხდარი საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ, აქტიურად ჩაერთო შიდაკავკასიური პრობლემების მოგვარების პროცესში. ანკარამ შეიმუშავა კავკასიის რეგიონის სტაბილიზების კონცეფცია, რომელიც დაინტერესებულ სახელმწიფოებს, მათ შორის რუსეთს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გააცნო. იმავე წლის ოქტომბერში თურქეთის პრეზიდენტი დაესწრო ერევანში გამართულ საფეხბურთო მატჩს, ხოლო ერთი წლის შემდეგ - 2009 წლის ოქტომბერში იგივე გააკეთა სომხეთის პრეზიდენტმაც: იგი თურქეთის ქალაქ ბურსაში ჩავიდა და ადგილობრივ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს დაესწრო სომხეთისა და თურქეთის ნაკრებებს შორის.

12. დაღესტნის დედაქალაქია მახაჩკალა. მოსახლეობის რაოდენობა 2,7 მლნ. (2009 წლის პირველი იანვრის მონაცემებით). რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს 50,3 ათას კვადრატულ კილომეტრს. 1989 წლის აღნერის თანახმად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე 102 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, რომლებიც სამ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან: იძერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ-დაღესტნური განშტოებას, ალათაური ოჯახის იერარქიულ ჯგუფს და ინ-

დოევროპულ ენობრივ ჯგუფს. დღეს დაღესტანში, კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენებად ითვლებიან რუსული და დაღესტნის ხალხთა ყველა ენა, მაგრამ მათგან თავისი დამწერლობა მხოლოდ 14 ენას გააჩნია.

დაღესტნის მთავარი მდინარეებია თერგი, სულაკი, სამური. მსხვილი ქალაქებია: მახაჩკალა (334,5 ათასი); დერბენტი (90,1 ათასი), ხასავიურტი (83,8 ათასი), კასპიისკი (67,9 ათასი), ბუნიაკსკი (58,2 ათასი).

ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის ბოლოს დაღესტნის ტერიტორია შედიოდა კავკასიის ალბანეთის, შემდგომ კი სასანიდური ირანის შემადგენლობაში. დაღესტანმა არაბთა თავდასხმებიც გადაიტანა. XIII საუკუნის დასაწყისში დაღესტანი თათარ-მონღოლებმა დაიპყრეს, მომდევნო ასწლეულებში კი აქ მცხოვრები ხალხები ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ. რუსეთ-სპარსეთის ომის შედეგად 1813 წელს დადგებული გიულისტანის ხელშეკრულებით, დაღესტანი რუსეთს შეუერთდა.

დაღესტნის ასარ 1921 წლის 20 იანვარს შეიქმნა. 1994 წლის 26 ივლისს მიღებულ იქნა რესპუბლიკის კონსტიტუცია. დაღესტანში მოსახლეობის დიდი ნაწილი (90%-ზე მეტი), ტრადიციულად, მუსლიმური აღმსარებლობის მიმდევარია. 1996 წლის 1 იანვრის მონაცემებით, დაღესტანში ფუნქციონირებდა 1670 მეჩეთი, 7 ეკლესია, 4 სინაგოგა, 3 ადვენტისტთა „მეშვიდე დღის“ თემი, 4 ევანგელისტ ქრისტიან ბაპტისტთა თემი.

13. 1989 წლის აღნერის მონაცემებით, ლეზგების რაოდენობა 170 ათასს შეადგენდა. აზერბაიჯანის კუსარის რაონის გარდა, სადაც ისინი მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენენ, ლეზგები განსახლებული არიან აზერბაიჯანის ხაჩმასის, გუბის, გაბალის და ზოგიერთ სხვა რაიონში. იმავე აღნერის მიხედვით, აზერბაიჯანში, ლეზგების გარდა, ცხოვრობდა აგრეთვე 44 000 ავარელი (ძირითადად, ბელაქნისა და ზაქათალას რაიონებში).

14. ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის დედაქა-ლაქია ვლადიკავკაზი. ტერიტორია - 8 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობის რაოდენობა - 701,8 ათასი ადამიანი (2009 წლის მონაცემებით). რესპუბლიკა რეგიონში

ერთ-ერთ ყველაზე ურბანიზებულად და მჭიდროდ დასახლებულად ითვლება ( $1\text{კმ}^2$  140 ადამიანი). მოსახლეობის უმეტესობა ასებია (60%) და, ძირითადად, ქალაქების მცხოვრებნი არიან. ჩრდილოეთ ოსეთს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ადგილმდებარეობა აქვს: ვლადიკავკაზიდან საქართველოს საზღვრამდე გადის გზატკეცილი, რომელიც ისტორიულად “საქართველოს სამხედრო გზის” სახელითაა ცნობილი. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთზე გადის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი (“ტრანსკამ”), რომლის მნიშვნელოვან მონაკვეთს კავკასიონის ქედზე აგებული როკის გვირაბი წარმოადგენს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის ავრეთვე ფედერალური სტატუსის მქონე ავტოგზები და რკინიგზები, გაზსადენები და სხვა კომუნიკაციები. მსხვილი ქალაქებია ვლადიკავკაზი (309,8 ათასი მცხ.), მოზდოკი (40 ათასი), ბესლანი (33,6 ათასი).

**მოკლედ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის ისტორიის შესახებ:** ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში რესპუბლიკის ამჟამინდელ ტერიტორიაზე აღანთა ტომები გამოჩნდნენ, IX-X საუკუნეებში კი აღანთა ფეოდალური სახელმწიფოც შეიქმნა. მეათე საუკუნეში ოსებში საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდება და ოფიციალური რელიგია ხდება. ამავე პერიოდიდან იწყება ალანურ-ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება და მასზე საქართველოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება. XIII საუკუნეში, თათარ-მონღოლთა შემოსევების გამო, ოსური სახელმწიფო განადგურდა და მოსახლეობამ, თავშესაფრის ძიების მიზნით, მდინარე თერგის ზემონელში, კავკასიონის მთავარი ქედის ხეობებისა და კალთებისაკენ მიგრირება დაიწყო. ოსები რუსეთის შემადგენლობაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შევიდნენ, XIX საუკუნეში კი ადმინისტრაციულად თერგის ოლქში მოექცნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნლებში ოსები ჯერ მთიელთა ასსრ შემადგენლობაში არიან, შემდეგ კი, 1924 წლის 7 ივლისს, ოსთა განსახლების ტერიტორია ავტონომიურ მხარედ გარდაიქმნა (რსფსრ შემადგენლობაში). 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, 1990 წლის დეკემბრიდან - ჩრდილოეთ ოსეთის სსრ, 1993 წლიდან - ჩრდილოეთ ოსეთ - ალანიის რესპუბლიკა. ამჟამად აქ ძირი-

თადი კონფესიებია მართლმადიდებლური ქრისტიანობა და ისლამი.

15. ინგუშეთის რესპუბლიკის დედაქალაქია მაგასი, ტერიტორია - 3600 კვ.კმ. მოსახლეობა - 532 ათასი ადამიანი. რესპუბლიკა შეიქმნა 1992 წლის 4 ივნისს. მსხვილი ქალაქებია: ნაზრანი (118 ათ. ადამიანი 2000 წლის მონაცემებით), მალგობეკი (36 ათასი), ყარაბულაკი (19 ათასი). ქართულ ისტორიულ წყაროებში ინგუშები ძურძუკების სახელით არიან ცნობილნი. ძურძუკეთი, რომილიც ინგუშებისა და ხუნძების წინაპრების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებიდან ახალი წელთაღრიცხვის XIV საუკუნემდე არსებობდა. თემურ-ლენგმა ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის დროს (1395) ძურძუკეთი მთლიანად გაანადგურა, შესაბამისად, შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა საქართველოსთან. თემურ-ლენგის ბრძანების შესაბამისად, “ამიერიდან არ უნდა ესწავლათ ქართული წიგნები”. კულტურის დონის საერთო დაცემასთან ერთად, ეს ძურძუკეთის მთებში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის მივიწყებასაც წიგნავდა აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ინგუშეთში არსებული X საუკუნის ქრისტიანული ეკლესია “ტყობა-ერდი” დღესაც რჩება ქართველი და ინგუში ხალხების მატერიალურ და სულიერ კულტურათა საუკუნოვანი სიახლოესის გამოხატულებად.

მე-16 საუკუნის ბოლოს ინგუშეთში დაღესტნიდან მუსლიმური რელიგია ვრცელდება. XVIII საუკუნეში ნახჩის ტომები ჩეჩენებად და ინგუშებად გაიყვნენ. 1810 წელს ინგუშეთი ნებაყოფლობით უერთდება რუსეთის იმპერიას, 1921 წელს კი მთიელთა ასარ შემადგენლობაშია. 1924 წელს შეიქმნა ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, რომლის ადმინიტრაციული ცენტრს ვლადიკავკაზი წარმოადგენდა. 1934 წელს ინგუშეთი ჩეჩენეთის ავტონომიურ ოლქთან გაერთიანდა და ამ გაერთიანებას ჩეჩენეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი ეწოდა, რომელიც 1937 წლის სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად, ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1944 წელს ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ გაუქმდა, მოგვიანებით კი, 1957 წელს, ისევ აღადგინეს.

16. ჩეჩენეთის დედაქალაქი - გროზნო. ტერიტორია - 17,5 კვ.კმ. მოსახლეობის რაოდენობა - 1,2 მილიონი ადამია-

ნი (2009 წელი). დიდი მდინარეებია თერგი და სუნუა. რელიეფის მიხედვით რესპუბლიკა იყოფა ორ ნაწილად; ბარი (ჩრდილოეთი) და მთიანეთი (სამხრეთი). მსხვილი ქალაქებია: გროზნო, გუდერმესი, არღუნი, ურუს-მარტანი და შალი. ქვეყნის ძირითად ბუნებრივ სარესურსო პოტენციალს წარმოადგენს ნაკობის საბადოები.

VII-XIII სს. ნახჩიებში საქართველოდან ვრცელდება ქრისტიანობა და მასთან ერთად ქართული დამწერლობაც. ამავე ხანებში ხდება ისლამის შეღწევა, კავკასიაში არაბების ლაშქრობების შედეგად. XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის თითქმის ყველა ჩეჩინურმა საზოგადოებამ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა, მაგრამ ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება მათზე ვერ მოხერხდა. ამგვარმა სიტუაციამ XVIII საუკუნის ბოლოს სამხედრო მოქმედებების გახშირება და შესაბამისად, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია: შეიხ მანსურის ანგირუსული მოძრაობა (1785-1791 წლები) და შემდეგ ომი რუსეთსა და კავკასიის ხალხებს შორის (1817-1864 წლები); აჯანყებები და აბრაგობა (1866-1916 წლები); დეპორტაცია (1944-1957 წლები); „კონსტიტუციური წესრიგის“ აღდგენის კამპანიები (1994-1996, 1999-2003 წლები). 1991 წლის ნოემბრიდან ჯოხარ დუდაევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოცხადდა ჩეჩინეთის რესპუბლიკის შექმნა და მისი გამოსვლა ჩეჩინეთ-ინგუშეთის შემადგენლობიდან.

17. დაღესტნის ასსრ-ს გადაეცა ოთხი მიმდებარე რაიონი, ჩრდილო ოსეთის ასსრ-ს - ვლადიკავკაზის მიმდებარე პრიგოროდნის რაიონი. საქართველოს სსრ შემადგენლობაში შევიდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე განლაგებულ ჩეჩინეთ-ინგუშეთის ასსრ ხუთი რაიონის, მათ შორის, ითუმ-ყალეს, შაროის, გალანჩეულისა პრიგოროდნის რაიონების 30%-დან 40%-მდე ტერიტორია.

18. ინგუშეთში დგას საკითხი არა მარტო პრიგოროდნის რაიონის კუთვნილების, არამედ თავის დროზე ვლადიკავკაზის ოსეთისთვის გადაცემის სამართლიანობის შესახებაც.

19. საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები მერაბ ჩუხუა (როგორც ქართულ, ისე ინგუშურ ენა-

ზე), რუსუდან ჯანაშია, ცირა ბარამიძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ ისა კოძოის 25 ოქტომბერს, “თბილისქალაქობის” დღესასაწაულზე, დედაქალაქის მერმა საზეიმო ვითარებაში გადასცა თბილისის საპატიო მოქალაქის სიგელი.

20. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქია ნალჩიკი. ტერიტორია - 12,5 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა - 892,4 ათასი ადამიანი (2009 წლის მონაცემებით). რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წლის 1 სექტემბერს. ყაბარდოელები შეადგენენ საერთო მოსახლეობის 55,3%-ს, რუსები - 25,1%, ბალყარელები 11,6%. მსხვილი ქალაქებია ნალჩიკი (269,2 ათასი მცხ.), პრობლადი (60,1 ათასი). აქ მდებარეობს კავკასიაში და ევროპაში ყველაზე მაღალი მთა იალბუზი (5642 მეტრი). რესპუბლიკის წიაღი მდიდარია პოლილითონური მადნებით - მოიპოვება მოლიბდენი, ვოლფრამი, ტყვია და სხვა. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედენტრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკურორტო-რეკრეაციულ და ტურისტულ ზონას წარმოადგენს.

ყაბარდოსა და ბალყარეთის ტერიტორია დიდხანს იყო რუსეთის, თურქეთისა და ყირიმის სახანოს დაპირისპირების ადგილი. 1557 წელს ყაბარდოს მთავრებმა რუსეთთან სამოკავშირეო-სამხედრო ხელშეკრულება დადეს, რაც ივანე მეოთხე მრისხანესა და ყაბარდოელი მთავრის ქალიშვილის მარია თემრუყის ასულის ქორწინებით იქნა განმტკიცებული. 1827 წელს დასრულდა რუსეთთან ბალყარეთის შეერთების პროცესი. 1860 წელს ყაბარდო და ბალყარეთის ტერიტორია ადმინისტრაციულად თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის დასრულებით განმტკიცდა რუსეთის სამხრეთის რეგიონების, მათ შორის, ყაბარდო-ბალყარეთის კავშირი იმპერიის ცენტრთან. 1936 წელს შეიქმნა ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, თუმცა 1944 წელს, ბალყარელების მიმართ განხორციელებული რეპრესიების გამო, ამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს სახელი შეეცვალა და ყაბარდოს რესპუბლიკა ეწოდა ბალყარელები იძულებით იქნენ დეპორტირებულნი შუა აზიაში. ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია და სახელწოდება ხელახლა აღადგინეს 1957 წელს. 1993 წელს გამოცხადდა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა.

21. ყარაჩაი-ჩერქეზეთის დედაქალაქია ჩერკესკი, ტე-რიტორია - 14, 3 ათასი კმ. კვ. მოსახლეობის რაოდენობა - 434,5 ათასი ადამიანი (2005 წ.). ყარაჩაი-ჩერქეზეთი შეიქმნა 1922 წლის 12 იანვარს. ყარაჩაელები შეადგენენ საერთო მო-სახლეობის 38,5%, რუსები - 33,5%, ჩერქეზები - 11,3%. აქ ცხოვრობენ აბაზები - 7,4%, ნოღაელები - 3,4%, ოსები, უკ-რაინელები, სომხები და სხვ.

თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არ-სებობდა ალანთა სახელმწიფო, აქ X საუკუნეში იასები და კა-სოგებიც სახლობდნენ. XIII-XIV სს.-ში ალანები თათარ-მონ-ლოლებმა გაანადგურეს. მოვიანებით კი, XVI-XVII საუკუნე-ებში უკაცრიელ მიწებზე აბაზები და ნოღაელები გადმოსახ-ლდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიაში გაერთიანდა (ყუბანის ადმინისტრაციულ ოლქში), დაიწყო კაზაკების ჩასახლების პროცესიც. საბჭოთა პერი-ოდში შეიქმნა ყარაჩაის ავტოლქი. 1944 წელს ყარაჩაელები იძულებით გადასახლეს ყაზახეთში, შესაბამისად, ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა. 1957 წელს ყარაჩაელები რეა-ბილიტირებულ იქნენ, შეიქმნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტო-ნომიური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს სტავროპოლის მხარეში შედიოდა.

1992 წლის დეკემბრიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბ-ლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტს წარმოადგენს. რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია ქრისტიანული კულტურის უნიკალური არქიტექტურული ძეგლები (მე-10 საუკუნის სენტინისა და შოანთის ტაძრები სოფელ ქვემო თებერდაში და სხვა).

ბოლო წლებში საერთაშორისო ჩერქეზული ორგანიზა-ცია “ადილე-ხასე” ახლომონათესავე ადილე, ყაბარდოელები-სა და ჩერქეზი ხალხების გაერთიანების მოთხოვნით გამოდის. ყარაჩაი-ბალყარეთის მოძრაობას კი ყარაჩაელებისა და ბალ-ყარელების რუსეთის ფედერაციაში ერთ სუბიექტად გაერთი-ანება სურს, ყარაჩაი-ბალყარეთის რესპუბლიკის სახით.

22. ადილეს რესპუბლიკის დედაქალაქია მაკოპი. ტერი-ტორია - 7,6 ათასი კმ.კვ. მოსახლეობა - 445 ათასი (2005 წ.). რესპუბლიკის 40% დაფარულია ტყით, მოიპოვება ნავთობი, ბუნებრივი გაზი, კარგი პირობებია ტურიზმის განვითარე-

ბისთვის. 2008 წლის მონაცემებით, ეთნიკურ უმრავლესობას აქ რუსები შეადგენენ (62,4%), ადილელების რაოდენობა - 25,9%, სომხები - 3,5%. გარდა ამისა, რესპუბლიკაში ცხოვრობენ უკრაინელები, ქურთები, თათრები, თურქები და სხვა ხალხების წარმომადგენლები.

საპჭოთა ხელისუფლების დროს ადილები ხელოვნურად რამდენიმე ხალხად დაიყო (ყაბარდოელები, ჩერქეზები), სახელი “ადილე” (“Адыгейцы”) კი ამ ხალხის მხოლოდ ერთ ჯგუფს უწოდეს. ადილები კავკასიის ძირძველი მოსახლეობაა, რომელთა წინაპრები აქ პალეოლიტის დროიდან ცხოვრობენ. ისინი მეოტების სახელითაც იყვნენ ცნობილნი, რომლებიც აერთიანებდნენ კერკეტების, სინდების, ზიხებისა და ფსესების ტომებს. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ადილები ბოსფორის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცნენ, მომდევნო პერიოდში კი სკვითებისა და სარმატების ეთნიკურ-კულტურული ზეგავლენა განიცადეს. პირველ საუკუნეში გაძლიერდა ზიხების ტომი, რომელიც V-X საუკუნეებში სათავეში ედგა ადილურ ტომთა კავშირს.

IV-X საუკუნეებში ადილები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწეოდნენ, ვაჭრობდნენ ყირიმთან, ირანთან და ბიზანტიისთან.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “ზიხი” ქართულ წყაროებში მოხსენიებული ტერმინი “ჯიქის” შესატყვისია. ძველი ქართული წყაროების მიხედვით, სახელწოდება “ჯიქეთი” მთელ ადილეს გულისხმობდა. ადილები საქართველოში “ქაშაგების”, “ქაშქების” სახელითაც არიან ცნობილნი. აღსანიშნავია, რომ სვანები ადილებს დღესაც “ქაშქებს” უწოდებენ.

ადილე-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლეონტი მროველის ცნობით, მეფე არმაზის დროს ქართლის ლაშქარში ჯიქებიც მსახურობდნენ. ჯუანშერის ცნობით, 455 წელს ეს მხარე ვახტანგ გორგასალს დაულაშქრავს. საინტერესო ცნობაა, რომ 656 წელს კონსტანტინოპოლის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ჯიქეთის ეპარქია მცხეთის საკათილოკოსოს დაუქვემდებარა. XII-XIII საუკუნეებში ადილე საქართველოს პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, რამაც ხელი შეუწყო აქ ქრისტიანობის გავრცელებას.

XIII საუკუნეში ადილეს ტერიტორიის ნაწილი თათარ-მონღოლთა სახელმწიფოს - ოქროს ურდოს მფლობელობაში მოექცა, XVI საუკუნიდან კი ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს პოლიტიკურ ექსპანსიას განიცდიდა. სწორედ ამ დროიდან გავრცელდა მუსლიმური რელიგიაც.

კავკასიის ომების დროს ჩერქეზი ხალხის წარმომადგენლები, მათ შორის ადილებიც, რუსეთის იმპერიის რეპრესიების ქვეშ მოექცნენ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში გადასახლდა (მუჰაჯირობა). დღეს საზღვარგარეთ 3 მლნ.-ზე მეტი ადილელი ცხოვრობს.

1918 წლის მაისიდან, რუსეთის სამხრეთში დაწყებული სამოქალაქო ომის დროს, ადილებით დასახლებული ტერიტორია შევიდა ყუბან-შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკაში. 1922 წლის 22 ივლისს შეიქმნა ჩერქეზეთის (ადილური) ავტონომიური ოლქი, მოგვიანებით კი, 1928 წელს მას სახელი გადააერქვა და ადილეს ავტონომიური ოლქი ენოდა, ცენტრით ქ. კრასნოდარში, 1936 წელს ადმინისტრაციულ ცენტრად მაიოპი გამოცხადდა. ადილეს რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეიქმნა 1991 წელს. პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1995 წლის 10 მარტს.

## თავი V

1. ყაბარდო-ბალყარეთის გეოფიზიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბევრი ქართველი მეცნიერი წარმატებით მუშაობდა. საინტერესოა, რომ ამ ფაქტმა თავისი ასახვა ჰპოვა ცნობილი ქართველი მწერლის გურამ ფანჯიკიძის რომანში “აქტიური მზის წელინადი”. ეს წიგნი 1970-იან წლების ბესტსელერად იქნა მიჩნეული.

2. ზოგიერთი მოსაზრებით, ტერმინი “თურქი მესხები” ხელოვნურია, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა საბჭოთა პუბლიცისტიკაში და სინამდვილეს არ ასახავს. საკითხის მოკლე ისტორია ასეთია: თურქეთთან მოსაზღვრე საქართველოს რიგი რაოთნების (სამცხე-ჯავახეთში - ახალციხის, ალგენის, ახალქალაქისა და ასპინძის) ადგილობრივი მცხოვრები, ძირითადად, გამუსლიმებულ-გათურქებული ქართველები (მესხები), აგრეთვე თურქული წარმოშობის მოსახლეობა 1944 წლის ნოემბერში უზბეკეთში - ფერგანაში იქნენ დეპორტირებულნი. გადასახლების მიზეზი ის იყო, რომ თითქოსდა მუსლიმი მესხები და თურქული წარმოშობის ადამიანები სსრკ-გერმანიის ომის დროს ფაშისტების მხარდამჭერ თურქეთს ეხმარებოდნენ, ჯაშუშობდნენ და, შესაბამისად, არაკეთილსამიერო პირებს წარმოადგენდნენ. ომის დროს, შესაძლოა, მართლაც იყო მხგავსი ფაქტები, მაგრამ, რა თქმა უნდა, საბჭოთა მართლმსაჯულების მიერ ერთეული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ათასობით ადამიანზე გავრცელება უკანონო და უსამართლო ქმედება იყო. ალსანიშნავია, რომ 1957 წელს, ჩრდილოკავკასიელი რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის მიუხედავად, საქართველოდან დეპორტირებული მესხებისა და თურქების რეაბილიტირება და მათი რეპატრიაცია არ მომხდარა, ეს არ განხორციელებულა არც ხრუშჩოვისეულ “დათბობის” და არც გორბაჩოვისეულ “პრესტროკიკის” წელებში. 1989 წელს ფერგანაში უზბეკებთან მომხდარი სისხლიანი ეთნიკური დაპირისპირების შედეგად, მესხები და თურქები იძულებული გახდნენ კავკასიისაკენ გამოქცეულიყვნენ. მათი ნაწილი დასახლდა აზერბაიჯანში (80 ათასამდე), ნაწილი კი - ჩრდილოეთ კავკასიაში, უმეტესად კრასნოდარის მხარეში. ამასთან, “თურქი მესხების” კომპაქტურად დასახლება ეთნოსთაშორისი დაპირისპირე-

ბების მაპროცენტურებელი მუდმივი ფაქტორი გახდა, რომელიც განსაკუთრებით კრასნოდარის მხარეში გამძაფრდა.

შიგრაციული პროცესების ექსპერტის ვ.ი.ნემჩინას აზრით, სიტუაცია გართულებულია იმითაც, რომ მასობრივ შეგნებაში დამკვიდრდა სტერეოტიპი - თითქოსდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩასული მიგრანტები ფლობენ სათანადო მატერიალურ რესურსებს, აქვთ გაცილებით მეტი შესაძლებლობები სამხრეთ რუსეთის ოლქის რუსულენოვან ტერიტორიებზე დასამკვიდრებლად, დაკავებული აქვთ პრესტიული სოციალური ნიშები. უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 90-იანი წლების შუახანებში დონის, სტავროპოლისა და ყუბანის კაზაკობამ არაერთხელ მიმართა ანგიკონსტიტუციურ ქმედებებს და გააკეთა განცხადებები, რათა ძალისმიერი მეთოდებით შეეზღუდათ არასლავური მოსახლეობის მიგრაციები რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში. შექმნილ ვითარებაში, კრასნოდარის ხელისუფლებამ შეიმუშავა სამხარეო მიგრაციის საკანონმდებლო კონცეფცია, რომელიც ორ პოზიციაზეა დაფუძნებული — მიგრაციის რაოდენობის შეზღუდვასა და მიგრაციული ნაკადის ეროვნული სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე. როსტოკის ოლქისა და სტავროპოლის სახელისუფლო ორგანოებმა მხარი დაუჭირეს კრასნოდარელების მიერ შეთავაზებულ მიგრაციული ნაკადების რეგულირების კონცეფციას, მაგრამ იქვე თავიანთი რეგიონების თავისებურებებსაც ითვალისწინებენ.

“თურქი მესხების” კრასნოდარის მხარიდან გამოდევნის პოლიტიკა იქამდე მივიდა, რომ პრობლემის გადაჭრაში დასავლეთის ქვეყნები ჩაერივნენ. ასე, მაგალითად, აშშ მთავრობამ რამდენიმე ათეულ ლჯახს ამერიკაში ჩასახლების ნება მისცა. დღესაც ყუბანში კაზაკთა ორგანიზაციების მწვავე დამოკიდებულება “თურქი მესხების” მიმართ სამართალდამცავი ორგანიზაციების კრიტიკის მუდმივი ობიექტია.

რაც შეეხება საქართველოს, ოფიციალურმა თბილისმაჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აიღო ვალდებულება ევროსაბჭოს წინაშე 2011 წლამდე ე.ნ. “თურქი მესხების” დაბრუნების თაობაზე, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებში დღეს სომხური მოსახლეობა ჭარბობს და გადასახლებულთა კომპაქტურად

ჩასახლება ვერ ხერხდება, პრობლემის გადაჭრა გაჭიანურდა. არაა გამორიცხული, რომ თვითნებურმა და დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა, უკონტროლო და სტიქიურმა დაბრუნებამ ეთნიკური კონფლიქტი გამოიწვიოს. აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ საზოგადოებაში “თურქი მესხების” დაბრუნებასთან მიმართებით აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს.

3. სომხები ჩრდილო კავკასიაში პირველად IX-XII საუკუნეებში გამოჩნდნენ. მსხვილი სომხური დასახლებები ამ რეგიონში იქმნება XVIII საუკუნეში, რაც რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებასთანაა დაკავშირებული. სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ყიზლარის, მოზდოკის, სტავროპოლისა და სხვა ქალაქების, აგრეთვე ყუბანისა და შავიზღვისპირეთის სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში. 1780-იან წლებში დონზე დაარსდა ქ. ნახჭევანი და მასთან ახლოს მდებარე 6 სოფელი. ჩრდილოეთ კავკასიაში სომხების ახალი მიგრაცია თურქეთში 1915 წლის სომხების გენოციდს უკავშირდება. თურქეთიდან იძულებით ემიგრირებულმა სომებმა კოლონისტებმა თვითმმართველობის განვითარების საქმეში ფართო უფლებები და შესაძლებლობები მიიღეს. ჩრდილოეთ კავკასიაში მათი ტრადიციული საქმიანობა იყო ვაჭრობა, მელვინეობა, მებაღეობა და ხელოსნობა. სომხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ რეგიონის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში. ამასთანავე, მათ საკმაოდ მტკიცედ შეინარჩუნეს თავიანთი კულტურა და ტრადიციები, თუმცადა, ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში ადგილობრივმა ეთნოსებმა გავლენა სომხების საყოფაცხოვრებო კულტურაზეც მოახდინეს. სომებთა სუბეტნიკური ჯგუფი კრასნოდარის მხარესა და ადილეში იმდენად იქნა ადაპტირებული, იმდენად გაითავისა ადილური ტრადიციები და ენა, რომ თავის თავს “ჩერქეზოჰაებს” (ჩერქეზ-სომხებს) უწოდებს. მორნმუნე სომებმა ქრისტიანმა მონიფიზიტებმა ჩერქეზეთში ყირიმიდან გადმოსახლება XI-XII საუკუნეებში დაიწყეს. რუსეთში გადმოსახლებულმა სომხებმა 1839 წელს ყუბანში დააარსეს სომხური აული - არმავირი, რომელიც დღეს ერთ-ერთი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია ჩრდილო კავკასიაში. ამ რეგიონთანაა დაკავშირებული სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების, პოეტ მ.ნალბანდიანის, მხატვარ მ.სარიანის, მწერალ რ.პატკონია-

ნის, მ.შაგინიანისა და სხვათა სახელები.

4. Белозеров В.С. Русские на Кавказе: эволюция расселения // Русские на Северном Кавказе: вызовы XXI в. Ростов на-Дону. 2002, с.60.

5. Атлас социально-политических проблем, угроз и рисков Юга России.Ростов на-Дону, 2006, с.86.

6. Ризаханова М.Ш. Дагестанские русские XIX нач. XX в. Махачкала, 2001, с.31.

7. იხ.Атлас социально-политических проблем, угроз и рисков Юга России.Ростов на-Дону, 2006, с.87

8. პირველი მონოთეისტური რელიგია ჩრდილოეთ კავკა-სიაში გაჩნდა IV-V საუკუნეებში, რომელიც აქ საქართველოდან, ბიზანტიიდან და კავკასიის ალბანეთიდან შემოვიდა, მაგრამ მოსახლეობა, ძირითადად, წარმართი რჩებოდა. VII-VIII საუკუნეებში აქ გავრცელებას იწყებს ისლამი, რომელიც არაბმა დამპყრობლებმა შემოიტანეს. ისლამს პირველად დაღესტნის ხალხები ეზიარნენ, რომლებმაც არაბებიდან შაფიიტური მაზჰაბი გადაიღეს. XIXსაუკუნის 60-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელება დაიწყო სუფიზმაც. საპქოთა ხელისუფლების წლებში მეჩეთები და მედრესები დაზურეს, მუსლიმური სამართალწარმოება გაუქმდა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რელიგიურმა ორგანიზაციებმა ლია მოქმედების შესაძლებლობა მიიღეს. ამავე ხანებში დაწყებულმა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციამ რელიგიური აღორძინებისა და მისიონერული მოღვაწეობის საშუალება შექმნა.

ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში უპირატე-სად ისლამია გავრცელებული. ადილელები, აპაზები, ჩერქეზები, ოსების ნაწილი, ყაბარდოლები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ნოღაელები, ძირითადად, მუსლიმი-სუნიტები არიან, ხოლო ჩეჩენები, ინგუშები, დაღესტნის ხალხთა დიდი ნაწილი, მათ შორის თურქულენოვანი ყუმუხები - შაფიიტური მაზჰაბის მიმდევრები. დაღესტნის სამხრეთში შიიტები (ცხოვრობენ. მართლმადიდებლური აღმსარებლობისა არიან რუსები (კაზაკები), ოსების უმეტესი ნაწილი, მოზდოვების ყაბარდოლები, ყალმუხების მცირე ნაწილი. ბუდიზმს (მის ლამაისტურ მიმართულებას) უმეტე-სად ყალმუხები აღიარებენ. დაღესტანში თათების ("მთიელი ებ-რაელების") ნაწილი იუდაიზმის მიმდევრები არიან.

## თავი VI

1. სამნუხაროდ, ბოლო წლებში საერთაშორისო ურთიერთობებში ვხედავთ, რომ რამდენიმე ფუნდამენტური დოკუმენტი — გაეროს მიერ მიღებული “ადამიანთა უფლებების დეკლარაცია” (ერთა თვითგამორკვევის უფლება) და 1975 წელს ჰელსინკის თათბირის მიერ მიღებული “საზღვრების ურღვევობის პრინციპი” ერთმანეთს ენინააღმდეგება. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები.

2. იხ. თხაგაძიევ ხ.გ. ეთნოეთნოგრაფიული გულისხმობს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში XXI საუკუნის დასაწყისში შექმნილ მდგომარეობას, როდესაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არა მარტო ფაქტობრივად არ შეესაბამება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, არამედ უხეშად არღვევს ქვეყნის სამართლებრივ სივრცეს. ამ დროს წარმოიქმნება სახელმწიფოს სახელით ადამიანის, სოციუმის დათრგუნვის მოვლენა.

3. კუხianiძე ა.ვ. კავკაზიურის დემოკრატიული კონცეპცია // სამართლებრივი სამსახურის გარემონტირებული კონცენტრაციული სამართლებრივი სისტემის შემსრულებელი მოვლენა.

### 4. იქვე

5. შაფსულები ადილთა ერთ-ერთი სუბეტნოსია, რომებიც კრასნოდარის მხარეში ცხოვრობენ. მათი რაოდენობა 10-12 ათას ადამიანს შეადგენს. შაფსულების ენა ადილურის დიალექტია. სარწმუნოების მიხედვით შაფსულები მუსლიმისუნიტები არიან, რომლებიც წარმართულ რელიგიურ ადათებსაც ინარჩუნებენ. მათ შესახებ ვკვედება ცნობები X საუკუნისა და მის შემდგომ პერიოდში. შაფსულების ეთნოგრაფიული დაკავშირებულია შავიზლვისპირეთის აბაზების ადილური ტომებით ასიმილაციის ხანგრძლივ პროცესთან (ლ.ლავროვი). კავკასიის ომის დასაწყისში შაფსულები რაოდენობით ადილთა ყველაზე მსხვილი სუბეტნოსი იყო (300 ათასი ადამიანი), ცხოვრობდნენ მდ. ყუბანის აუზსა და შავიზლვისპირეთში მდ. ჯუგბასა და მდ. შახეს შორის. XVIII საუკუნის ბოლოს შაფსულებმა თავიანთი თავადები განდევნეს და დემოკრატიული წყობილება დაამყარეს: მართვა ხორციელდებოდა

სახალხო კრებების ("ხასა") სხვადასხვა დონეების სისტემის მეშვეობით. სამართალწარმოება ხორციელდებოდა ადათისა და შპრიათის საფუძველზე. კავკასიის ომში წინააღმდეგობას უნევდნენ როგორც შამილის ნაიბს - მაჰომედ-ამინს, ასევე რუსულ ჯარს. ეპიდემიებისა და სამხედრო მოქმედებების, აგრეთვე მუჰაჯირობის გამო, შაფსულებმა გამანადგურებელი დანაკარგი განიცადეს. XX საუკუნის 90-იან წლებში დაისვა საკითხი შაფსულების თვითგამორკვევისა და ეროვნული რაიონის აღდგენის შესახებ, მაგრამ მოგვიანებით ეს საკითხი დღის ნესრიგიდან მოიხსნა.

6. Цуциев А. 2004, Атлас... указанное сочинение, с.87.
7. <http://www.newsland.ru>
8. Дугин А. Геополитика как эффективный метод современной российской политической теории и практики // Научная мысль Кавказа. 2008, с.5-13.
9. Легвольд Роберт. Российское досье // Россия в глобальной политике, 2009, №4
10. Бжезинский З. Второй шанс: три президента и кризис американской сверхдержавы // Foreign Affairs, 2009, №5
11. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია - რუს.აბრევიატურით "ოდკბ" - "ორგანიზაცია დოკოვორა კოლლეკტივნო ბეზოპასნოსტი". მასში შედიან სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი.
12. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია - რუს.აბრევიატურით "შოს" - "შანხაისკაია ორგანიზაცია სოტრუნიჩესტვა". მასში შედიან ყახაზეთი, ჩინეთი, რუსეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.
13. პანთურქიზმი — იდეოლოგია, რომლის თანახმად, თურქულ ენაზე მოლაპარაკე ყველა ხალხი (უპირველესად თურქი-მუსლიმები) თითქოსდა ერთ ერად ითვლებიან და უნდა გაერთიანდნენ თურქეთის ეგიდით ერთ სახელმწიფოში.
14. Торосян Т. Возвращение Турции // Россия в глобальной политике. 2009, №4.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტ: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)